## პრეზიდენტის ფოსტიდან

# „მხარში ვუდგავარ თქვენს ურყევ ნებას“

საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამ დღეებში მრავალ მხარდამჭერი ხასიათის წერილს იღებს. მათ შორისაა ქვეყნის მოქალაქის ზურაბ მამალაძის წერილიც, რომელშიც ავტორი სრულ მხარდაჭერას უცხადებს სახელმწიფოს მეთაურის პოლიტიკას.

„გთხოვთ, მიიღოთ ჩემგან, როგორც საქართველოს მოქალაქისაგან, თქვენს მიერ განხორციელებული პოლიტიკისადმი სრული მხარდაჭერა. გთხოვთ, მიგულოთ თქვენს ერთგულ ჯარისკაცად საქართველოს სამსახურში.

აგრესორისადმი თქვენი დამორჩილება არა მარტო უდიდეს და გამოუსწორებელ ზიანს მოგვიტანდა, არამედ ადამიანობის წინააღმდეგ მიმართული უდიდესი დანაშაულიც იქნებოდა. გულწრფელად მივესალმები თქვენს გაწონასწორებულ, პანიკასმოკლებულ და შინაარსიან გამოსვლას ტელევიზიით. მივესალმები და მხარში ვუდგავარ თქვენს მტკიცე და ურყევ ნებას, რომ არ უღალატებთ თქვენს მიერვე დასახულ პრინციპებს და არ დაუშვებთ არჩეული გზიდან გადახვევას“, – ნათქვამია ზურაბ მამალაძის წერილში.

პრეზიდენტის სახელზე მოვიდა ასევე წალენჯიხის მკვიდრის 90 წლის ვარლამ კვარაცხელიას წერილი, რომელიც ედუარდ შევარდნაძეს უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და საქართველოს სასიკეთოდ ნაყოფიერ მოღვაწეობას.

საქინფორმი.

## პარლამენტის თავმჯდომარე

# საქართველოს უსაფრთხოება „როუზ-როსის“ სემინარზე

27-29 სექტემბერს თბილისში ჩრდილოეთ ატლანტიკური სამხედრო ალიანსის – ნატოს საპარლამენტო ასამბლეა ტარდება. „როუზ-როსის“ სემინარი, ამჯერად, აღმოსავლეთ ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხების განხილვას შეეხება და ალიანსის მოქმედების სფეროს კიდევ უფრო გაფართოებას ისახავს მიზნად. როგორც საპარლამენტო ასამბლეის გახსნის ცერემონიაზე ითქვა, პროგრამა მომზადებულია საქართველოს პარლამენტისა და ჟენევის შეიარაღებულ ძალებზე კონტროლის ცენტრთან ერთად.




იხ. მე-2 გვ.

## მადლობა

# აშშ-ს არასამთავრობო ორგანიზაციის „World Computer Exchange“-ის პრეზიდენტს, ბატონ ტიმოთი ანდერსონს

ბატონო ანდერსონ,

მინდა გულწრფელი მადლობა მოგახსენოთ ამ დიდი ღვაწლისათვის, რომელსაც თქვენ იჩენთ საქართველოს სკოლების კომპიუტერიზაციისათვის, ამასთან, გამოვთქვამ კმაყოფილებას იმ მხარდაჭერისათვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინეთ ჩემ მიერ ინიცირებულ პროექტს „ინტერნეტის ხიდი დიდი აბრეშუმის გზაზე – ღარიბი ახალგაზრდებისათვის“.

ძალზედ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თქვენ იმ პროექტის ერთ-ერთი თანაავტორი ბრძანდებით, რომელიც დღეს მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ აღიარებულია როგორც სანიმუშო პროექტი.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეს პროექტი დიდად შეუწყობს ხელს ციფრული განხეთქილების დაძლევას, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის.

კიდევ ერთხელ მსურს დიდი მადლობა მოგახსენოთ გაწეული მუშაობისათვის.

ედუარდ შევარდნაძე.

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში:
http://www.open.ge/sakartvelos-respublika

ჩვენს გაზეთს კითხულობენ აშშ-ში, გერმანიაში, რუსეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, უკრაინაში, ისრაელში და სხვა ქვეყნებში.

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. №237 (4296) შაბათი, 28 სექტემბერი, 2002 წელი. ფასი 50 თეთრი.

## ღლავები

### დიდ კორუფციაში

# ყველაზე ახლოს საკუთარი ჯიბეა

ალბათ, კიდევ დიდი ხანი დასჭირდება იმის სრულად გარკვევას, თუ სად, ვის ჯიბეში წავიდა სახელმწიფო თანხები „მადნეულიდან“ თუ „კვარციტიდან“. გენერალურმა პროკურატურამ რამდენიმე საქმის გამოძიება დაასრულა, ზოგი სასამართლოშიც წარმართა, მაგრამ საბოლოო წერტილის დასმა მაინც ნაადრევია. უცხოეთის ქვეყნებში, იქაურ ბანკებსა თუ ცალკეულ პირთა ჯიბეებში ჩალექილი დოლარების დათვლა უაღრესად ძნელია. ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი ნოდარ შაჰულაშვილი „მადნეულ-ინვესტის“ გენერალური დირექტორის ორ დანაშაულებრივ ეპიზოდზე მოგვითხრობს.

1995 წლის ოქტომბრიდან 1998 წლის სექტემბრამდე ელდარ ბოჭორიშვილი მუშაობდა სააქციო საზოგადოება „მადნეულის“ გენერალურ დირექტორად, რომლის აქციების 98,2 პროცენტის მესაკუთრე იყო საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო. იმავდროულად ბოჭორიშვილი გახლდათ შპს „მადნეულ-ინვესტის“ დირექტორიც.

იხ. მე-8 გვ.

„მადნეულ-ინვესტის“ გენერალურმა დირექტორმა ელდარ ბოჭორიშვილმა 40.000-მდე დოლარი მიითვისა. პროკურატურამ მას თანხა უკან დააბრუნებინა, სასამართლომ კი 5 წლით პირობითი თავისუფლების აღკვეთა აკმარა.

## აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი!

# თუ ქართველები და აფხაზები გადაწყვეტენ ერთად ცხოვრებას, მათ ამაში ხელს ვერავინ შეუშლის



უკვე მეცხრე წელია საქართველო გულისტკივილით ხვდება 27 სექტემბერს. ზუსტად ცხრა წლის წინათ ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში ეს დღე სოხუმის დაცემის დღედ ჩაიწერა. ...დაკარგული ტერიტორიები, მამა-პაპათა მიტოვებული საფლავები, გაციებული საკუთარი კერა, თავგანწირულთა ზვარაკად შეწირული სიცოცხლე... – ამ ტკივილს ყოველი ქართველი ცხრა წელია გულით ატარებს, მაგრამ იმედითა და რწმენით ცოცხლობს, რომ დაკარგულ ტერიტორიებს, მშობლიურ კერას დაიბრუნებს, და ამაოდ არ ჩაივლის გმირი შვილების თავგანწირვა.

უკვე ცხრა წელია ქართველები აფხაზეთში დაღუპულ მამულიშვილთ იხსენებენ და ყოველ 27 სექტემბერს მათი ხსოვნის პატივსაცემად მათს საფლავებზე წმინდა სანთლებს ანთებენ.

წლეულსაც, 27 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები საბურთალოსა და დიღმის ძმათა სასაფლაოებს ეწვივნენ და ჭეშმარიტ პატრიოტთა საფლავები ყვავილებით შეამკეს. ვაკის სასაფლაოზე კი საქართველოს პრეზიდენტმა პატივი მიაგო საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპული გმირის ქიული შარტავას ხსოვნას.

– რამდენიმე წლის წინათ ამ დღეს მე ხსოვნისა და იმედის დღე ვუწოდე, დღე იმათი ხსოვნისა, ვინც დაიღუპა და ამ საშინელი ტრაგედიის მსხვერპლი გახდა და იმედი იმისა, რომ ჩვენ დავიბრუნებთ აფხაზეთს, დავბრუნდებით სოხუმში და ქართველები და აფხაზები ერთად ვიცხოვრებთ, – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. – ამ მძიმე დღეს მე მივმართავ აფხაზებს. არც მათთვის არის ეს დღე გამარჯვების დღე. გამარჯვება იქნება მაშინ, როდესაც ჩვენ შევრიგდებით. მე მზად ვარ შევხვდე აფხაზთა ყველა დონის ხელმძღვანელობას და მოვძებნოთ საერთო ენა იმისათვის, რომ ქართველებმა და აფხაზებმა ერთად ვიცხოვროთ. დადგა ძალიან აქტიური მოქმედების დრო. ვფიქრობ, აფხაზებიც მზად არიან იმისათვის, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ კომპრომისები დაუშვან. თუ ქართველები და აფხაზები გადაწყვეტენ ერთად ცხოვრებას, მათ ამაში ხელს ვერავინ შეუშლის.

საქინფორმი.

## დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2002 წლის 26 სექტემბერი ქ. თბილისი

### ტიმოთი ანდერსონის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სკოლების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვაში „ინტერნეტის ხიდი დიდი აბრეშუმის გზაზე – ღარიბი ახალგაზრდებისათვის“ პროექტის მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე წარმატებით წარდგენასა და საპარტნიორო ქსელის ფორმირებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის, ქართულ-ამერიკული დისტანციური სწავლების ცენტრის შექმნისა და მისი შემდგომი ფუნქციონირებისათვის ამერიკის შეერთებული შტატების არასამთავრობო ორგანიზაცია „ვორლდ კომპიუტერ ექსჩენჯის“ პრეზიდენტი ტიმოთი ანდერსონი დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

## კანონმდებლები

# „წარმატებებს მაშინ მივაღწევთ, თუ ქვეყნის ხელისუფლება, კანონმდებლები და საზოგადოება ერთად დადგება“

პარლამენტის 27 სექტემბრის პლენარული სხდომის სამთავრობო საათზე მიწვეული იყო საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, რომელმაც დამსწრეთ გააცნო ინფორმაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში გაეროს გენერალური ასამბლეის რეგულარულ სესიაზე საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობასთან გამართული კონსულტაციების თაობაზე.

იხ. მე-2 გვ.



## კრაზანების ბუდე

# ვინ ემუქრება საქართველოს, ანუ რამ გაამწარა სერგეი ივანოვი?

რუბრიკით „დისპოზიცია“ „მოსკოვსკი კომსომოლეცმა“ 25 სექტემბრის ნომერში გამოაქვეყნა წერილი „მარტოკაცი“, რომელშიც დეტალურად აღწერილია, თუ ვინ ვის წინააღმდეგ მეგობრობს რუსეთის თავდაცვის სამინისტროში.

* * *

სამხედრო უწყების თავკაცად წელიწადნახევრის წინათ სამოქალაქო პირის დანიშვნამ (სერგეი ივანოვმა საგარეო დაზვერვის გენერლის სამხრეები რამდენიმე თვით ადრე მოიხსნა) რამდენადმე შეაცბუნა თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის კაბინეტების მკვიდრნი. სამხედროებს არასდროს ეხატებოდათ გულზე სამოქალაქოები, მაგრამ როცა „პიჯაკი“ მეთაურად დაუსვეს (რაიც არასოდეს ყოფილა), თავიდანვე ყრუ დაცვაზე გადავიდნენ.

იხ. მე-2 გვ.

## ისტორიის სარკე

# „...და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა“

### რუსეთის იმპერიული იდეის ფესვები პეტრე I პოლიტიკურ ანდერძში



რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მოწესრიგების მსურველთათვის, და, საერთოდ, ჩვენი მკითხველებისთვის, უთუოდ საინტერესო იქნება იმ დოკუმენტის შინაარსის გაცნობა, რომელსაც პეტრე I პოლიტიკურ ანდერძად XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იცნობს დასავლეთი ევროპა, თუმცა, მის შესახებ, ჩვენ თითქმის არა გვსმენია რა.

იხ. მე-3 გვ.

## პროგნოზი

# ერაყის განადგურებისათვის რუსეთს გადაახდევინებენ

### ხუთი გულუბრყვილო შეკითხვა იმაზე, თუ რატომ არ იტყვის ვაშინგტონი უარს სადამის რეჟიმის განადგურების თავის გეგმაზე

**1. რატომ ეჩქარება ბუშს ერაყზე დარტყმა?**

მიზეზი რამდენიმეა. ჯერ – ერთი, ყველაფერი ჯერ კიდევ შეუფერხებლად როდი მიდის „ალ-ყაიდას“ ხელმძღვანელების დასაჭერად. პაკისტანში შეპყრობილი ბენ ლადენის თანამებრძოლები და ნიუ-იორკის შტატში დაჭერილი იემენური წარმოშობის 5 ამერიკელი – ძალზე მორიდებული ნადავლია ქვეყნისათვის, რომლის პრეზიდენტმა ხალხს შეფიცა ყველა ტერორისტი ავაზაკის ამოძირკვა. სასწრაფოდ საჭირო იყო მორიგი მტრის „საჩვენებელი გაროზგვა“. მით უმეტეს, რომ ნოემბერში აშშ-ში გაიმართება კონგრესის შუალედური არჩევნები, სადაც რესპუბლიკელებმა შეიძლება გაიმარჯვონ.

იხ. მე-2 გვ.

## რას წერენ ჩვენზე

# ნუ მოჭრით, კაცებო, ტოტს, ნუ მოჭრით!

### რატომ ვლაპარაკობთ მომავალ ომზე ისე, თითქოს ეს ჩვენ არ გვეხებოდეს

საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ალბათობა იზრდება – ამას აღიარებს ყველა ექსპერტი. თანაც, მის სასარგებლოდ არავინ არანაირ ახალ არგუმენტს არ აყენებს. არ ისმის გარკვეული პასუხებიც გამოკვეთილ კითხვებზე. ვერავინ ხეირიანად ვერა და ვერ განმარტა, ბომბებისა და სპეციალური დანიშნულების რაზმების მეშვეობით როგორ უნდა დაიჭირონ ბოევიკები, რომლებიც ხეობიდან გავიდნენ და საქართველოში მიმოიფანტნენ. თანაც, საქართველო ბოევიკთა არც ერთადერთი, და, ალბათ, არც ყველაზე მთავარი საყრდენი პუნქტი არ არის.

იხ. მე-3 გვ.

## ყურადღება!

გაზეთის დღევანდელი ნომრის მე-5-მე-6 გვერდებზე ვაქვეყნებთ პროკურატურის სისტემაში ჩასატარებელი საკვალიფიკაციო გამოცდის ტესტებს (სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალი).

ტესტების სწორი პასუხები ხვალინდელ ნომერში გამოქვეყნდება.

## ინფორმაცია

### დარჩება თბილისი უსინათლოდ?

27 სექტემბერს საბითუმო ბაზრის დირექტორი ალბერტო სოლისი „ეი-ი-ეს თელასის“ ხელმძღვანელობას შეხვდა. მოლაპარაკება, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, უშედეგოდ დამთავრდა. როგორც ცნობილია, საბითუმო ბაზარი „ეი-ი-ეს თელასისაგან“ 34 მილიონი ვალის დაფარვას მოითხოვს. თელასის ხელმძღვანელობა კი მხოლოდ 26 მილიონის გადახდაზეა თანახმა და საბითუმო ბაზარს ვალის დანარჩენი ნაწილის გაყინვის პირობას უყენებს. ალბერტო სოლისი თელასის ამ წინადადებას არ ეთანხმება და ამავე დღეს ხელი მოაწერა ბრძანებას, რომ 3 ოქტომბრიდან „ეი-ი-ეს თელასს“ ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება. შესაბამისად, 3 ოქტომბრის დილის 10 საათიდან თბილისის ყველა საარსებო ობიექტს შეუწყდება ელექტროენერგია. ორივე მხარე აცხადებს, რომ კომპრომისს არ დაუშვებენ. რთული სიტუაციიდან გამოსავლის მოსაძებნად თელასს ერთი კვირის ვადა აქვს.

### ბრალდებების დასაბუთება ურჩია

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ თედო ჯაფარიძემ პარასკევს უარყოფითად შეაფასა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის ხუთშაბათის განცხადება, რომლითაც რუსეთი პრევენტიულ ზომებს მიიღებს, თუ ინგუშეთში გელაევის მომხრეთა პანკისის ხეობიდან გადასვლა დადასტურდება.

მან სერგეი ივანოვს ურჩია, რომ დაასაბუთოს ქართული მხარის მიმართ გამოთქმული ბრალდებები.

იგი იმედოვნებს, რომ რუსი კოლეგები თავს შეიკავებენ ისეთი ნაბიჯისაგან, როგორიცაა დაბომბვა.

### ვაჟა ლორთქიფანიძე მოსკოვში შეხვედრებს მართავს

პოლიტიკოსი ვაჟა ლორთქიფანიძე, რომელიც გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის“ მიერ გამართულ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პრობლემებთან დაკავშირებულ „მრგვალ მაგიდაში“ მონაწილეობდა, მოსკოვში შეხვედრებს მართავს.

ლორთქიფანიძე შეხვდა რუსეთის დუმის დსთ-ს ქვეყნების კომიტეტის თავმჯდომარეს ბორის პასტუხოვს, სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტს, დეპუტატ ევგენი პრიმაკოვს, ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარეს სერგეი მირონოვს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს სერგეი სტეპაშინს და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ალექსანდრე ვოლოშინს.

მისი თქმით, ყველა შეხვედრაზე გამოთქმული სხვადასხვა პრეტენზიის მიუხედავად, აღინიშნა, რომ არ შეიძლება საქართველო-რუსეთის ურთიერთობები ჩეჩნეთის პრობლემის მძევალი გახდეს.

ვაჟა ლორთქიფანიძე მოსკოვში შეხვედრებს აგრძელებს.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: საქინფორმმა და პრაიმ-ნიუსმა.

## უკანასკნელ საათს



ვაშინგტონის პოლიციამ დააპატიმრა 300 დემონსტრანტი – ორგანიზაცია „ანტიკაპიტალისტური კონვერგენციის“ წევრები, რომლებმაც ალყაში მოაქციეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის შენობა. დემონსტრანტების დასაშლელად ცრემლსადენი გაზი გამოიყენეს.



სენეგალის სანაპიროსთან ჩაიძირა ბორანი, რომელსაც 800 მგზავრი გადაჰყვდა. ოფიციალურად დაღუპულად გამოაცხადეს 42 ადამიანი, თუმცა კატასტროფის მსხვერპლი ასეულობითაა. სენეგალში სამდღიანი გლოვა გამოცხადდა.

## ამინდი დღეს

**დასავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| დაბლობში: | ღამით +18; | დღისით +30; |
| მთაში: | ღამით +15; | დღისით +26; |

**აღმოსავლეთ საქართველოში**

| | | |
|---|---|---|
| ბარში: | ღამით +17; | დღისით +33; |
| მთაში: | ღამით +13; | დღისით +28; |

**თბილისში**

მცირე მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ღამით +17; დღისით +33.

საქართველოს ჰიდრომეტდეპარტამენტი.

## ლარის კურსი

*28 სექტემბრიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:*

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვ. | 1 | 3.3876 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.175 ლარი |
| ევრო | 1 | 2.1267 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0688 ლარი. |

## გიხაროდენ!

# ქეთევანი ქეთევანობის დღეს დაიბადა



26 სექტემბერს, ქეთევანობა დღეს, ჩვენს მეზობელ მაისურაძეების ახალგაზრდა ოჯახში გოგონა დაიბადა, მას ქეთევანი დაარქვეს. ახალშობილის ბებიასაც ქეთევანი ჰქვია.

ქეთევან ბებიამ ჩვილს შინ ყველა აუცილებელი ნივთი გაუმზადა, მაინც რა საოცრად თბილები არიან ეს ბებიები.

ეთერ ტაბატაძე,
თბილისი, ხეთაგუროვის ქუჩა.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– მსწავლობ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფასო მოსამზადებელ განყოფილებაზე, მყავს II ჯგუფის ინვალიდი მშობლები. 2002 წლის თებერვლიდან შემეწყვიტა საოჯახო დახმარება იმ მოტივით, რომ შემისრულდა 18 წელი.

რამდენად კანონიერია ასეთი გადაწყვეტილება?

ნაირა კვარაცხელია.

– სოციალური (ოჯახური) დახმარება ენიშნებათ უმწეო მდგომარეობაში მყოფ იმ პენსიონერებისაგან შემდგარ ოჯახებს, რომლის არც ერთ წევრს არ ჰყავს შრომისუნარიანი მარჩენალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენ უკვე სრულწლოვანი და შრომისუნარიანი ხართ, სოციალური დახმარების განყოფილების გადაწყვეტილება, სამწუხაროდ, კანონიდან გამომდინარეა.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-28-54.

## ინტერპანორამა

„ბოლოს და ბოლოს იგი მამაჩემის მოკვლას ცდილობდა“, – განაცხადა გუშინ აშშ პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა და ამით დაასაბუთა ერაყის ლიდერის სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის აუცილებლობა. უფროს ბუშზე თავდასხმა 1993 წელს კუვეიტში ვიზიტის დროს სცადეს.



აშშ და დიდი ბრიტანეთის ავიაციამ ერაყის სამხრეთში აეროპორტი დაბომბა. მთლიანად დაინგრა რადარი, რომელიც ფრენის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. დაზიანდა სადისპეტჩერო სამსახურის შენობა და აეროვაგზალი.



ერაყთან ომის შემთხვევაში ისრაელი ატომურ იარაღს გამოიყენებს, – ასეთი შიში გამოთქვა ერაყში გაეროს ინსპექტორთა ჯგუფის ყოფილმა მეთაურმა. „კონფლიქტის შემთხვევაში ისრაელი ამ იარაღს გამოიყენებს და მაშინ მსოფლიო მთლიანად შეიცვლება, ხოლო ისრაელი არსებობას შეწყვეტს“, – თქვა მან.

## პარლამენტის თავმჯდომარე

# საქართველოს უსაფრთხოება „როუზ-როსის" სემინარზე

(პირველი გვერდიდან)

განხილვის მთავარი თემები იქნება: თავდაცვის რეფორმა საქართველოში; ევროპული რეგიონის განვითარებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხები და რეგიონალური კონფლიქტების მოწესრიგება სამხრეთ კავკასიაში.

სემინარი ორ დღეს გაგრძელდება. მის მუშაობაში მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტისა და სამთავრობო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი და უცხოეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

სემინარზე არ ჩამოვიდა რუსეთის ფედერაციის დელეგაცია, რომელსაც სხვა ქვეყნების მსგავსად, საკითხების განხილვაში მონაწილეობა უნდა მიეღო.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, რომელიც სამაგიდო სემინარის გახსნას ესწრებოდა, აღნიშნა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ფორუმის საქართველოში ჩატარება, სწორედ ამ პერიოდში, როდესაც რუსეთი ჩვენი ქვეყნის მიმართ ზეწოლას ახორციელებს, შემთხვევითი არ არის და საქართველოს ორიენტაციას ადასტურებს. საქართველო, როგორც სუვერენული და დემოკრატიული სახელმწიფოსათვის.

საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ნდობის ამაღლებასა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისათვის, სამომავლო ამოცანებს სახელმწიფოს მშენებლობის, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების სფეროში, ხელისუფლება და საზოგადოება ერთად უნდა ახორციელებდნენ, — ასეთი იყო სემინარის მონაწილეთა აზრი.

პარლამენტის თავმჯდომარემ სემინარის მონაწილეებს 27 სექტემბრის — როგორც აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის დღის თარიღი აღნიშნა, რომ ეს ტრაგიკული დღე საქართველოს ისტორიაში ჩაიწერა და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ნინო ბურჯანაძემ სემინარის მონაწილეებს ისიც აცნობა, რომ სწორედ ეს არის მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტისკენაც მიმართულია საქართველოს საგარეო პოლიტიკა. ნინო ბურჯანაძის თქმით, ამ რთულ ვითარებაში ჩვენი მთავარი ამოცანა არის საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია. ამასთან დაკავშირებით, ნინო ბურჯანაძემ განაცხადა: „საქართველოს ლტოლვა ერთიან ევროპულ ოჯახში გაერთიანებისა და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ და ხალხმა კარგა ხნის წინათ დაადასტურა. მინდა, ხმამაღლა განვაცხადო, — ეს შეუქცევადი პროცესია, რა ძვირადაც არ უნდა დაგვიჯდეს".

„საქართველოს ხელისუფლება დიდ ჩრდილოელ მეზობელთან ყოველმხრივი თანასწორუფლებიანი პარტნიორობის მომხრეა, მაგრამ ცხადია, ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და პრიორიტეტების დათმობის ხარჯზე. სწორედ ამიტომ ისჯება საქართველო რუსეთის მხრიდან, რადგან თავს უფლება მივეცით, საკუთარი პოლიტიკა დამოუკიდებლად განვახორციელოთ", — დასძინა პარლამენტის თავმჯდომარემ და აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო ალიანსი სწორედ ის საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელიც სათანამშრომლობოდ გაიწვევს ისეთ ძლიერ და ავტორიტეტულ სამხედრო-პოლიტიკურ კავშირთან, როგორიცაა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია. ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" პროგრამის სამხედრო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის ერთად „როუზ-როსის" სემინარის მონაწილეები ეცნობიან საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმებს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მოხსენების შემდეგ, საქართველოს სამხედრო მიზნების შესახებ სემინარის მონაწილეებს ისაუბრა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესზე, სამხედრო-პოლიტიკური საკითხებისა და ამ სფეროში არსებული სირთულეების შესახებ.

სემინარის გახსნის შემდეგ მონაწილეებს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანმა და საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სიტყვით მიმართეს.

„როუზ-როსის" სემინარი 29 სექტემბრამდე გაგრძელდება.

საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური.

## კანონმდებლები

# „წარმატებებს მაშინ მივაღწევთ, თუ ქვეყნის ხელისუფლება, კანონმდებლები და საზოგადოება ერთად დადგება"

(პირველი გვერდიდან)

როგორც ირაკლი მენაღარიშვილმა განაცხადა, ვაშინგტონში გამართული შეხვედრების დროს განიხილეს ნიუ-იორკში იმ დღეებში რუსეთის წარმომადგენლებთან ცალკეობით შეხვედრების საკითხები, საქართველოს დელეგაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებები და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობასთან გამართულ დიალოგზე. იმ ტერიტორიაზე, სადაც რუსეთმა ჯარი უნდა გაუწიოს, აღნიშნა მინისტრმა. მან ილაპარაკა გაეროში საქართველოს დელეგაციის მუშაობაზე და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელობასთან გამართულ დიალოგზე.

ირაკლი მენაღარიშვილმა კიდევ ერთხელ აღნიშნა ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ერთმნიშვნელოვნად გამოხატა თავისი კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და მხარდაჭერა საქართველოსადმი და საქართველოს მიერ პანკისის ხეობაში დაწყებული ანტიკრიმინოგენული ოპერაციისადმი და ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ამ ოპერაციის ბოლომდე მიყვანა.

* * *

**1993 წლის 27 სექტემბერი — სოხუმის დაცემის დღე — საქართველოს უახლესი ისტორიის უმძიმესი თარიღია და იგი ასეთად დარჩება. 27 სექტემბრის ხსოვნა, აფხაზეთში ომის დროს დაღუპულთა ხსოვნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზეც აღნიშნეს.**

პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არ შეიძლება ამ ტრაგიკულ დღეებში კიდევ ერთხელ ხაზგასმით არ აღვნიშნოთ თითოეული იმ ადამიანის გმირობა, რომლებმაც თავი დასდეს საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლაში, რომელთათვისაც საარსებო მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ერთიანობას და რომელთაც ვერ წარმოედგინათ საქართველო უაფხაზეთოდ.

პარლამენტმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ხსოვნას.

* * *

პარლამენტმა 27 სექტემბრის სხდომაზე განიხილა, რომ ჩვენი ქვეყანა „ბავშვთა უფლებების შესახებ" კონვენციის „ფაკულტატიური ოქმის" მიღებისათვის გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებულ დოკუმენტს შეუერთდა, როგორც სახელმწიფოს ბავშვთა უფლებების დაცვის გარანტი.

როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, კონსტანტინე გაბაშვილმა, სესიის დასრულებამდე ოქმთან შეერთებაზე სამართლებრივი პოზიციებით დაინტერესებულ პირებს ოქმის პროექტი საქინფორმის კორესპონდენტს განუცხადეს, აღნიშნულ ოქმთან შეერთება ხელს შეუწყობს ბავშვთა უფლებების დაცვას და ეფექტიან მექანიზმს შექმნის დანაშაულებრივ ქმედებებთან საბრძოლველად.

საქინფორმი.

## კრემლის ბუდე

# ვინ ემუქრება საქართველოს,

## ანუ რამ გაამწარა სერგეი ივანოვი?

(პირველი გვერდიდან)

გენერლებმა ამ უცხოს თავდაცვის უწყებაში მოეკიდნენ, იგი რუსეთის „ახალ ცოცხს" ემსგავსებოდა. მაგრამ მასობრივი წმენდა არ დაიწყო, რაც ამ ჩაბარებამ...



არც „ივანოვის გუნდი", რომელიც თავის მოადგილეების სახით მან შემოიყვანა, არ გახდა ახალი ხელმძღვანელობის დამრგვალება. მეტიც, მინისტრის ასარჩევი ცოცხის გამოყენების ნაცვლად ერთი-ორი გენერალ-ჩვეულები ღამთავრების ნიშნად მოეპყრა. ამით დამთავრდა „კონცეპტუალური" თანამშრომლის პოზიციების გამაგრება სამხედრო უწყებაში. მეტი რომ არა ვთქვათ რა...

თავდაპირველად გენერლებს აშკარად ეშინოდათ სერგეი ივანოვის. რაც არ უნდა იყოს, პრეზიდენტთან დაახლოებული კაცია და მისი უფლებამოსილება აშკარად ჭარბობს მინისტრის დონეს. თანაც არმიაში „გადმოაგდეს" არა სახალისოდ, არამედ კარდინალური ცვლილებების განსახორციელებლად და წესრიგის დასამყარებლად. ასეთისგან ყველაფერს უნდა ელოდო. თადარიგში დათხოვნასაც კი. მაგრამ საკმარისი იყო სულ მცირე დრო იმისთვის, რომ გენერალიტეტს გაეგო: მათი უფროსი სრული დილეტანტია სამხედრო საქმეში. და, რაც მთავარია, ახალმა მინისტრმა ვერ იპოვნა სამხედრო სფეროში ნამდვილი მოკავშირეები, რომლებიც მას დაეხმარებოდნენ არა მხოლოდ ჯარების სარდლობაში, არამედ სამხედრო მშენებლობის პროფესიულად წარმართვაში.

გენერალური შტაბის უფროსის, არმიის გენერლის ანატოლი კვაშნინის ფიგურა თავდაცვის სამინისტროსთვის ფრიად მნიშვნელოვანია. სამხედრო უწყებაში იგი „მეორე პირია", მაგრამ სწორედ მას უპყრია მართვის სადავეები და არ მალავს, რომ სურს „პირველი" გახდეს. თავის დროზე სწორედ მან გადმოაგდო მინისტრის სავარძლიდან მარშალი სერგეევი. ვარაუდობდნენ, რომ იგი თავის ადგილს ვერ შეინარჩუნებდა, მაგრამ ანატოლი ვასილევიჩმა მშვიდობიანად გადაიტანა მინისტრების შეცვლის არეული ქამი. და... ისევ ძველ საქმეს შეუდგა, რაც ადვილად პროგნოზირებადი იყო. თუმცა, ამჯერად იგი ისე სწორხაზოვნად არ მოქმედებს, როგორც ხანდაზმული მარშლის წინააღმდეგ, პირიქით, — ფარულად, დაკვირვებით, თანამზრახველი გენერლების შემოკრებით. ანატოლი კვაშნინი მართლა იცნობს არმიის ცხოვრებას, ახლო ურთიერთობა აქვს მაღალჩინოსან სამხედროებთან მოსკოვშიც და პერიფერიაშიც. პირველი სამოქალაქო უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი სამხედრო ქვაბში იხარშება, ლეიტენანტობიდან მოყოლებული ოფიცრისა და გენერლის თანამდებობა გაიარა, კარგად ფლობს მდგომარეობას სამხედრო ნაწილებში. საბრძოლო მოქმედებები ერთმანეთის მსგავსი... დღეისოდ იგი ერთ-ერთი საუკეთესო პროფესიონალია რუსეთის არმიის სარდლობაში. ყველაფერი კარგად იცის ახალ მინისტრზე, რომელიც დიდი ხანია... და გაუხარებელი ამბიციურობა.

როგორც ერთმა გენერალმა მეგობრულ საუბარში აღნიშნა, თავდაცვის სამინისტროში არაფერი არ შეცვლილა — შეცვლილ მინისტრთან, მაგრამ იგი პირველ ვიოლინოზე არ უკრავს, მთავარი მატარებელში ბრიგადირია. „მემანქანე" შეიძლება იყოს ივანოვ-პეტროვ-სიდოროვი, მაგრამ „ბრიგადირი", რომელიც მატარებელში ყველაფერს უზრუნველყოფს, წყვეტს — ვინ მოხსნან, ვინ — დაიჭირონ, ვის მიართვან ჩაი. ბრიგადირი ანატოლი კვაშნინია. „მგზავრებმა" — გენერლებმა მალე ამოხსნეს ეს კროსვორდი და გაითავისეს ვის „ემმონ და ემეგობრონ".

თავდაცვის სამინისტროში გენერლების სიმპათიები აშკარად არ ეკუთვნის მინისტრს. მასთან ერთად სანგარში სხედან მხოლოდ ნიკოლაი პანკოვი და ანდრეი ჩებოტარევი, რომელთაც სერგეი ბორისოვიჩისადმი პირადი ერთგულების მიუხედავად, არ ძალუძთ გაერკვნენ არმიის პრობლემებში. ის კი არა, ყველა დოკუმენტის შესწავლის ძალა არ შესწევთ.

თანდათან ფრთები შეუკვეცეს „ივანოვის პირველწვეულებს", სხვას ყველას თავი რომ დავანებოთ, ყველაზე მეტად დემილიტარიზებული მისი მოადგილის ლუბოვ კუდელინას ნეიტრალიზებაც კი შესძლო ანატოლი კვაშნინმა თავისი „უბრალოებით" და ამჟამად ეს ქალბატონი — მინისტრის მოადგილე ყურებამდეა შეყვარებული სამხედრო კოლეგებში.

„გუნდში" ჯერ კიდევ რჩება ალმშრილებლობის მუშაობის მთავარი სამმართველოს უფროსი ალექსანდრ ლებედი... კოსტოვი... ნიკოლაი რეჩნიკი... ახალი თანამდებობა სჭირდებოდა გენერალ-პოლკოვნიკის სამხრეების მისაღებად.

საკმაოდ უცნაური მდგომარეობა ჩამოყალიბდა საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდლის გიორგი შპაკის გარშემო. ანატოლი კვაშნინმა დიდი ხანია, კონკურენტად აღიქვა იგი, რადგან შეამჩნია, რომ შპაკი თავდაცვის მინისტრის და პრეზიდენტ პუტინის ფავორიტია და სავსებით შესაძლებელია, რომ მის ალტერნატივად მოიაზრებოდეს გენშტაბის უფროსის პოსტზე, რამდენჯერმე შეეცადნენ დაეშალათ ან შეემცირებინათ საჰაერო-სადესანტო ჯარები, ამოწმებდნენ თითოეულ „ჩეპეს" დიდი ხმაურის და „დაწოლის" საგნად ხდიდნენ. გენერალი კვაშნინი არ მალავს, რომ განახორციელებს თავის გეგმებს მედესანტეებისა და შპაკის წინააღმდეგ, როგორც კი ხელთ იგდებს სრულ ძალაუფლებას. ასეთ სიტუაციაში ცხადზე უცხადესია, რომ არც მედესანტეებს ეხატებათ გულზე გენშტაბის უფროსი...

ვის მხარეს არიან დანარჩენი გენერლები? ამაზე არც მსჯელობენ...

სახმელეთო ჯარების მთავარსარდალი ნიკოლაი კორმილცევი, მთავარი სადაზვერვო სამმართველოს უფროსი ვალენტინ კორაბელნიკოვი, გენერალური შტაბის უფროსის პირველი მოადგილე იური ბალუევსკი, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი ვლადიმირ მიხაილოვი სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ვლადიმირ კუროედოვი — კვაშნინის ხალხია ყველა უკლებლივ. მთავარი ერთად ერთი მწვერვალი, რომლის დასაპყრობადაც ყველაზე... ივანოვის, კოსოვანს კი ნეიტრალური პოზიცია უკავია...

დღეისთვის თავდაცვის სამინისტროში საბოლოოდ მიხვდნენ, რომ ივანოვზე საკუთარი მომავლის აგება არ შეიძლება. ყველაზე უფრო საშინელი კი ის არის, რომ იგი მიხვდა, რომ მინისტრის პოსტზე თავად არაფერს წარმოადგენს. სავარაუდოა, რომ იგი არც ცდილობდა რაიმე კონკრეტული ეღონა, რადგან იცოდა, ამ თანამდებობაზე იგი დროებითი კაცია. თუმცა, თავისი მთავარი ამოცანა შეასრულა — უმაღლეს მთავარსარდალს არმიის ერთგულება შეუნარჩუნა. უფრო მეტის გაკეთება ერთ კაცს, თუნდაც მინისტრს, არ შეუძლია. მით უფრო, როცა ისეთი ქვეშევრდომი ყავს კონკურენტად, როგორიც ანატოლი კვაშნინია.

რეზიუმე საკმაოდ სევდიანი გამოდის. უწინარესად კი თვით არმიისათვის. არა კონკრეტული გვარებისა გამო (კვაშნინის და ივანოვის შეცვლას არმიაში ვერც გაიგებენ), არამედ იმიტომ, რომ მთელი სამხედრო მშენებლობა რუსეთში ორ საგნამდეა დაყვანილი: ფულადი ანაზღაურების გაზრდა და საცხოვრებლების მშენებლობა.

ერთიცა და მეორეც აშკარად მოიკოჭლებს.

მაშ, რატომ ქოთქოთებენ გენერლები?!

ვიქტორ სოკირკო,
„მოსკოვსკი კომსომოლეცი"
№215.

## ორბიტაზე

# რუსეთის მორიგი პროვოკაცია

**სტრასბურგი. საქინფორმის სპეციალური კორესპონდენტი ნინო ზაზრიაძე იტყობინება:**



27 სექტემბერს ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა ქართველ ჟურნალისტებთან ექსკლუზიურ ინტერვიუში რუსეთის საინფორმაციო სააგენტოს იტარტასის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას „პროვოკაცია და საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული საინფორმაციო ომის ნაწილი" უწოდა.

ვალტერ შვიმერის განცხადებით, 26 სექტემბერს საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთის დარღვევის ფაქტზე ორივე სახელმწიფოს მთავრობებმა თანაბრად უნდა იკისრონ პასუხისმგებლობა. როგორც ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა თქვა, საქართველოსა და რუსეთის შესაბამისმა უწყებებმა ორ ქვეყანას შორის არსებული საზღვრის მონაკვეთები შეთანხმებულად, თანამშრომლობის საფუძველზე უნდა აკონტროლონ.

რაც შეეხება რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის 27 სექტემბრის განცხადებას, საქართველოს წინააღმდეგ შესაძლო სამხედრო აგრესიის განხორციელების თაობაზე, ვალტერ შვიმერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის საბჭო არ დაუშვებს მისმა წევრმა სახელმწიფომ, ამ შემთხვევაში, რუსეთმა ძალისმიერი მეთოდი გამოიყენოს ამ ორგანიზაციის მეორე წევრი ქვეყნის მიმართ.

**— რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიას ვერ განახორციელებს, ეს მოქმედება კატეგორიულად ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს პრინციპებს და ორი დღის წინათ საპარლამენტო ასამბლეის მიერ პანკისის ხეობაში შექმნილი სიტუაციის შესახებ მიღებულ რეკომენდაციათა პაკეტს,** — განაცხადა ვალტერ შვიმერმა.

ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაჩნია, რომ საქართველო-რუსეთს შორის კონსტრუქციული დიალოგი უნდა გაგრძელდეს, ორი ქვეყნის დაძაბული ურთიერთობა კი მხოლოდ პოლიტიკური მეთოდით მოგვარდეს.

**— იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ სამხედრო აგრესიას განახორციელებს, ევროპის საბჭო რადიკალურ გადაწყვეტილებებს მიიღებს,** — განაცხადა ვალტერ შვიმერმა.

იმავე დღეს ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა საქართველო-რუსეთის საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთის დარღვევის ფაქტზე და იქ მომხდარ ინციდენტზე ინტერვიუ მისცა რუსეთის ტელეკომპანია НТВ-ს. ევროსაბჭოს გენერალური მდივნის პრესმდივნის რენატა ზიგმუნდის მტკიცებით, შვიმერმა რუს ჟურნალისტებთან საუბრისას ანალოგიური პოზიცია დაადასტურა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ საზღვრის დარღვევის შემთხვევაში ორი სახელმწიფოს მთავრობებმა პასუხი თანაბრად უნდა აგონ.

ორშაბათს, 30 სექტემბერს დაგეგმილია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის ვალტერ შვიმერისა და ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლის, ელჩის ლანა ღოღობერიძის პირისპირ შეხვედრა, რომელზეც მხარეები კონკრეტულად განიხილავენ რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ პრობლემათა მთელ სპექტრს.

## პრესკონფერენცია

**საინტერესო რამ ხდება: მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის უცნობი და უმნიშვნელო რომელიმე გეოგრაფიული სახელწოდება უცებ საქვეყნოდ გახმიანდება ხოლმე და მყარად მკვიდრდება მახსოვრობაში. ასე დაემართა პანკისს. ადამიანებმა, რომლებსაც საქართველოც კი არ სმენიათ, იციან პანკისი, თანაც უბრალოდ კი არ იციან, არამედ იციან, რომ იგი „ტერორისტების ბუდეა" და ამ ბუდის განადგურებას აპირებს კეთილშობილი რუსეთი. ერთი სიტყვით, იციან ის, რასაც დაუღალავად იმეორებენ რუსეთის პრეზიდენტი, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, პრესა და რადიო-ტელევიზია.**

**არადა, პანკისში უკვე აღარ არიან ჩეჩენ ბოევიკთა რაზმები. პანკისში დასრულდა ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული სპეციალური ოპერაციის აქტიური ფაზა.**

**ამის შესახებ ითქვა გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში გამართულ შინაგან საქმეთა მინისტრ კობა ნარჩემაშვილის, უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას, შეიარაღებული ძალების შტაბის უფროსის ჯონი ფირცხალაიშვილის და სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვალერი ჩხეიძის პრესკონფერენციაზე.**

# პანკისი ის საფრთხობელა აღარ არის

— სპეცოპერაცია 25 აგვისტოს დაიწყო და უშიშროების საბჭოს გეგმის შესაბამისად წარიმართა. ეს იყო ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომელსაც სამხედრო კომპონენტიც ახლდა. ძირითადად ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. სულ ამ პერიოდში სხვადასხვა ადგილას დაკავებულია პანკისთან ასე თუ ისე დაკავშირებული 41 ძებნილი, მათ შორის 7 ჩეჩენი ბოევიკი და უშუალოდ პანკისის ხეობაში აყვანილი 17 კაცი. ლიკვიდირებულია 2 ბოროტმოქმედი. ამოღებულია დიდძალი იარაღი, რამდენიმე მანქანა სამხედრო ამუნიცია, იდეოლოგიური ლიტერატურა, გატაცებული ავტომანქანები. ხეობა მთლიანად გაიწმინდა, იქ განლაგებულია ბლოკ-პოსტები. ეს ყველაფერი თავდაცვის სამინისტროს, მესაზღვრეებისა და უშიშროების სამინისტროს უშუალო მხარდაჭერით განხორციელდა. საგანგებოდ მინდა აღვნიშნო, რომ მთელი ამ კამპანიის მანძილზე ჩვენ მხოლოდ ორი კაცი დაგვეჭრა მსუბუქად. ახლა აქტიურმა ეტაპმა მეორე პლანზე გადაინაცვლა, შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროები ძირითადად უკვე ოპერატიულ მუშაობაზე გადავალთ, ასე რომ, პანკისი ის საფრთხობელა აღარ არის, გუშინ რომ იყო, ხვალზეგ კი პანკისის პრობლემა საერთოდ მოიხსნება, — თქვა კობა ნარჩემაშვილმა.

ვალერი ხაბურძანიამ ხაზი გაუსვა, რომ ყველა უწყებამ პირნათლად შეასრულა თავისი მოვალეობა სპეცოპერაციისას. და ეს მოხდა იმიტომ, რომ წინ უძღოდა უშიშროების სამსახურის ხანგრძლივი ოპერატიული მუშაობა. ჩვენი მიზანი იყო პანკისის ხეობაში აღარ ყოფილიყვნენ ჩეჩენი ბოევიკები და ჩვენ ამას მივაღწიეთ — პანკისში ისინი აღარ არიან.

ჯონი ფირცხალაიშვილმა ჟურნალისტებს ამცნო, რომ სპეცოპერაციაში ჩართული იყო თავდაცვის სამინისტროს გარკვეული ძალები. ამ ღონისძიებას დაემთხვა სწავლება „კახეთი-2002". კმაყოფილი ვართ, სწავლების პროგრამაში შედიოდა ძალოვან სტრუქტურებთან ურთიერთმოქმედება, მთაგორიან ადგილებში მარშების მოწყობა და დიდი შენაერთების გადასროლა და ყველაფერი მშვენივრად განხორციელდა.

საზღვრის დაცვის ნაწილები მუდმივ გაძლიერებულ რეჟიმში იყვნენ. გირევის საგუშაგოზე 13 ჩეჩენი ბოევიკი დავაკავეთ, ახლახან კი — კიდევ ოთხი. ყველა საკონტროლო-გამტარ პუნქტზე ასევე გაძლიერებული რეჟიმია — აღიკვეთა უცხო ქვეყნის რამდენიმე მოქალაქის უკანონო შემოსვლა. დღეს სიტუაციას ძირითადად ვაკონტროლებთ. ამ დღეებში საზღვრის ინგუშეთის მონაკვეთზე დამატებით 2 საგუშაგოს გავხსნით — განაცხადა ვალერი ჩხეიძემ.

კითხვაზე, დარჩნენ თუ არა დღეისათვის საქართველოში ჩეჩენი ბოევიკები, პრესკონფერენციის მონაწილეებმა უპასუხეს, არ გამოვრიცხავთ, რომ საზღვრის პარამეტრზე იყვნენ პატარ-პატარა ჯგუფები, და ყველა სამსახური გააძლიერებს ოპერატიულ მუშაობასო.

რაც შეეხება იმას, დღეს ინგუშეთში ბრძოლაში ჩაბმული რაზმი საქართველოდან გადავიდა თუ არა, დაბეჯითებით შეიძლება მხოლოდ იმის თქმა, რომ ის რაზმი თავის დროზე ჩეჩნეთში იყო. და თუ იგი ასე თავისუფლად აღმოჩნდა ინგუშეთში, ეს სწორედ რუს მესაზღვრეებს უნდა მოეკითხოთ, რომლებიც ხელისუფლებას დიდი რიხით მოახსენებენ საზღვარი გადაკეტილი გვაქვსო, ახლა კი მოთქვამენ, 150 ბოევიკი გადმოვიდა საქართველოს საზღვარზეო. ჩვენგან ითხოვენ 400 ბოევიკის დაკავებას და მათთვის გადაცემას. ჩეჩნეთში ომი აქამდე იმიტომ ვერ დავამთავრეთ, რომ მთაგორიანი რელიეფია და გვიჭირს ამ პირობებში ომიო. და მაინც, ახლა საქართველოში აპირებენ ექსპერიმენტის ჩატარებას. ჩეჩნეთში 800 კვადრატული კილომეტრია მთაგორიანი, ჩვენთან კი ორჯერ მეტი! ამას წინათ მათ ხანკალში ცხვირწინ ჩამოუგდეს შვეულმფრენი და 115 კაცი მოუკლეს. თავისთან ვერ გაუწმენდიათ ტერიტორია და ჩვენ თითს გვიქნევენ. კიდევ კარგი, ის რაკეტა შვეულმფრენი რომ ჩამოაგდო, პანკისიდან ნასროლად არ ჩათვალეს. სულ 100 დოლარი (!) ღირს პისტოლეტიანი კაცის რუსეთის საზღვარზე შესვლა. ასეთია რუსი მესაზღვრის „ტაქსა". საინტერესოა, რა „მაკომპრომეტირებელი მასალები" წარუდგინა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა ვაშინგტონს საქართველოს ჩეჩნებთან დანაშაულებრივ კავშირებზე. აი, ჩვენ მართლა გვაქვს მასალები რუსეთის სამხედროების ურთიერთობაზე ჩეჩენ ბოევიკებთან.

— რა მოხდება თუ რუსეთმა მუქარა შეასრულა?

— რაც შეგვიძლია, თავს დავიცავთ. თავდაცვის სამინისტროს ხელისუფლებამ დამატებითი ასიგნებანი გამოუყო იარაღის შესაძენად. გვაქვს მოფიქრებული და სათანადოდ შეთანხმებული თავდაცვის გეგმა. ისე რომ, იოლად ვერ ჩაგვახრამუნებენ, ყელზე დავადგებით! — ითქვა ბოლოს!

ალეკო ასლანიშვილი.

## პროგნოზი

# ერაყის განადგურებისათვის რუსეთს გადაახდევინებენ



(პირველი გვერდიდან)

მეორეც, ვაშინგტონისათვის საძულველი სადამი გამოსადეგია იმისთვის, რომ ტერორისტულ განზრახვებშიც შეიძლება დაადანაშაულო და ძველი ცოდვებისთვისაც ბოლოს და ბოლოს პასუხი აგებინო. ბაღდადელებს მთელ საუკუნეს ხომ არ ათელინებ ასფალტზე დახატული ბუში-უფროსის პორტრეტს. შვილი-პრეზიდენტი ჩქარობს, დაამთავროს ის, რის გაკეთებაც ვერ მოასწრო მამამისმა 11 წლის წინათ ოპერაციის „ქარიშხალი უდაბნოში" მიმდინარეობისას.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი: სადამი მართავს მსოფლიოში ნავთობის მარაგის მიხედვით მეორე ქვეყანას (საუდის არაბეთის შემდეგ). ზის 115 მილიარდ ბარელ „შავ ოქროზე" და არავის არაფერს უნაწილებს.

წარმატებული სამხედრო ოპერაციის შედეგად ამერიკას ექმნება აბსოლუტურად რეალური შანსი ხელში ჩაიგდოს ყოველივე ეს, როცა იმ რეჟიმის „მეურვე" გახდება, რომელიც ახლანდელის ნაცვლად მოვა.

### 2. რატომ არ დაწყნარდნენ ამერიკელები მას შემდეგ, რაც ბაღდადი ქვეყანაში საერთაშორისო ინსპექტორების შეშვებაზე დათანხმდა?

არა თუ დამშვიდდა, არც კი დაუფარავს თავისი აშკარა გაღიზიანება. აბა, როგორ — პენტაგონს სადამის დამხობის ოპერაცია დეტალურად აქვს შემუშავებული და ამ დროს, მოულოდნელად, რუსეთმა და არაბულმა ქვეყნებმა დაითანხმეს „ულვაშა", ერაყში გაეროს რევიზორების ჩასვლის ნება დაერთო. გამოდის, რომ მუშტები ტყუილ-უბრალოდ უნდა იქნიო.

სწორედ ამიტომ პრეზიდენტ ბუშს იმპროვიზება მოუხდა: სადამს არ მივცემ მსოფლიოს ისევ გაპამპულების უფლებასო. სახელმწიფო მდივანი პაუელი კი გაეროს მიაწვა, — ერაყის საკითხზე მიღებული 16 რეზოლუცია ცოტაა, საჭიროა მე-17-ეც, რომელიც ძალის გამოყენების სანქციას მოგვცემსო.

სხვათა შორის, ვაშინგტონში, როგორც ჩანს, ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. თუ გაეროსთანაც სწრაფად ვერ შეთანხმდებიან, ადმინისტრაცია არ დაუცდის საერთაშორისო საზოგადოებრიობის ნებასურვილს, ვინაიდან მშობლიური კონგრესი მზადაა, ბაღდადის რეჟიმის წინააღმდეგ სამხედრო აქციაზე ბუშს უთხრას „აბა, შენ იციო".

### 3. როდის უნდა ველოდოთ დარტყმებს?

ტექნიკურად ეს ძნელი გამოსათვლელი როდია. ჯერ კიდევ 1991 წლის კამპანიის დროს დადგინდა: სპარსეთის ყურის ზონაში სახმელეთო ოპერაციებისთვის ყველაზე კეთილსასურველი დროა ნოემბრიდან აპრილის დასაწყისამდე. აქ დაზვერვაც კი არაა საჭირო — საკმარისია თერმომეტრს შეხედო. ამ პერიოდში ერაყში ტემპერატურა მერყეობს 18-დან 25 გრადუსამდე ცელსიუსით. დანარჩენ თვეებში სიცხე 40 გრადუსამდე ავარდება ხოლმე.

ჰუსეინთან „სტუმრად" გადასხდომას ფრთხილი იანკები აირწინაღებით და ქიმიური დაცვის გარეზინებული კოსტიუმებით აპირებენ. პენტაგონის აზრით, ზაფხულში ასე გამოწყობილებისთვის ბრძოლა შეუძლებელია. მაგრამ უბედურება სულ სხვაა: სიცხეს ვერ უძლებს ტექნიკა, მაგალითად, დამიზნებისა და ღამის ხედვის ხელსაწყოები. მაგრამ ამერიკელებს ხომ მხოლოდ ისინი აძლევენ შორეულ მისადგომებსა და სიბნელეში მტრის „გაიმასქნების" საშუალებას. თუმცა, თუ ერაყში საერთაშორისო ინსპექტორები მაინც მოასწრებენ ჩასვლას (ჩასვლა დაგეგმილია 15 ოქტომბრისათვის), მაშინ, გაეროს წესების მიხედვით, მათ სამი თვე დასჭირდებათ გადაწყვეტილების გამოსატანად. ისე რომ, ალბათ, ბაღდადისათვის „პიკის საათი" იანვრის შუა რიცხვებამდე არ დადგება.

### 4. შეუძლია თუ არა რუსეთს, წინ აღუდგეს აშშ სამხედრო ძალას ერაყში?

ვაი, რომ ძალთა განაწილება მსოფლიო ასპარეზზე ახლა ისეთია, თუკი შეერთებულმა შტატებმა ჰუსეინის რეჟიმის დამხობა განიზრახა, მაშინ, ეს მხოლოდ დროის საკითხია. გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებაც ამისათვის აუცილებელი როდია.

ისე რომ, რუსეთმა ერაყის საკითხზე „რეზოლუცია — ულტიმატუმისათვის" კენჭისყრის დროს ვეტოს უფლებითაც რომ ისარგებლოს, ეს, ალბათ, ვერ შეაჩერებს აშშ-ს, სადამის გამო მესამე მსოფლიო ომს კი, რასაკვირველია, არავინ დაიწყებს...

### 5. როგორ შემოგვიბრუნდება ჩვენ ერაყის წინააღმდეგ ახალი ომი?

აქ მთავარია — მზადაა თუ არა აშშ, გაითვალისწინოს რუსეთის ინტერესები ერაყში? მოსკოვისთვის ბაღდადის ვალი შეფასებულია 6-9 მილიარდ დოლარად. სადამი აცხადებს, გადახდას დიდი ხანია დავიწყებდი, ერაყის მახრჩობელა ეკონომიკური სანქციები რომ არაო, უფრო მეტიც, ერაყი მზადაა, დაგვიდოს სავაჭრო კონტრაქტები 40 მილიარდი დოლარის საერთო თანხით!

ოკეანის გაღმიდან გვარწმუნებენ: როგორც კი ახალი რეჟიმის პირობებში ბაღდადს სანქციებს მოუხსნიან, მოსკოვი მასთან ასჯერ მეტად ივაჭრებს, ვიდრე ჰუსეინი ჰპირდება. ვაშინგტონი, მოსკოვთან ახალი პარტნიორული ურთიერთობებიდან გამომდინარე, აუცილებლად „დაარეზერვებს" რუსული კომპანიებისთვის ერაყის ნავთობის საბადოების კონცესიონერებს შორის ადგილს. თუმცა, ცნობილმა ფინანსისტმა ჯორჯ სოროსმა ამ დღეებში ნიუ-იორკში გამოსვლისას იწინასწარმეტყველა: — ერაყის მოსალოდნელი განადგურების შემდეგ ნავთობზე მსოფლიო ფასები ბარელზე 15 დოლარამდე დაეცემაო. ეს ციფრი გვხვდება სხვა ექსპერტების შეფასებებშიც. არაეკონომისტებისათვისაც ნათელია, რომ ასეთ შემთხვევაში რუსეთის ბიუჯეტს კრახი ემუქრება. თუკი ასეთი იქნება მოსკოვისათვის ვაშინგტონთან მოკავშირული დამოკიდებულების საზღაურიცა და სამადლობელიც, მაშინ უნებლიეთ მოგინდება, სადამ ჰუსეინს ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვო.

ელენე ოვჩარენკო,
ევგენი უვერენკოვი.
ნიუ-იორკი.
„კომსომოლსკაია პრავდა",
26.09.2002.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

ისტორიის სარკე

# „...და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა“

## რუსეთის იმპერიული იდეის ფესვები პეტრე I პოლიტიკურ ანდერძში

(პირველი გვერდიდან)

პეტრე დიდის პოლიტიკური ანდერძი პირველად საფრანგეთში გამოქვეყნდა XIX საუკუნის 30-იან წლებში. როგორც ისტორიკოსები აცხადებენ, იგი 1812 წელს რუსეთში შეჭრილ ნაპოლეონის არმიის ერთ-ერთ ოფიცერს უპოვნია პეტერბურგის სასახლეში და ხელისუფლებას გაუყოლებია. [illegible] ...რძის 14 პუნქტში ჩამოყალიბებული იმპერიული იდეების ხორცშესხმაზე.

ანდერძის თანახმად, რუსეთის იმპერიას განსაკუთრებით ახლო ურთიერთობა უნდა ჰქონოდა გერმანიასთან და „დიდ მთავრებს“ მხოლოდ გერმანელ პრინცესებზე უნდა [illegible] ...დეთის რაც შეიძლება მეტი ოლქი, გამოეწვია მისი მხრიდან თავდასხმა, რათა ამ ქვეყნის დაპყრობის საბაბი შეექმნა“. ჩავსვათ ახლა ამ პუნქტში „შვედეთის“ ნაცვლად საქართველო, „ოლქებში“ აფხაზეთი და შიდა ქართლი [illegible] ...იმავე ოქროს დღესაც იყენებს, ჩვენი ქვეყნის დასაჩოქებლად და პრეზიდენტის შესაცვლელადაც მათთვის „მისაღები კაცით“.

ერთი სიტყვით, პეტრე I პოლიტიკური ანდერძის ზედაპირული გაცნობაც კმარა იმ ხრიკების [illegible] ...ყნის გადასარჩენად „შევრაცხოთ ყოველი მტერი თქვენი მტერად ჩემდა... და ვიყო მტერი მტრისა თქვენისა და მოყვარე მოყვრისა“. (მუხლი პირველი).

**თამაზ ქველაძე.**

რას წერენ ჩვენზე

# ნუ მოჭრით, კაცებო, ტოტს, ნუ მოჭრით!

## რატომ ვლაპარაკობთ მომავალ ომზე ისე, თითქოს ეს ჩვენ არ გვეხებოდეს

(პირველი გვერდიდან)

ბოევიკები თურქეთშიც მკურნალობენ და ისვენებენ, მორალურად ეხმარებოდნენ (ან ეხმარებიან?) ბალტიისპირეთშიც. (სხვათა შორის, ქართველებს ჩეჩნეთში არ უომიათ, აი, ყბადაღებული ბალტიისპირელი „თეთრი წინდებით“ კი ყურები გამოგვიჭედეს). და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფული ბოევიკებს მისდით საიდანაც გნებავთ იქიდან, მაგრამ არა საქართველოდან, და ეს ნამდვილად ასეა. ხოლო, როცა არის ფული, იქნებიან ბოევიკებიც. ასე რომ, საქართველოში ოპერაცია მთავარ სამხედრო-პოლიციურ პრობლემებს ვერ გადაჭრის.

სამაგიეროდ, ფასი, ალბათ, მეტად მაღალი იქნება. ომში ჩაბმა იოლია, იქიდან თავის დაღწევაა ძნელი. როდესაც ჩვენი ჯარები მიდიან, ტოვებენ ნაცარტუტად ქცეულ ტერიტორიას და ქაოსს (ავღანეთი). საქართველოს სახელმწიფო, როგორც სწორად აღნიშნა სერგეი ივანოვმა, ძაფზე ჰკიდია. ჯარების შეყვანით, ჩვენ ამ ძაფს გავწყვეტთ და საქართველო დაინგრევა, რის შემდეგადაც რუსეთი იძულებული იქნება, ეს ნამსხვრევები ტვირთად აიკიდოს განუსაზღვრელად ხანგრძლივი დროით, ან მიატოვოს იგი და კუდი ამოიძუოს ცეცხლმოკიდებული საქართველოდან. ვითომ კარგად გაამაგრებს ეს ჩვენს სამხრეთის საზღვარს?

გარკვეული პასუხი ამ კითხვებზე არ ჩანს. მაგრამ საქართველოში ოპერაციის მოტივები ცხადია. არსებითად, მსოფლიოში პირველებმა გადავიღეთ უახლესი ამერიკული მოდა — თუ ამერიკის შეერთებული შტატები „მსოფლიო ჟანდარმია“,— ჩვენ გვსურს „ამერიკა ვიყოთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისთვის“, შევახსენოთ, თუ ვინ არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში სამხედრო-პოლიტიკური ჰეგემონი. რადგან სიცოცხლე ვერ შთავბერეთ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას, გაუშვი, თუნდაც ასე იყოს — „დაე ვძულდეთ, ოღონდ ეშინოდეთ“. ამ შედეგის მიღწევას შევძლებთ. თუმცა, ალბათ, „ისინი“ არ გადაიხდიან საკუთარი ჯიბიდან თავიანთი შიშის საფასურს (ასე შენდებოდა ბრიტანეთისა და საფრანგეთის იმპერიები, ასე შენდება ახლა შეერთებული შტატების მსოფლიო იმპერია), ჩვენ კი საკუთარი ჯიბიდან გადავიხდით „მათი“ სიძულვილის საფასურს (ასე მოქმედებდა სწორედ რუსეთის იმპერია, და საბჭოთა იმპერიაც).

მაგრამ „ვნებათაღელვის“ დროს ჩვენი სამხედროები, როგორც ჩანს, ივიწყებენ ერთ დეტალს — შეერთებული შტატები ერაყს არ ესაზღვრება, მათ არ აკავშირებთ სამასი წლის მეგობრობა და ერთმანეთზე გადაჯაჭვული კულტურები. საქართველოსთან კი ჩვენ ეს ყველაფერი გვაქვს. ეს დღევანდელ პოლიტიკოსებს არ შეუქმნიათ, აი, დანგრევა კი ნამდვილად შეუძლიათ. ეს უკვე თქმულა, და არაერთხელ. მაგრამ დღემდე არ მესმის, რატომ ვლაპარაკობთ მოსკოვში ამაზე ასე დუნედ და გულგრილად, თითქოს ეს ჩვენ არ გვეხებოდეს... მაგალითად, ისე, როგორც არ გვეხება პაკისტანთან ინდოეთის შესაძლო ომი.

იქნებ იმიტომ, რომ არ გვჯერა ასეთი ომის რეალობა? რა თქმა უნდა, საქართველოსთან რუსეთის ომი ნამდვილი ბოდვაა, ეს დაუშვებელია, იმიტომ, რომ არასდროს არ შეიძლება მოხდეს. ეს ნამდვილად ასეა. მაგრამ იქნებ, ჩვენს ხელისუფალთ არ ახსოვს ეს? იქნებ, კვლავ „ნემსის ჩხვლეტის“, მყისიერი ოპერაციის იმედად არიან (რაოდენ საზარლადაც უნდა ჟღერდეს ეს, არადა, თითქოს გამოცდილება არ გვქონდეს!) ან იქნებ, იმიტომ, რომ, საერთოდ, ყველა გულგრილია ყველაფრის მიმართ და ყველასთვის ყველაფერი სულერთია? ესეც გასაგებია. ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენზე არაფერი არ არის დამოკიდებული, რომ ჩვენში საზოგადოება ვერაფერზე ვერ მოახდენს ზემოქმედებას, და ისე, კაცმა რომ თქვას, არც არანაირი საზოგადოება არ არსებობს. ყველაფერი ეს ასეა ჩვეულებრივ დროს. მაგრამ არის სიტუაცია, როდესაც სახელმწიფო ვერ იმოქმედებს საზოგადოების ნების წინააღმდეგ. მაშინაც კი, თუ ეს საზოგადოება სუსტი, ამორფული და არაორგანიზებულია. ომი, უეჭველად, ასეთ სიტუაციებს განეკუთვნება.

ერთი სიტყვით, ყველა ცნობილ ადამიანს რომ პირდაპირ მიემართა პრეზიდენტისათვის: ვლადიმერ ვლადიმერის ძევ, რაც გნებავთ იღონეთ, მაგრამ საქართველოსთან ომს (გნებავთ, „ანტიტერორისტული ოპერაცია“ უწოდეთ, გნებავთ, სხვა რამ), ჩვენ ვერ დავუშვებთ. უბრალოდ, ვერ დავუშვებთ და, მორჩა. ეს იქნება ომი არა შევარდნაძის წინააღმდეგ, არამედ რუსეთის ისტორიის, რუსეთის კულტურის წინააღმდეგ. მოკლედ, ეს არ შეიძლება, ეს დაუშვებელია!... დარწმუნებული ვარ, ასეთ მიმართვას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. მას შეეძლო შეეჩერებინა იმათი „უგუნური“ მოქმედება, ვინც ფსონს ჩამოვიდა ომზე.

პატივცემულ რუს მწერლებს, მსახიობებსა და მხატვრებს კი პირში წყალი ჩაუგუბებიათ. რა გაეწყობა, იმისთვისაც მადლობა უნდა ვუთხრათ, რომ ომის ფსიქოზს არ ამძაფრებენ (ესეც ინტელექტუალთა ცნობილი გართობაა). მაგრამ დუმილიც გაუგებარია. ძნელი დასაჯერებელია, რომ რუსეთში აღარ დარჩნენ ადამიანები, რომლებიც თუნდაც რაღაც პასუხისმგებლობას გრძნობენ ჩვენი ქვეყნის მოქმედებისათვის. აღარ დარჩნენ, უკაცრაული პასუხია და, პატრიოტები. ძნელი დასაჯერებელია, რომ სულ აღარ არიან ადამიანები, რომლებსაც კეთილი საქმის კეთების სურვილი ექნებათ. განა, ძალადობის შეჩერება კეთილი საქმე არ არის?

მე არ ვლაპარაკობ პოლიტიკურ პარტიებზე, მათ ეშინიათ ხელისუფლების, ეს ცხადია. ჯერჯერობით, რაც მოახერხეს დემოკრატებმა სათათბიროში, ის არის, რომ არ მიიღეს იმათი მართლაც რომ თავხედური რეზოლუცია, ვინც გრძნობს უფროსობის გაწყობილებას, და ზედმეტად თავის გამოჩენას ცდილობს იმისათვის მოწოდებით. კარგია, ეს მაინც რომ გაბედეს, ომის საწინააღმდეგოდ რაიმე მუშაობის წამოწყებისა კი ეშინიათ. არჩევნების წინ, სჯობს, ხელისუფლება არ გააბრაზო.

მაგრამ რისი უნდა ეშინოდეთ მსახიობებს? ვთქვათ პუტინი მივიდა „ლიუბეს“ კონცერტზე. მათ ხომ შეუძლიათ მისთვის შეასრულონ „ბატალიონის მეთაური“, ანდა უმღერონ: „ნუ მოჭრით, კაცებო, ნუ მოჭრით ცხელ გულზე ტოტს, რომელზეც ჭილყვავს ბუდე აქვს გაკეთებული!“ მე მგონი, პრეზიდენტს შესწევს უნარი, მიიღოს ასეთი რჩევა ადამიანებისგან, რომლებიც პირადად არაფრით არ არიან დაინტერესებული, უფრო მეტიც— იმ ადამიანებისაგან, ვინც თავად პუტინს ესიმპატიურება.

ჩვენ, ჟურნალისტები, დავხელოვნდით ქლესაობასა და ლაზღანდარობაში. ეს ჩვენი ხელობაა. მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც თავს უნდა აჯობო და შეეცადო ხელისუფლებას სერიოზულად ელაპარაკო: „გინდა, ერთ ჭკვიანურ რამეს გეტყვი, ოღონდ ნუ გეწყინება?“ მაგრამ ეს უკვე დიდი ხანია თქვა შოთა რუსთაველმა: „დიდსა ხესა მოერევის, მცირე დაწვავს ნაპერწკალი“. ჩვენი საქმეა გავუმეოროთ ეს ჩვენს ხელისუფლებას, ქართველმა კოლეგებმა კი თავის ხელისუფლებას შეახსენონ.

**ლეონიდ რაძიხოვსკი,**
**პუბლიცისტი.**
**„ნეზავისიმაია გაზეტა“,**
**25 სექტემბერი.**

წარდგენა

# როცა წიგნის გმირის წინაშე მუდმივად დგას არჩევანის ფილოსოფიური პრობლემა

**ორიოდ თვეა მკითხველმა მიიღო კიდევ ერთი წიგნი პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობაზე, სათაურით „არჩევანი“. გთავაზობთ თამაზ აქუბარდიას საუბარს წიგნის ერთ-ერთ ავტორთან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორთან, პროფესორ ალეკო ცინცაძესთან.**

**— როგორ დაიბადა ამ წიგნის დაწერის იდეა?**

— არც მე და არც ჩემს თანაავტორს ბატონ გიორგი ბაღათურიას არავითარი ჟურნალისტური, ლიტერატურული და პოლიტიკური მომზადება არა გვაქვს. ასე, 4-5 წლის წინათ გაჩნდა უკმარისობის გრძნობა იმ პროცესების გამო, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს. არ მინდა მომავალმა თაობებმა უმადურობის გრძნობამოჭარბებულ თაობად წარმოგვიდგინოს. სწორედ ამან გამაბედინა ჩემი ახალგაზრდა კოლეგისათვის ასეთი წიგნის დაწერის იდეა შემეთავაზებინა, პირობითი სათაურით „მისი არჩევანი“, რომელიც გამოძახილი იქნებოდა ბატონ ედუარდ შევარდნაძის ავტობიოგრაფიული ნაშრომისა „ჩემი არჩევანი“. მაშინ ამ საქმეს თავი ვერ მოება. ორი წლის წინათ ჩემს ძველ მეგობარს და თანამშრომელს ბატონ გიორგი ბაღათურიას შევთავაზე ეს იდეა. თუმცა, იგი დაჯერებული ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, დარწმუნებული ვიყავი, დიდხანს ვეღარ ვნახავდი. თქვენ წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როცა გიორგი ერთი კვირის მერე ასამდე ნაბეჭდი გვერდით ხელში მომადგა. ჩემთვის ეს თემა ძალიან რთული გახლავთ. მოწიწებისა და რიდის გარეშე ძნელია მასთან მიახლება. მახსოვს, გიორგის ვუთხარი: პითაგორას ასეთი მეთოდი ჰქონდა, თოთხმეტი წელი ინახავდა ნაშრომს და თუ შემდეგ საჭიროდ ჩათვლიდა, აცნობდა თანამედროვეთ — იქნებ თოთხმეტი წლით გადავდოთ ეს საქმე-მეთქი. გიორგიმ მხოლოდ თოთხმეტი დღე მომცა. რას ვიზამდი, იძულებული გავხდი სერიოზულად ჩავჯდომოდი სამუშაოს და წიგნი ოთხ თვეში დაიწერა.

მინდა ერთი საიდუმლო გაგიმხილოთ, წიგნის წერის დასაწყისში გიორგი არ იყო შევარდნაძის პოლიტიკური კურსის თავგადაკლული მომხრე, წიგნის დასრულებისას კი მეც გადამაჭარბა.

**— ორი ავტორი სამეცნიერო სტატიაში ან წიგნში სხვაა, მაგრამ პუბლიცისტიკაში როგორ მუშაობდით ერთად? ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამით თქვენ ბევრს გაალიზიანებთ.**

— ქართველებს გვიყვარს რადიკალური დამოკიდებულებები. ეს პოლიტიკური გამოუცდელობის ბრალია. გახსოვთ 5-6 წლის წინათ არჩევნებს იგებდა ის პარტია, რომელთანაც ედუარდ შევარდნაძე იქნებოდა. დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა პოლიტიკურ პლატფორმას ან იმას, ვინ იყვნენ ამ პარტიის წევრები. საზოგადოება მხარს უჭერდა იმ არჩევანს, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი აკეთებდა. ესეც ერთი შეხედვით არ იყო სწორი. მერე ცხოვრებამ დაადასტურა, რომ მაშინ ბევრი ისეთი პარლამენტარი მოხვდა პარლამენტში, შემდეგ რომ პრობლემად გვექცა. დღესაც მეორე რადიკალური შეხედულება ჭარბობს, რასაც რთული სოციალურ-ეკონომიკური გარემო უწყობს ხელს. მიმაჩნია, რომ ზომიერი პოლიტიკური შეხედულებები და კურსი მეტად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა ქართველი საზოგადოებრიობისათვის, დაფასება იმისა, რაც გაკეთდა. ყოველი თავისუფალი დღე საქართველოს იმპერიას აშორებს და სწორედ ეს არის მთავარი.

რაც შეეხება წიგნს, მასში აღწერილია XX საუკუნის მე-2 ნახევრის ეპოქა და ამ პანორამის ფონზე გაშლილია მისი მთავარი გმირის, ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის მოღვაწეობის უმთავრესი პერიპეტიები; წარმოჩენილია ის უმთავრესი, რამაც ბატონი ედუარდი თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკური არქიტექტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შემოქმედად აქცია და რამაც ღირსეულად დაუმკვიდრა მას ადგილი მსოფლიო პოლიტიკური ელიტის თანავარსკვლავედში. ჩვენს წიგნს „არჩევანი“ ჰქვია იქიდან გამომდინარე, რომ წიგნის მთავარი გმირის წინაშე მუდმივად დგას არჩევანის ფილოსოფიური პრობლემა, როცა სასწორის ორივე პინაზე უამრავი არგუმენტია და „ყოფნა-არყოფნის“ რიტორიკული კითხვა არა პიროვნებას, არამედ გაცილებით უფრო ამაღლებულს, ჩვენს ქვეყანას ეხება. მე და ბატონი გიორგი ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ დაკარგულ ტერიტორიებთან ერთად ქვეყანა დაიბრუნებს ღირსების გრძნობას და შეძლებს ჯეროვანი პატივი მიაგოს ყველას, ვინც ქვეყანა ამ რთული კატაკლიზმებიდან გამოიყვანა. წიგნის წერისას ვცდილობდით ვყოფილიყავით მაქსიმალურად ობიექტურები, თუმცა, ძალიან ძნელია იყო ობიექტური, როცა გულშემატკივარი ხარ; იყო გარედან მაყურებელი, როცა შენი ქვეყნის ბედს ეხება საქმე. ვფიქრობ, სწორედ გულშემატკივრობა და თანადგომის გრძნობაა ის ღვრიტა, რამაც ეს წიგნი საზოგადოების ყურადღების საგნად აქცია.

წიგნზე მუშაობისას ხშირად ვკამათობდით. მე ვიტყოდი, ვჩხუბობდით კიდეც, მაგრამ არ ყოფილა არც ერთი პოზიცია, რომელიც შეჯერების გარეშე დაგვეფიქსირებინა. წიგნის წამკითხველი დარწმუნდება, რომ მასში არაფერია გადაჭარბებული, ამასთან, არის ცდა, ზოგიერთი მოვლენა თვით წიგნის გმირის თვალით დაგვენახა.

**— წიგნში ბევრი ისეთი მომენტია, რომელიც აქამდე ჩემთვის არ**



**იყო ცნობილი. მაგალითად, ვერ წარმოვიდგენდი, რომ ავადსახსენებელ 1956 წლის 9 მარტის მოვლენებში ახალგაზრდა ედუარდ შევარდნაძემ თავისი სიტყვა თქვა.**

— ქუთაისის ამბები უკვე საკმაოდ ცნობილია. მაშინ ბატონი ედუარდი ქუთაისის კომკავშირის ქალაქკომის მდივანი იყო. მაშინდელი მისი გადაწყვეტილება ძალიან თამამი და სწორია. სულ რამდენიმე კაცმა შეძლო შეენარჩუნებინა იმდროინდელი საქართველოს ერთგვაროვან პოლიტიკურ სივრცეში თავისი მორალური სახე და მათ შორის გამორჩეული, სრულიად ახალგაზრდა ედუარდ შევარდნაძე გახლდათ. დანის პირზე სვლა, რისკის ზღვარზე გადაწყვეტილების მიღება და თავგანწირვის ფასად საზოგადოებასთან დგომა და მისი სიმპათიების დამსახურება ქუთაისის მოვლენებიდან მოყოლებული ედუარდ შევარდნაძის ცხოვრების წესად იქცა. სწორედ ამაზეა აგებული მთელი წიგნი.

**— როდის იქნება წიგნის პრეზენტაცია და გაიყიდება თუ არა? რა თავისებურებით გამოარჩევდით თქვენს წიგნს?**

— ორივე კიბერნეტიკული განათლებით გახლავართ და სწორედ სისტემური ანალიზი, მეცნიერული ხედვაა ის, რამაც ჩვენი ნაშრომი ქვეყნის პრეზიდენტზე შექმნილი უამრავი წიგნიდან უნდა გამოარჩიოს. პრეზენტაცია უკვე შედგა, წიგნის გამოცემაში ნაწილობრივ დაგვეხმარა „მაგთი GSM“. სულ ორი ათასი ცალი გამოვეცით. პირველი გამოცემა მაღაზიამდე მიუსვლელად ჩაგველია ხელში.

**— ამ წიგნში ბატონი ედუარდ შევარდნაძე მხოლოდ დადებითი კუთხით არის წარმოჩენილი. რა თქმა უნდა, იგი უნიჭიერესი ადამიანია, დიდი პოლიტიკოსი, მაგრამ მას ბევრი კრიტიკოსიც ჰყავს.**

— სრულიად ბუნებრივია, არსებობდეს განსხვავებული შეხედულება. ეს იმის წინაპირობაცაა, რომ ადგილზე არ გავჩერდეთ და წინ ვიაროთ. ნუ გგონიათ, ის კაცი ვარ, რომელსაც ამ ქვეყანაში ყველაფერი მოსწონს. მეც თქვენთან ერთად მიმაჩნია, დადგა დრო, ბევრი რამ გასწორდეს, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

**— როგორ არის წიგნში ასახული მიხეილ გორბაჩოვისა და ედუარდ შევარდნაძის ურთიერთობები?**

— ძალიან საინტერესოა ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტის ურთიერთობები მიხეილ გორბაჩოვთან, იმ ძალებს, საბჭოთა პოლიტიკურ ელიტაში პროგრესულ ძალებს რომ ეძახდნენ (იაკოვლევი, გორბაჩოვი), იმპერიის სახეცვლილება უნდოდათ. ედუარდ შევარდნაძე ერთადერთი იყო საბჭოთა სივრციდან, ვინც განსხვავებულ პოზიციაზე დადგა. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს მიზანი მისთვის თავიდანვე ცხადი სახით ჩამოყალიბებული არ იყო. თუმცა, წინაპირობა არსებობდა. იმდროინდელ საქართველოს ბევრ მოწინავე ოჯახში მოისმენდით თავისუფალ ქვეყანაზე ოცნებას. ედუარდ შევარდნაძისთვის ეს აზრი თანდათანობით ჩამოყალიბდა და ბუნებრივია, იგი მისთვის პიროვნულ, ურთულეს კატაკლიზმებთან, მსოფლმხედველობით გარდაქმნასთან იყო დაკავშირებული. რამდენადაც მტკივნეული არ უნდა ყოფილიყო თვით ედუარდ შევარდნაძისთვის, მისი და გორბაჩოვის გზები ერთმანეთს დაშორდნენ და ეს მიზანთა სხვადასხვაობამ გამოიწვია.

**— რა იყო ასეთი წიგნის დაწერის მოტივაცია, საიდან გაჩნდა იგი?**

— ვერანაირად ვერ წარმოვიდგენდი, რომ დაგვჭირდებოდა ასეთი წიგნის დაწერა, რომ დადგებოდა ის პერიოდი, როცა ჩვენნაირი არაპროფესიონალი იძულებული გახდებოდა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია და გამოეხატა ზომიერი საზოგადოებრივი აზრი. მიზეზი — მტრული გარემო, რომელიც ახერხებს მოხერხებულად გამოიყენოს სოციალურ-ეკონომიკური შეჭირვებული ფონი და ინფორმაციულ სიჭარბეში შეუმჩნეველი გახადოს ის უმთავრესი, რასაც ქვეყანამ მიაღწია; ფაქტობრივად, განსხეულდა თაობათა ნაოცნებარი თავისუფალ საქართველოზე. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ქვეყნის თავისუფლება მატერიალური საზომით არ იზომება. მისი თანაზომადი მხოლოდ სიცოცხლეა. გაიხედეთ ჩრდილოეთით და ყურადღება მიაქციეთ ჩეჩენი ხალხის ბრძოლას. იმას, რისთვისაც ისინი სიცოცხლეს სწირავენ, ჩვენ მივაღწიეთ. აი ესაა უმთავრესი და ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ თავისუფლება თავისით მოვიდა. მსოფლიო საზოგადოებრივ აზრთან ერთად იმპერიის ნგრევა ცალკეულმა პიროვნებებმა დააჩქარეს და ამაზეცაა ეს წიგნი.

**— დღეს ჩვენს პლანეტაზე 6 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს. აქედან 2,8 მილიარდი ადამიანის დღიური შემოსავალი 2 დოლარზე ნაკლებია. ამ 2,8 მილიარდიდან 1,8 მილიარდი ადამიანი 1 დოლარზე ნაკლები დღიური შემოსავლით ცხოვრობს. ჩვენც ამ კატეგორიაში ვართ, მაგრამ ძალიან მცირე ნაწილი ვართ იმ 1,8 მილიარდისა. ამისთვის ყველა ცოდვას ნუ ავკიდებთ ერთ და მით უმეტეს იმ ადამიანს, რომელიც მართლაც ყველაფერს აკეთებს, რათა ჩვენი ქვეყანა დამოუკიდებელი და თავისუფალი იყოს.**

— ბატონო თამაზ, რა ვუყოთ იმას, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში 300 ათასი ადამიანი ზედმეტი ჭამისაგან კვდება. კაპიტალიზმი კარგია მაშინ, როცა იგი განვითარებული კაპიტალიზმია და როცა ეროვნული პროდუქტი არსებობს ქვეყანაში. საწყის ეტაპზე ველური კაპიტალიზმი ძალიან რთულია, ეს ყველა ქვეყანამ გაიარა და ჩვენც გავდივართ ამას; რა თქმა უნდა, შიგა პრობლემების, გარედან დივერსიების გამო ეს პროცესი იწელება, რთულდება; მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოო ჯამში ბოროტებაზე სიკეთის ზეობით დამთავრდება.

**— დიახ, არ შეიძლება ქვეყნის მშენებლობის გზაზე მუდამ ნეგატიურის ჩვენება. ამ სიძნელეებში პოზიტიურიც ვეძებოთ, ხომ გახსოვთ, „დიდოსტატის“ გიორგი მეფის მონოლოგიდან „მე ჩემი ქვეყნის ყველა ნაკლი მიტარებია“. ამდენად, ქვეყნის ტვირთი ყველამ უნდა გადავინაწილოთ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეჭირვების ჟამსაც დიდი ეროვნული საქმეები კეთდება და ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე სამების ტაძრის მშენებლობა მინდა შეგახსენოთ.**

— გიორგი მეფე იქვე ამასაც ამბობს: „თუ მთელმა ერმა გამარჯვება არ მოინდომა, მაკედონელიც ვერას უშველის მას“, ან კიდევ: „თუ დიდკაცი გამოგვერია, ისე დავესევით და დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“. ქვეყანა მართლაც იმყოფება ინფორმაციული და მე ვიტყოდი, იდეოლოგიური დივერსიის პირობებში. წარმოიდგინეთ, რა ძალა გვებრძვის. მაინც უნდა შევძლოთ, შევქმნათ დადებითი ინფორმაციული ფონი. დარწმუნებული ვარ, ეს ხელს შეგვიწყობს დავიბრუნოთ ერთმანეთი და ამასთან ერთად, დავიბრუნოთ ყველაფერი, რაც დავკარგეთ, პირველ რიგში, ეროვნული ღირსების გრძნობა. სწორედ ამიტომაც დაიწერა ეს წიგნი.

**ესაუბრა**
**თამაზ აქუბარდია.**

სემინარი

# ჟურნალისტი მოპასუხის ამპლუაში?

ცენზურის კლანჭებისგან თავდახსნილი მეოთხე ხელისუფლება სამივე ხელისუფლებას თავგანწირვით რომ ეკვეთა, გასაკვირი არაფერია, მაგრამ მოპასუხის ამპლუაში ყოფნა ჟურნალისტისთვის თავმოსაწონებლად რომ იქცა, ეს უკვე დამაფიქრებელია.

ზოგიერთისთვის ლამის დევიზად იქცა ჟურნალისტის „ლანძღვა ლანძღვის წილ“, მესამე ხელისუფლებამ გონივრული გზა — მასმედიასთან თანამშრომლობა არჩია, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კი (რომელმაც დაფუძნებისთანავე მიზნად დაისახა კორუფციასთან, კონსტიტუციის უგულებელყოფისა და კანონის უზენაესობისადმი ნიჰილიზმის წინააღმდეგ ბრძოლა), ჟურნალისტთა განათლებას მიჰყო ხელი.

და აი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის (დირექტორი **თამარ მეტრეველი**) მიერ ჟურნალისტებისთვის ორგანიზებულ, რიგით მესამე სემინარის თემად იქცა „ინფორმაციის თავისუფლებისა და ჟურნალისტური გამოძიების საკანონმდებლო რეგულირება“.



საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი რომ უზრუნველყოფს, ამ ნაწილში სამართლებრივ საკითხებზე მომუშავე ყველა ჟურნალისტი უზომოდ განათლებულები ვართ, მაგრამ რას გვიკრძალავს კანონი, ამის ცოდნა რომ აუცილებელია, სემინარზე კიდევ ერთხელ შეგვახსენეს.

ზემოაღნიშნული კოდექსის ერთ-ერთი ავტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი **ზურაბ ადეიშვილი** სემინარის მონაწილეებს იმ მუხლებზე ესაუბრა, რომელიც ინფორმაციის თავისუფლებას, საჯარო ინფორმაციის მიცემაზე უარის თქმის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრებას და მათ უფლებებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს განიხილავს.

დიახ, საჯარო ინფორმაცია ღიაა, მაგრამ „დახურულ კარს“ მიღმა გადახედვას კანონი რატომ კრძალავს, ალბათ, ეს ჟურნალისტებში აღშფოთებას არ უნდა იწვევდეს. ინფორმაციის მოძიების, მოპოვებისა და გავრცელების კანონიერი უფლება არ ნიშნავს საიდუმლოების შემცველი ისეთი ცნობების გავრცელებას, რამაც შეიძლება ზიანი მოუტანოს სახელმწიფო უშიშროებას ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

მმართველობის საკითხებში დამოუკიდებელმა ექსპერტებმა **გია კიკნაძემ** სახელმწიფო საიდუმლოებათა შემცველი ცნობების დამცველ პროცედურაზე, საიდუმლო ინფორმაციის პარამეტრებსა და რეკვიზიტებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურებისათვის პასუხისმგებლობაზე გაამახვილა ყურადღება და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხაზეც მიუთითა, რომელიც სემინარის ორგანიზატორებმა მონაწილეებს, მუშაობის დაწყებამდე, სხვა მათთვის საჭირო იურიდიულ ლიტერატურასთან ერთად გადასცეს.

სახელმწიფო საიდუმლოების გარდა, კანონი კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციასაც იცავს, რადგან მათმა გახმაურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხის გადაწყვეტის უფლებას კი კანონი იმ პირს ანიჭებს, ვის შესახებაც ეს ინფორმაცია არსებობს. ამ კატეგორიის ინფორმაციების მოპოვებასა და განკარგვას ეხებოდა IRIS-ის წარმომადგენლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის **მაია კოპალეიშვილის** მოხსენება.

რა როლს ასრულებს სასამართლო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში? ინფორმაციის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში შეიძლება. კანონმა ამ კატეგორიის სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს მიანიჭა საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის უფლება. რაც მეტ ინფორმაციას ფლობს ხალხი, მით უკეთ იმართება ქვეყანა, — ასეთი იყო თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარის **ინგა თოდრიას** აზრი, რომელმაც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო აღძრულ სარჩელთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა.

„პრესის თავისუფლება სასამართლოს მხარდაუჭერლად წარმოუდგენელია, ისევე, როგორც დემოკრატიულ საზოგადოებაში დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის დამკვიდრებაა შეუძლებელი თავისუფალი პრესის გარეშე. სასამართლო ამ შემთხვევაში გამოდის შუამავლის როლში მთავრობასა და დამოუკიდებელ პრესას შორის — პრესის აქტიურობის დასაშვები პარამეტრების განსაზღვრისათვის. სასამართლოები ყოველთვის არ გვევლინებიან პრესის დამცველებად, მაგრამ ისინი ხშირად მყარი კედლის ფუნქციას ასრულებენ ცენზურასა და სახელმწიფოს მხრიდან ჩარევის სხვა მეთოდების წინააღმდეგ.

სასამართლო სისტემას თავის მხრივ აღელვებს და აინტერესებს, თუ როგორ აშუქებს პრესა მის მუშაობას, რამდენად ერევა მის საქმიანობაში და რამდენად სწორად განმარტავს მის გადაწყვეტილებებს, ხოლო თავისუფალი პრესის საზრუნავია დამოუკიდებელი სასამართლოს სისტემის დახმარება, რათა სასამართლომ ის დაიცვას გამოხატვის თავისუფლებაში. პრესისა და სასამართლო ხელისუფლების ამგვარი ურთიერთობები მომგებიანია ორივე მხარისათვის. თუ ეს ურთიერთობა შედგა, მოიგებს დემოკრატიული საზოგადოება“. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე **ნინო გვენეტაძე** მედიისა და სასამართლო ხელისუფლების ურთიერთობების გარდა, შეეხო ჟურნალისტთა მიერ დაუსაბუთებელი მტკიცებებისა და ბრალდებების გამოქვეყნების, გამოძიებისა და სასამართლო საქმიანობის, კონკრეტული პროცესების ობიექტურად გაშუქებისა და ჟურნალისტის პასუხისმგებლობის საკითხებს.

სემინარი, სადაც მომავალი თანამშრომლობის რეკომენდაციები შემუშავდა, ალბათ, ყველა მონაწილეს თუ არა, ბევრ ჟურნალისტს სამომავლოდ სასამართლო დარბაზში მოპასუხის სახით წარდგენას თავიდან ააცილებს.

**ლეილა კოშკაძე.**

**სურათზე: ჩაქვში, ჟურნალისტებისთვის გამართულ სემინარზე.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ეკოლოგია

**თურქეთის რესპუბლიკის ქ. სამსუნის მერმა მუზაფერ ონდერმა ქართველ მოქალაქეს თამაზ ავთანდილაშვილს ზღვისპირა უბნების რთული ობიექტების, გაზონებისა და სკვერების კეთილმოწყობისა და განაშენიანების გამო „გამწვანების გენერალი“ უწოდა. შემდეგ ამ ფრაზითვე მოიხსენია იგი ქ. ტრაპიზონის გუბერნიის ცენტრალურმა გაზეთმა „ყარადენისმაც“.**

# «გამწვანების გენერალი»

## კაცი, რომელიც ხრიოკსაც ბაღნარად აქცევს



სულ ერთი წელი იყო ბატონი თამაზი თურქეთში, სადაც იგი იქაურთა მოთხოვნით მიავლინა საქართველოს ბუნების დაცვის რესპუბლიკურმა საბჭომ, რათა თურქ კოლეგებს დახმარებოდა. სამსუნის თხუთმეტ ჰექტარ ზღვისპირა ფართობს მალე დაეტყო მისი მადლიანი ხელი. სახე იცვალა ამ უბანმა, გაშენდა და გალამაზდა გარემო, დაირგო სხვადასხვა სახის დეკორატიულ მცენარეთა ისეთი ჯიშებიც კი, რომლებიც იქ მანამდე საერთოდ არ ყოფილა. სულ დაირგო სხვადასხვა ჯიშის სამი ათასი ძირი ნერგი.

„სამსუნის ქალაქის მერია და მისდამი დაქვემდებარებული შესაბამისი გამწვანების სამმართველო მადლობას უხდის საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს“ — წერს თურქული გაზეთი „ყარადენისი“ (ქართულად „ზღვისპირეთი“).

მშვენიერებით და მრავალფეროვნებით გამოირჩევა ახლა ეს მხარე თურმე და შემოქმედებითი საქმიანობისათვის ბატონ თამაზს თურქი მეგობრების მადლობა და ჯილდო არა ერთხელ დაუმსახურებია; ხოლო ქალაქის მერმა მუზაფერ ონდერმა თავისთან მოიწვია იგი.

ეს იყო 1992 წელი... ამჟამად ბატონი თამაზი 54 წლისაა და ძალზე საინტერესო ცხოვრების გზა აქვს განვლილი. ბუნების ტრფიალი კი ბავშვობიდანვე ყოფილა. ეს სიყვარული ყმაწვილკაცობაში, უფრო მეტად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გამოავლინა.

მისი ნაწილი თბილისში იდგა. ხელმძღვანელობამ პირველი სერიოზული დავალება მიანდო მას — ტერიტორიის კეთილმოწყობა. თამაზმა სამუშაო გეგმა შეადგინა და საქმეს შეუდგა. სულ მოკლე დროში ელფერი იცვალა იქაურობამ. გაკეთდა გაზონები, ბეტონის ბორდიურებით გამოიყო მისასვლელი გზები, დაირგო დეკორატიული მცენარეები, გაშენდა ყვავილნარი, ბაღში სკამები ჩაიდგა და აუზიც გაკეთდა. ეს ამბავი მალე ყველასთვის მისაბაძი გახდა. ხელი გამოიღეს სამხედრო ნაწილებმა და ეზო-კარმიდამო გაალამაზეს. კონკურსში კი გამარჯვება თამაზმა მოიპოვა.

ასე გადადგა მან პირველი ნაბიჯი. შემდეგში იგი სამხედრო გარნიზონის აგრონომად დაინიშნა და ეზოების კეთილმოწყობა-გამწვანებისთვის მრავალი მადლობა თუ სიგელი დაიმსახურა.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა... სადაც კი უმუშავია თამაზს, თბილისსა თუ მშობლიურ ქარელში, გორსა თუ ცხინვალის მხარეში, აფხაზეთის სხვადასხვა ქალაქსა თუ მესხეთ-ჯავახეთში, ქარსაცავი ზოლების, დენდროლოგიური პროექტების დაგეგმვასა თუ სკვერებისა და ბაღების გაშენება-გამწვანებაში, ყველგან ყველაფერს თავისი მადლიანი ხელი დაატყო, რადგან მინდობილ საქმეს იგი მუდამ ერთგულად ემსახურებოდა და სიყვარულით აკეთებდა.

— თამაზი ხელს თუ მოჰკიდებს, ქვიშას ოქროდ აქცევსო... — ამბობენ მისი კოლეგები. ამას კი ნიჭიერებაც სჭირდება, გულიც, და გემოვნებაც. მისი ღირსება სწორედ ესაა: შექმნას სილამაზე, სიახლენი დანერგოს ბუნებაში, წინასწარ განჭვრიტოს — ადგილმდებარეობას, რელიეფს და ლანდშაფტს როგორ მიესადაგება ნახაზზე შექმნილი ჩანაფიქრი, შემდეგ კი ეს ჩანაფიქრი ისე გააცოცხლოს, რომ მნახველი გაახაროს და ბუნების მადლით დაატკბოს.

შემოქმედებითი ცხოვრების უამრავი ფაქტიდან ერთ-ერთს ვიხსენებთ...

გორში, კვერნაკის ხრიოკ ტერიტორიაზე დაბინავდა ტრესტი „მტკვარწყალმშენი“.

— გორის რაიონში, ახლაც ბევრს ახსოვს კვერნაკის ქვაღორღიანი, გახრიოკებული დასავლეთის კალთები, მცხუნვარე მზით გადაბუგულ-გადარუჯული, უწყლო გარემო. ძეძვიანი და უკაცრიელი — იხსენებს ბატონი თამაზი.

1982 წელი... ტრესტის მუშაკებმა ხევი ჯერ რკინა-ბეტონის არტახებში შეკრეს, შემდეგ წყლის მილები დაამონტაჟეს. გაკეთდა მისასვლელი გზები, აშენდა ადმინისტრაციული და საცხოვრებელი სახლები.

— ბორცვიანი რელიეფის დამუშავება საკმაოდ ძნელი იყო, მაგრამ მალე გამოუყენებელი ფერდობები მწვანე სამოსელში გაეხვია. დავრგეთ და ვახარეთ მცენარეები. გაშენდა ქარსაცავი ზოლი, დაირგო პირამიდული ვერხვი, კაკალი, მტირალი ტირიფები, ვაზი, გავაშენეთ ყვავილნარი, მისასვლელი გზები და გაზონები... მალე ხრიოკი კვერნაკი ბაღნარად იქცა, — გვიამბობს ბატონი თამაზი...

შემდეგ მათ სოფელ ვარიანში 8 ჰექტარი დაჭაობებული ტერიტორია აითვისეს და 3500-მდე ძირი ხეხილიც დარგეს, ახარეს და ბაღიც გააშენეს. ყოველივე ამას მადლობები, ჯილდოები და გარდამავალი დროშაც მოჰყვა. მომდევნო წლებში იგი დააწინაურეს და გორის გამწვანების მეურნეობა ჩააბარეს. იგი ბუნების დაცვის სარაიონთაშორისო კომიტეტის საზოგადოებრივი ინსპექტორიც იყო. ამავე დროს, თამაზ ავთანდილაშვილი საქართველოს მწვანე მშენებლობისა და დეკორატიული მებაღეობის სექციის ბიუროს წევრადაც აირჩიეს.

ეს თანამდებობები მას სახელისათვის სულაც არ სჭირდებოდა — ბატონი თამაზი ქვეყანას, ხალხს ემსახურებოდა, იცავდა და ამრავლებდა ბუნების უმშვენიერეს ჯიშებს, ალამაზებდა გარემოს, ქმნიდა ახალს და ახლის ძიებაში აშენებდა უკეთესს, ვიდრე ადრეულ წლებში იყო.

ამჟამად თ. ავთანდილაშვილი საქართველოს ბუნების დაცვის რესპუბლიკური გამგეობის უფროსი ინსპექტორია და მშობლიური ქარელის რაიონში იღვწის.

სააქციო საზოგადოება „ქართულმა შაქარმა“ ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობა-გამწვანების სამუშაოთა მაღალორგანიზებული წარმართვისათვის ბატონი თამაზი აგრონომ-დეკორატორად მიიწვია. გამართლდა მათი ნდობა. დროის მცირე მონაკვეთში არე-მარეს უკვე დაეტყო მისი მადლიანი მარჯვენა. ტერიტორია გაიწმინდა ნარჩენებისაგან და ბეტონის ბორდიურებით გამოიყო გაზონები, გაკეთდა მისასვლელი გზები, ერთ ჰექტარ ფართობზე დაირგო და აშრიალდა მრავალწლოვანი მარადმწვანე და ფოთლოვანი მცენარეები, ვერცხლისფერი და ევროპული ნაძვები, პირამიდული ღვია, ტუია, იურკა, კავკასიური ცაცხვი, ჭადარი, ალვის ხეები და ა.შ. ყვავილნარები დაამშვენა ვარდმა, პირთეთრამ, ღობისპირამ, შროშანმა თუ ზამბახმა, დათვიყურამ, გეორგინამ და ნარგიზმა, დაიდგა საყვავილე ქოთნებიც, შეკეთდა სკამები. ამ შესანიშნავი წამოწყების ენთუზიასტები — ქარხნის ადმინისტრაცია და კოლექტივი იმთავითვე მხარში ამოუდგა ბატონ თამაზს.

— თუ არა მათი მხარდაჭერა, მარტო, აბა, რას გავხდებიო, — ამბობს ბატონი თამაზი.

მართალია, დღეს ქარხნის ტერიტორიის 29 ჰექტარი ფართობიდან მხოლოდ ნაწილია ათვისებული და კეთილმოწყობილი, მაგრამ მალე კვლავ გაშენდება და გალამაზდება ტყე-პარკი, ტბა, წყლის აუზის მშენებლობაც დაიწყება, დაიდგმება ფაცხები, ტერიტორია კი მთლიანად შემოიღობება.

და, რა თქმა უნდა, არც მცენარეები დაივიწყეს. სილამაზე მათ გარეშე ხომ უფერულია?! დადგება დრო და სულ მალე აქ იშრიალებს ვერხვი და ჭადარი, შავი ფიჭვი, მტირალი ტირიფი და ცაცხვი... გაშენდება ყვავილნარები. ვარდი და შროშანი, გეორგინა და ზამბახი გაიღიმებს აქაც. მათ კი ქარსაცავები დაიცავს. ასეთია მომავალი გეგმა, რომელიც სულ მალე საქმედ იქცევა.

დღეები დღეებს მისდევს... თეთრად გათენებული ღამეები და ფიქრი... ნახაზები, გეგმები და კვლავ ახალი ჩანაფიქრი მწვანე მეგობრების მომრავლება-გაშენებაზე, ფიქრი ცოდნის სრულყოფაზე, ამაღლებაზე, რათა მომავალში უკეთ ემსახუროს მშობელ ქვეყანას. მისი სურვილია, გამოცდილების გაზიარების მიზნით დასავლეთის რომელიმე წამყვან ქვეყანაში მიავლინონ. ამის თავდები საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური პრეზიდიუმი და გამგეობის თავმჯდომარე ომარ ჯანელიძეა.

ჩვენც ვუერთდებით მათ და ქვეყნის საკეთილდღეოდ გზას ვულოცავთ ბატონ თამაზს.

**ცისანა სიხარულიძე.**

**სურათებზე: თამაზ ავთანდილაშვილი, სს „ქართული შაქრის“ ეზოს ერთი კუთხე; „აგროტექსერვისის“ ეზო.**





## ინფორმაცია ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ

ქ. თბილისის მერიის გლდანი-ნაძალადევის რაიონულმა გამგეობამ 30.06.02 წ. გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა განცხადება რაიონის საცხოვრებელ კვარტლებსა და კორპუსებში მდებარე წყლის წნევის გამაძლიერებელი წყალსაქაჩების ექსპლუატაციისა და რემონტისათვის საჭირო მომსახურეობის სახელმწიფო შესყიდვაზე.

ტენდერში გამარჯვებული ინდ. მეწარმე „ჯუმბერ ნაცვლიშვილთან“ აღნიშნულ მომსახურეობაზე ხელშეკრულება გაფორმდა 15.08.02 წ.

საჭენდერო კომისიის თავმჯდომარე
**თ. ჯულუხიძე.**

## სს „ახმეტის ღვინის ქარხნის“ აქციონერთა საყურადღებოდ

2002 წლის 21 ოქტომბერს, 12 საათზე გაიმართება აღნიშნული ორგანიზაციის აქციონერთა საერთო კრება (მის: ქ. ახმეტა ჩოლოყაშვილის 81)

**დღის წესრიგი:**

1) განვლილი წლის სამეურნეო შედეგების განხილვა;
2) აუდიტის არჩევა;
3) ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოში;
4) ცვლილებები საწესდებო კაპიტალში;
5) სხვადასხვა.



- ● **ერაყი ამერიკელები მოთელვას შეუდგნენ**
- ● **პერუ: დარტანიანების დრო ჯერაც არ წასულა**
- ● **ახლო აღმოსავლეთი: საშველი არ ჩანს**
- ● **ჩინეთ-ევროპის დიალოგი გრძელდება**

## ამერიკელებმა ბასრა დაბომბეს

**ამერიკის სამხედრო-საჰაერო თვითმფრინავები თავს დაესხნენ სამოქალაქო აეროპორტს ერაყის სამხრეთით მდებარე ქალაქ ბასრაში.**

ბაღდადის ტელევიზიით გადაცემულ განცხადებაში ნათქვამია, რომ თავდასხმის შედეგად დაინგრა მთავარი ტერმინალის შენობა და აეროპორტის რადარული დანადგარი.

პენტაგონმა დაადასტურა, რომ ეს ინციდენტი ნამდვილად მოხდა, და დასძინა, რომ სამხედრო-საჰაერო ძალების სამიზნე იყო მობილური რადარული დანადგარი.

ბასრა 1991 წლიდან არის დახურული ერაყის ავიაციის ფრენისათვის. ბრიტანეთისა და ამერიკის საბრძოლო თვითმფრინავები რეგულარულად პატრულობენ ამ ზონას და თავს ესხმიან ერაყის ობიექტებს, რომლებიც, მათი თქმით, საშიშროებას წარმოადგენენ.

ამავე დროს, პრეზიდენტ ბუშის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების საკითხებში, კონდოლიზა რაისმა ბრალად დასდო ერაყს, რომ მას მრავალი წლის მანძილზე ჰქონდა მჭიდრო ურთიერთობა „ალ-ყაიდასთან“. რაისმა დასძინა, რომ ამერიკის ხელისუფალთ აქვთ ამის დამამტკიცებელი საბუთები.



## პერუს ვიცე-პრეზიდენტი დუელზე უარს ამბობს

**დავით ვაისმანმა, პერუს ვიცე-პრეზიდენტმა, უარი თქვა დუელზე, რომელშიც იგი კონგრესმენმა ეიტელ რამოსმა გამოიწვია.**

რამოსის აღშფოთების მიზეზი გახდა ის, რომ ვაისმანმა უპატივცემლოდ მოიხსენია კონგრესმენი, რომელმაც, თავის მხრივ, გააკრიტიკა ენიან კარპის, პერუს პრეზიდენტის ალეხანდრო ტოლედოს ცოლის განცხადებები.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ პრეზიდენტის მეუღლემ თქვა, პატარ-პატარა პარტიები ცდილობენ წყალი შეუყენონ ტოლედოს პოლიტიკურ პოზიციებს. დამოუკიდებელი კანდიდატი რამოსი ამან ძალზე გაანაწყენა, პოლიტიკაში პარტიის სიდიდე არაფერ შუაშიაო. ამის შემდეგ ვიცე-პრეზიდენტმა ვაისმანმა კონგრესმენს ლაჩარი უწოდა იმის გამო, რომ მან აუგად მოიხსენია სუსტი სქესის წარმომადგენელი. 54 წლის რამოსმა სატისფიკაცია მოითხოვა. როგორც დაზარალებულ მხარეს, მას უფლება ჰქონდა, აერჩია ადგილი და იარაღის სახეობა. რამოსმა აირჩია დამბაჩები და პერუს დედაქალაქ ლიმის საგარეუბნო პლაჟი, ხოლო სეკუნდანტად — თავისი მეგობარი ექიმი.



65 წლის ვაისმანს, რომელმაც ახლახან გადაიტანა გულის ოპერაცია, ორთაბრძოლა არ სურს — თუნდაც, ექიმის თანდასწრებით. ვიცე-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ იგი ცივილიზებული და გულკეთილი ადამიანია, ამასთან დასძინა, ჩემი მორალური მრწამსი არ მაძლევს უფლებას, ადამიანის სიცოცხლე ხელვყოო.

ექსპერტებს ჯერაც ვერ გამოუტანიათ ერთიანი აზრი იმის თაობაზე, ნებადართულია თუ არა პერუში დუელები. სულ ბოლოს აქ ბარიერთან გავიდნენ 1957 წელს. ფერნანდო ბელაუნდე, რომელიც მოგვიანებით პერუს პრეზიდენტი იყო 1963-1968 და 1980-85 წლებში, თავის ერთ-ერთ პოლიტიკურ ოპონენტს დაშნით შეება. არბიტრმა შეწყვიტა დუელი მას შემდეგ, რაც ბელაუნდემ დაჭრა მოწინააღმდეგე, რომელსაც სისხლი გამოუვიდა.

## რვა მსხვერპლი ერთ დღეში

**ჰამას დაჯგუფების სულ ცოტა ორი წევრი დაიღუპა ისრაელის მიერ ღაზის სექტორისათვის რაკეტების დაშენის დროს. თვითმხილველთა თქმით, ავტომობილი, რომელშიც პალესტინელთა ამ გასამხედროებული დაჯგუფების წევრები ისხდნენ, რაკეტებით ააფეთქეს ისრაელის შვეულმფრენებმა.**

ისრაელის წარმომადგენლებმა გამოაცხადეს, რომ დარტყმის სამიზნე იყო ჰამასის ერთ-ერთი წამყვანი მოღვაწე და ამფეთქებელი მუჰამედ დეიფი. პალესტინელებმა უარყვეს მისი



დაღუპვის ცნობა. ისრაელთა სარაკეტო იერიშის დროს დაიჭრა 20-ზე მეტი გამვლელი. პალესტინელები ამბობენ, რომ ისრაელებმა დარტყმა მიაყენეს შეიჰ რადვანის სახლის მიდამოებს — გასამხედროებული ისლამისტური დაჯგუფება **ჰამასის** ფორ-პოსტს.

აქამდე სამხედროებს არაერთგზის მიუყენებიათ დარტყმები იმ ადამიანთა კუთვნილ ავტომობილებზე, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ ისრაელებზე მოწყობილი თავდასხმების ორგანიზაციაში.

ჯერ კიდევ, ღაზაში რეიდის დაწყებამდე ცნობილი გახდა, რომ 14 თვის პალესტინელი გოგონა გაგუდა ცრემლსადენმა გაზმა, რომელიც ისრაელმა ჯარისკაცებმა იხმარეს ქებრონის ბაზარზე საკომენდანტო საათის დროს წესრიგის დასამყარებლად.

როგორც საერთაშორისო წითელი ჯვრის ორგანიზაციაში თქვეს, ეს პირველი შემთხვევაა ორი წლის ინტიფადის მანძილზე, რომ ბავშვი ცრემლსადენმა გაზმა შეიწირა.

ბი-ბი-სის იერუსალიმელი კორესპონდენტის თქმით, ბავშვის დაღუპვამ ნავთი დაასხა ცეცხლზე იმ კამათთან დაკავშირებით, რომელიც მიმდინარეობს ისრაელთა მიერ პალესტინელთა ტერიტორიებზე შემოღებული საკომენდანტო საათის მიზნებისა და მეთოდების შესახებ.

ქალაქ ტულკარმში, დასავლეთ ნაპირზე, ატყდა ორმხრივი სროლა, რომლის დროსაც დაიღუპნენ ისრაელის არმიის ოფიცერი და ჰამასის მოთარეშე.

ისრაელის რადიოს ცნობით, კაპიტანი ჰარელ მარმელშტაინი სათავეში ედგა სპეცრაზმის ელიტურ ქვედანაყოფს, რომელიც არემარეს ჩხრეკდა მოთარეშეთა ძებნისას და სწორედ ამ დროს ესროლა მას მღვიმეში დამალულმა ტერორისტმა.

სროლის დროს დაიღუპა ჰამასის თვალსაჩინო წარმომადგენელი ნაშად ჯბარა, რომელიც უკვე, მრავალი წელიწადია იძებნება.

ამასობაში კი, ჯარისკაცები განაგრძობენ პალესტინელთა ლიდერის იასირ არაფატის ბლოკადას რამალაჰის შტაბბინაში. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკადის ტაქტიკას მწვავედ აკრიტიკებენ როგორც მსოფლიოს დედაქალაქებში, ისე გაეროს უშიშროების საბჭოში.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა არიელ შარონმა განაცხადა, რომ აუცილებელია, გაგრძელდეს ბლოკადა და ხაზი გაუსვა, რომ არაფატის კომპლექსის შენობებში დამალული 20-ზე მეტი კაცი „ყველაზე თავზეხელაღებული ტერორისტები არიან“.

ისრაელები დაჟინებით მოითხოვენ 50 მოთარეშის გაცემას.

ამავე დროს, ლიბანის გაზეთს „ალ-მუსტაკბალს“ და ისრაელის „მაარივს“ მოჰყავთ არაფატის კომპლექსში თავშეფარებული მებრძოლის ტოფიკ ტირავის სიტყვები, რომ 50-ვენი მზად არიან მოწამეობრივი სიკვდილისათვის.

ხუთშაბათ ღამით, არაფატის შტაბბინის სახურავზე, ისრაელებმა თავიანთი დროშა ააფრიალეს.

## სინჯუა იუწყება

**ჩინეთი განაგრძობს ევროპასთან დიალოგს ადამიანის უფლებათა საკითხებზე, განაცხადა სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯუ ჟუნძიმ.**

დანიის პრემიერ-მინისტრთან რასმუსენთან შეხვედრის დასასრულს გამართულ პრესკონფერენციაზე ჯუ ჟუნძიმ აღნიშნა, რომ ჩინეთი პოზიტიურად აფასებს ევროპასთან დიალოგს ადამიანის უფლებათა საკითხზე. შეხედულებებისა და მოსაზრებების განსხვავების მიუხედავად, დიალოგი ორივე მხარისათვის სასარგებლოა.

შეეხო რა ტიბეტის საკითხს, ჩინეთის პრემიერმა თქვა, რომ მიესალმება დანიის მთავრობის დახმარებას ტიბეტის განათლების დარგში და სხვა პროექტებს. ტიბეტის მოსახლეობისათვის სასიკეთო თანამშრომლობის ნებისმიერ პროექტს ჩვენ მივესალმებით და მხარს დავუჭერთ, განაცხადა პრემიერმა. ამასთან დასძინა, რომ ტიბეტი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია და მთავრობა წინააღმდეგია დალაი-ლამას ცდებისა, რომელიც ისწრაფვის, გადააქციოს ტიბეტი დამოუკიდებელ რაიონად, წინააღმდეგია დალაი-ლამას მიწვევისა ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის მიერ და რომელიმე სახელმწიფოს ხელმძღვანელებთან ან ოფიციალურ პირებთან მისი შეხვედრებისა, ვინაიდან დალაი-ლამას ეს ჰგონია იმ მხარდაჭერის გამოვლინება, რომელსაც უცხოეთის მთავრობები იჩენენ მის მიმართ.

* * *

**ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპმა გადაამეტა ყველა პროგნოზს, აღნიშნულია მოხსენებაში „მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივები“, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გამოაქვეყნა.**

მოხსენებაში მოცემულია პროგნოზი, რომ ჩინეთის ეკონომიკა წელს 7,5 პროცენტით გაიზრდება და გადაამეტებს წინა წლის მაჩვენებელს.

ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური ზრდა და მისი ბიუჯეტის პარამეტრების ხანგრძლივი გაუმჯობესება ძირითადად დამოკიდებულია ეკონომიკის რესტრუქტურიზაციაზე, კერძოდ, ჯანსაღი კომერციული საბანკო სისტემის განვითარების პროგრესზე და სახელმწიფო საწარმოებში მიმდინარე რეფორმების წარმატებით დასრულებაზე, ხაზგასმით არის აღნიშნული მოხსენებაში.

## ეძებენ წვეროსნებს „შავი კომედიისათვის“

**ამ ცოტა ხნის წინათ მთელმა მსოფლიომ აღნიშნა ამერიკაზე თავდასხმის წლისთავი, და ყველამ — თავისებურად. ბელგიელმა კინორეჟისორმა რობ ვან ეიკმა მოაწყო წვეროსანი მოქალაქეების მოსმენა, რომელთაგან ერთ-ერთმა უნდა შეასრულოს უსამა ბენ ლადენის როლი ახალ „შავ კომედიაში“.** ფილმში ნაამბობია, როგორ ითხოვა ბენ ლადენმა ჯერ პოლიტიკური თავშესაფარი ბელგიაში, და როგორ გახდა შემდეგ ევროკომისიის თავმჯდომარე.

ვან ეიკის თქმით, ხალხი უნდა გააოგნო იუმორით. რეჟისორი აღიარებს, რომ საგანგებოდ შეარჩია მოსმენის დრო, რათა მომავალი ფილმის ამბავი რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა შეიტყოს.

„ასეთ დღეს, ბუნებრივია, ყველაზე მეტად მივიპყრობდი პრესის ყურადღებას, თორემ, როდესაც მაისში გადავწყვიტე მსახიობების აყვანა, კაციშვილი არ მოვიდა“, — ამბობს რეჟისორი.

კითხვაზე, ხომ არ ეჩვენებათ, რომ ბენ ლადენის როლზე მსახიობთა აყვანა საყოველთაო გლოვის დღეს ვერ არის მთლად ლამაზი, ვან ეიკმა უპასუხა: „ეს, რა თქმა უნდა, არ არის სასიამოვნო ამერიკელებისათვის, მაგრამ ადამიანები ხომ ყოველდღიურად იღუპებიან თავდასხმების დროს“. რეჟისორი თვლის, რომ შეერთებულ შტატებში არ იციან საკუთარ თავზე სიცილი.

სურათის მოქმედება მიმდინარეობს 2012 წელს, ვან ეიკი კი გადაღებას იწყებს გაისად. მისი მცირებიუჯეტიანი ფილმები უდიდესი პოპულარობით სარგებლობენ ბელგიაში.

მოსმენაზე შეიკრიბა ასობით ხალათიან-ჩალმიანი წვეროსანი. ერთ-ერთმა პრეტენდენტმა, 27 წლის რაფ ლინმანსმა თქვა, რომ არასდროს უთამაშია, მაგრამ თვლის, რომ ვან ეიკის იდეა მხოლოდ და მხოლოდ ერთგვარი ანცობაა და მეტი არაფერი: როდესაც რობ ვან ეიკის ფილმებს უყურებ, ხვდები, რომ თამაშის ცოდნა სულაც არ არის საჭირო“.

## „ეკონომისტი“: ვინ არის პუტინი, მტერი თუ მოყვარე?

**მოსკოვის ბოლოდროინდელმა ქცევამ საგონებელში ჩააგდო მთელი რიგი მეთვალყურენი, ვინაიდან ზოგიერთი ნიშნის მიხედვით, რუსეთი მაინც და მაინც არ ჩქარობს, მთლიანად მოაგვაროს თავისი ურთიერთობა დასავლეთთან ცივი ომის დასრულების შემდეგ. კითხვაზე — ვინ არის დასავლეთისთვის ვლადიმერ პუტინი, მტერი თუ მოყვარე, — პასუხის გაცემას ცდილობს ბრიტანული ყოველკვირეული „ეკონომისტი“.**

**ერთი წლის წინათ გარეშე მეთვალყურეს ეგონებოდა, რომ 11 სექტემბრის მოვლენებმა პრეზიდენტი პუტინი აიძულა, დასავლეთის მხარე დაეჭირა. მაგრამ ახლა, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ პუტინმა შეიცვალა აზრი. რუსეთი არავითარ ენთუზიაზმს არ იჩენს ბაღდადის მიმართ ამერიკის სამხედრო გეგმების გამო, და გულში იხუტებს იმ ქვეყნებს, რომლებიც ვაშინგტონმა „ბოროტების ღერძის“ შემადგენელ სახელმწიფოებად გამოაცხადა. უფრო მეტიც, მოსკოვი სულ უფრო აგრესიულად იქცევა საქართველოს მიმართ, სადაც რუსეთის მხარის აზრით, ჩეჩენი ექსტრემისტები იმალებიან.**

### მუქარა

როგორც „ეკონომისტი“ აღნიშნავს, წინა კვირას პუტინი პანკისის ხეობის დაბომბვით დაიმუქრა. ზოგიერთი მიმომხილველი ვარაუდობს, რომ კონსერვატორები პუტინისაგან მოითხოვენ, დაიცვას რუსეთის ინტერესები და სწორედ ამიტომ მოითხოვს რუსეთის პრეზიდენტი ბუშისაგან, მოუწონოს პანკისის ხეობაში არსებულ ბაზებზე დარტყმები, რის სანაცვლოდაც რუსეთი გაიზიარებს საომარ ოპერაციას ბაღდადის წინააღმდეგ.

სინამდვილეში, ვარაუდობს „ეკონომისტი“, პუტინის კრიტიკოსები, როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ, ცოტა არ იყოს, ამარტივებენ სურათს. პუტინი პრაგმატიკოსია, როგორც საგარეო პოლიტიკაში, ისე ყოველივე დანარჩენში, წერს ყოველკვირეული. და იგი ჯერ კიდევ 11 სექტემბრის ტრაგიკულ მოვლენებამდე ცდილობდა, დაემყარებინა უფრო მჭიდრო კონტაქტები შეერთებულ შტატებთან, ევროპასთან, და მოეპოვებინა მოსკოვისათვის უფრო გავლენიანი პოზიცია საერთაშორისო ორგანიზაციებში. აშშ მხარდაჭერამ პუტინს საუცხოო შედეგი მოუტანა: ვაშინგტონმა და ევროკავშირმა ცნეს რუსეთი, როგორც საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის სტატუსი. ჩამოყალიბდა საბჭო „რუსეთი-ნატო“, რაც მოასწავებდა მოსკოვის განდგომას ალიანსის მიმართ ტრადიციულად მტრული დამოკიდებულებისაგან. უფრო მეტიც, როგორც „ეკონომისტი“ წერს, მაშინაც კი, როდესაც რუსეთი მოითხოვს ერაყის პრობლემის გადაჭრას გაეროს ფარგლებში, და არა ამერიკის შეჭრის გზით, აშკარაა პუტინის პრაგმატიზმი, ვინაიდან უშიშროების საბჭოს ვეტოუფლებიანი მუდმივი წევრის სტატუსი — ეს ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ბერკეტთაგან, მოსკოვს რომ დარჩა საერთაშორისო პოლიტიკაზე გავლენის მოსახდენად.

საქართველოში შექმნილი ვითარება დიდ შეშფოთებას იწვევს.



დაბომბვების მუქარა პუტინმა დაუკავშირა შეერთებულ შტატებზე ტერორისტული თავდასხმების წლისთავსა და პრეზიდენტ ბუშის გამოსვლას გაეროში. რუსეთს არაერთგზის დაუყენებია ჩეჩენ მოთარეშეებთან ბრძოლის საკითხი გაეროში ერაყის გამო მიმდინარე დებატების დროს. უდავოა, აღნიშნავს „ეკონომისტი“, მოსკოვს სურდა, ყველას დაენახა პარალელი. ამერიკის ოფიციალური პირნი აღიარებენ, რომ ტერორის საკუთარმა გამოცდილებამ აიძულა ისინი, სხვაგვარად შეეხედათ მოსკოვის ჩეჩნური პრობლემებისადმი პანკისის პრობლემის გადასაწყვეტად.

მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მოსკოვს აუცილებლად სჭირდება ვაშინგტონთან გარიგება. თქვენ ერაყი დაბომბეთ, ჩვენი კი საქართველოს დავბომბავთო, წერს „ეკონომისტი“. ყველაფერი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ აშშ პრეზიდენტს სურს, მიაყენოს სამხედრო დარტყმა ერაყს, მაგრამ არ არის აშკარა, რომ პუტინს, თავის მხრივ, ნამდვილად სურდეს და მზად იყოს ფართომასშტაბის ოპერაციის განსახორციელებლად საქართველოს ჩრდილოეთში.

მისი აგრესიული პოზიცია შეიძლება აიხსნებოდეს დათმობით რუსეთის სამხედრო ელიტისადმი, რომელსაც მიაჩნია, რომ მოსკოვმა უფრო მკაცრად უნდა დაიჭიროს თავი როგორც საქართველოს, ისე შეერთებული შტატების მიმართ. და პუტინის პოზიცია ნაწილობრივ, ალბათ, ჩეჩნეთში შექმნილი რთული ვითარებით აიხსნება.

სწორედ ჩეჩნეთის მიმართ მოსკოვის ხისტი კურსი იყო ერთ-ერთი მიზეზი პუტინის პოპულარობისა ამომრჩეველთა შორის, მაგრამ იმ ფაქტმა, რომ მთელი ამ დროის მანძილზე მან ვერ მოუღო ბოლო კონფლიქტს, შეიძლება გაართულოს პუტინის პოზიცია 2004 წლის პრეზიდენტის არჩევნებში. ბოლოს და ბოლოს, პუტინმა, შეიძლება, არც მიმართოს ექსტრემალურ ღონისძიებებს საქართველოში, თუმცა მისი ტაქტიკა ბოლო დროს აგრესიულად გამოიყურება.

ასეა თუ ისე, შეერთებული შტატები, ნაცვლად იმისა, რომ გმობდეს მოსკოვის პოზიციას, უნდა დაეხმაროს რუსეთსა და საქართველოს, დაამყარონ თანამშრომლობა, რათა გამოიძებნოს პანკისის ხეობის ირგვლივ წამოჭრილი პრობლემის გადაწყვეტა, დაასკვნის **„ეკონომისტი“.**

**უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა**
**არჩილ მანჯგალაძემ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

№ 237, შაბათი, 28 სექტემბერი, 2002 წელი.

# სასჯელაღსრულებითი სამართალი

**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 231-232, 233-234, 235-236)**

1. მსჯავრდებულ გაგუას, რომელიც სასჯელს იხდიდა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, პირად სარგებლობაში ჰქონდა ტელევიზორი და ვიდეო მაგნიტოფონი. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზორის და ვიდეო მაგნიტოფონის გამოყენებისას, მას არ დაურღვევია დაწესებულების შინაგანაწესის მოთხოვნები და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდე, დაწესებულების დირექტორის განკარგულებით, მაინც ჩამოერთვა გაგუას აღნიშნული ელექტროაპარატურა.
*კანონიერია თუ არა დაწესებულების დირექტორის მოქმედება?*

ა. კანონიერია, რადგან მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, არა აქვს უფლება, პირად სარგებლობაში იქონიოს ტელევიზორი და ვიდეო მაგნიტოფონი.
ბ. კანონიერია, რადგან მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, არ ჰქონდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის სპეციალური ნებართვა, ტელევიზორის და ვიდეო მაგნიტოფონის პირად სარგებლობაში ქონასა და გამოყენებაზე.
გ. კანონიერია, რადგან მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, აკრძალულია სატელევიზიო გადაცემების ტრანსლაცია.
დ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულს უფლება აქვს იქონიოს რადიო მიმღები, ტელევიზორი, ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონი, თუ მათი გამოყენება არ არღვევს დაწესებულების შინაგანაწესს და სხვა მსჯავრდებულთა სიმშვიდეს.

2. *ვინ იხდის მსჯავრდებულის მიერ პირად სარგებლობაში არსებული ტელევიზორის, ვიდეო ან აუდიო მაგნიტოფონის, ან სხვა ელექტრო ტექნიკის გამოყენების დროს დახარჯული ელექტროენერგიის ხარჯებს?*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულება.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.
გ. მსჯავრდებული.
დ. იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი სამსახური.

3. *ვინ ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულების და მსჯავრდებულთა დაცვას?*

ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარი.
ბ. საქართველოს უშიშროების სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი.
გ. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები.
დ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეციალური დაცვის სამსახური.

4. *ვინ ახორციელებს მოკვლევას, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მომხდარ დანაშაულის ფაქტებთან დაკავშირებით?*

ა. შინაგან საქმეთა სამინისტრო.
ბ. იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბი.
დ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახური.

5. *ვინ ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას?*

ა. შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ორგანოები.
ბ. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შტაბი.
დ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უსაფრთხოების სამსახური.

6. მსჯავრდებულმა აბზიანიძემ, განმეორებითი საჩივრით მიმართა პროკურორს დაეცვა მისი უფლებები. სასჯელაღსრულების ადმინისტრაციამ იმ მოტივით, რომ საჩივარში არაკორექტულად იყვნენ მოხსენებულნი რიგი თანამდებობის პირები, რომლებსაც მისი ბრალდების საქმესთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ, შეაჩერა საჩივრის გადაგზავნა.
*შეაფასეთ ადმინისტრაციის მოქმედება.*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედება კანონიერია, რადგან მას უფლება აქვს შეამოწმოს, მსჯავრდებულის მიერ პროკურორისათვის გაგზავნილი განცხადება და შესაბამისი კორექტივების შეტანა მოსთხოვოს მას.
ბ. უკანონოა, რადგან სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციას, ეკრძალება შეაჩეროს ან შეამოწმოს პროკურორისათვის გაგზავნილი მსჯავრდებულის განცხადება.
გ. კანონიერია, რადგან მსჯავრდებულის საჩივარი უნდა შეეხებოდეს იმ საკითხების შესწავლის და გამოკვლევის მოთხოვნას, რომლებმაც, მომჩივანის აზრით, განაპირობეს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანა.
დ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულს არ ჰქონდა ამოწურული პროკურორისადმი საჩივრით მიმართვის დაწესებული ლიმიტი, რომელიც მას დაუდგინა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ.

7. *რომელი ორგანო ან თანამდებობის პირია უფლებამოსილი, სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევისათვის, მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური ზომები?*

ა. საქართველოს იუსტიციის მინისტრი — სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით.
ბ. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი, ან მისი მოადგილე.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულების ის თანამდებობის პირი, რომელსაც საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, მსჯავრდებულის მიმართ მინიჭებული აქვს დისციპლინური დევნის განხორციელების უფლება.

8. *თვეში რამდენჯერ აქვს უფლება ტუსაღს შეხვდეს ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს?*

ა. ტუსაღს თვეში ორჯერ შეუძლია შეხვდეს ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს, საპყრობილის თანამშრომლის ვიზუალური ზედამხედველობით, მოსმენის გარეშე.
ბ. ტუსაღს თვეში სამჯერ შეუძლია შეხვდეს ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს, საპყრობილის თანამშრომლის ვიზუალური ზედამხედველობის გარეშე.
გ. ტუსაღს თვეში ხუთჯერ შეუძლია შეხვდეს ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს, საპყრობილის თანამშრომლის ვიზუალური ზედამხედველობის გარეშე.
დ. ტუსაღს შეუზღუდავად შეუძლია შეხვდეს ოჯახის წევრებს ან სხვა პირებს, საპყრობილის თანამშრომლის ვიზუალური ზედამხედველობით, მაგრამ დღეში არა უმეტეს ერთი საათისა.

9. *რამდენ საათს არ უნდა აღემატებოდეს ტუსაღის პაემანი და ვინ განსაზღვრავს შეხვედრის წესს?*

ა. ტუსაღის პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს სამ საათს. შეხვედრის წესი განისაზღვრება იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.
ბ. ტუსაღის პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ საათს. შეხვედრის წესი განისაზღვრება სასჯელაღსრულების დაწესებულების შინაგანაწესით.
გ. ტუსაღის პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ საათს. შეხვედრის წესი განისაზღვრება საპყრობილის შინაგანაწესით.
დ. ტუსაღის პაემნის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ოთხ საათს. შეხვედრის წესი განისაზღვრება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომრის მიერ.

10. *სასამართლოს განაჩენით ვის ენიშნება საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის მოხდა?*

ა. პირი, რომელიც არის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, განზრახი ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულისათვის, მსჯავრდებულია გაუფრთხილებლობით დანაშაულისათვის და ქალებს, ვადიანი თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას.
ბ. პირი, რომელიც პირველად არის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული, განზრახ ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის.
გ. პირი, რომელიც პირველად არის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული განრახ მძიმე დანაშაულისათვის.
დ. პირი, რომელიც პირველად არის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

11. *სად აბინავებენ საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულს?*

ა. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მსჯავრდებულს აბინავებენ სასჯელის ზომის მიხედვით.
ბ. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მსჯავრდებულს აბინავებენ ცალ-ცალკე იზოლირებულ ოთახებში.
გ. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მსჯავრდებულს აბინავებენ იმის მიხედვით, თუ ვის რა სახის დანაშაული აქვს ჩადენილი.
დ. საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მსჯავრდებულს აბინავებენ საერთო საცხოვრებელში, თუ შინაგანაწესით სხვა რამ არ არის დადგენილი.

12. პატიმარს, რომელსაც ბრალად ედებოდა საცავში შეღწევით სხვისი ქონების ქურდობა, მისი პატიმრობაში ყოფნის დროს, გარდაეცვალა ერთადერთი არასრულწლოვანი შვილი. ამ მოტივით ადმინისტრაციამ იგი გაათავისუფლა გარდაცვლილის დაკრძალვაზე დასასწრებად 5 დღით.
*კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?*

ა. ადმინისტრაციის მოქმედება კანონიერია, რადგან მას ჰქონდა უფლება გაეთავისუფლებინა პატიმარი 5 დღის ვადით, შვილის დაკრძალვასთან დაკავშირებით.
ბ. ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა, რადგან მას არ ჰქონდა უფლება პატიმარი გაეთავისუფლებინა 3 დღეზე მეტი ვადით, მიუხედავად მოტივისა.
გ. ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა, რადგანაც მას არ ჰქონდა პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლების უფლება. ასეთი უფლებით სარგებლობს სასამართლო.
დ. ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა, რადგან ასეთ შემთხვევებში, პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ 1 დღით, დაკრძალვის დღისათვის.

13. *რომელი კანონის შესაბამისად ხდება პატიმრის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან გათავისუფლება?*
ა. „პატიმრობის შესახებ" კანონის შესაბამისად.
ბ. სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად.
გ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.
დ. „პროკურატურის შესახებ" ორგანული კანონის შესაბამისად.

14. *ვინ უნდა შეამოწმოს პატიმარი და მისი პირადი ნივთები პატიმრის მოთავსების ადგილზე მიღების დროს?*

ა. მხოლოდ დირექტორმა ან მისმა მოადგილემ, დირექტორის დავალებით.
ბ. მორიგე თანაშემწემ, ორი დამსწრის თანდასწრებით.
გ. დაწესებულების (საპყრობილის) იმავე სქესის თანამშრომელმა.
დ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

15. *სასამართლოს განაჩენით, რა შემთხვევაში ენიშნება მსჯავრდებულს საპყრობილეში თავისუფლების აღკვეთის მოხდა?*

ა. თუ მსჯავრდებულია სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი დანაშაულისათვის.
ბ. თუ წარსულში ნასამართლევია ორჯერ ან მეტჯერ, არ აღიარებს დანაშაულს და ხასიათდება უარყოფითად.
გ. თუ წარსულში ნასამართლევია სამჯერ და მეტჯერ, არ აღიარებს დანაშაულს და მატერიალური ზარალი არ არის ანაზღაურებული.
დ. თუ მსჯავრდებულია უვადო თავისუფლების აღკვეთით, განსაკუთრებით საშიში რეციდივის დროს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებისას, თუ სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულს დანიშნული აქვს სასჯელის ვადის ნაწილის მოხდა საპყრობილეში მოთავსებით, მსჯავრდებულის, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით გადმოყვანილია სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებიდან, რეჟიმის მოთხოვნისაგან არაერთგზის თავის არიდებისათვის.

16. მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა, კარგი ყოფაქცევისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის, დამამძიმებელ გარემოებებში, ორი პირის განზრახ მკვლელობისათვის ადრე ნასამართლებ, მსჯავრდებულ ალიევს, წლის განმავლობაში, ერთი ხანგრძლივი პაემნის გარდა, დამატებით მისცა ორი ხანმოკლე პაემანი, იმ მოტივით, რომ ალიევს არ ჰყავდა ახლო ნათესავები.
*კანონიერია თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება?*

ა. კანონიერია, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს, თავის შეხედულებით, უფლება აქვს შეუზღუდავად მისცეს მსჯავრდებულს ხანმოკლე პაემნის უფლება, თუ მას ახლო ნათესავი არ ჰყავს.
ბ. უკანონოა, რადგან ალიევი მსჯავრდებული იყო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.
გ. მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილება კანონიერია, რადგან ალიევს არ ჰყავდა ახლო ნათესავები.
დ. უკანონოა, რადგან ხანმოკლე პაემნის მიცემის უფლებას, ახლო ნათესავების არ ყოლის გამო, კანონი არ ითვალისწინებს.

17. *სად ათავსებენ ერთი და იმავე საქმეზე ბრალდებულ პირებს?*

ა. კარცერში ერთად.
ბ. სადღეღამისოდ ჩაკეტილ საკნებში ცალ-ცალკე.
გ. სადღეღამისოდ ჩაკეტილ საკანში ერთად.
დ. კარცერში ცალ-ცალკე.

18. *რით განისაზღვრება პატიმრის ხანმოკლე პაემნის პერიოდულობა და ხანგრძლივობა?*

ა. საპყრობილის (დაწესებულების) შინაგანაწესით.
ბ. საპყრობილის დირექტორის ბრძანებით.
გ. დებულებით "საპყრობილის შესახებ", რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.
დ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

19. *რა წესით ხდება სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან გარეთ ხანმოკლე გასვლა და რომელ მსჯავრდებულს აქვს ამის უფლება?*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა აღმზრდელობითი, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს დირექტორის წარდგინებით, პროკურორის თანხმობით.
ბ. ასეთი უფლება ეძლევა ყველა რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ პირს, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის თავმჯდომარის ნებართვით.
გ. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გარეთ ხანმოკლე გასვლის წესს არეგულირებს სპეციალური დებულება, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გარეთ ხანმოკლე გასვლა აკრძალულია კანონით.

20. *სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულთან ვის აქვს ხანგრძლივი შეხვედრის უფლება?*

ა. დანაშაულში თანამონაწილე პირებს.
ბ. ახლო ნათესავებს.
გ. მხოლოდ მეუღლეს.
დ. ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს.

21. არასრულწლოვანმა პატიმარმა ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია სასჯელაღსრულების დაწესებულების მოსამსახურეებს. მათ კი, პატიმრის დასაშოშმინებლად, გამოიყენეს დამაწყნარებელი პერანგი.
*კანონიერია თუ არა დაწესებულების მოსამსახურეების მოქმედება?*

ა. კანონიერია, რადგან კანონით ყველა პატიმრის მიმართ დასაშვებია დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება.
ბ. უკანონოა, რადგან არასწრულწლოვანი პატიმრის მიმართ, დაუშვებელია დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება.
გ. კანონიერია, რადგან პატიმრის დასაშოშმინებლად სხვა ღონისძიების გამოყენება შეუძლებელი იყო.
დ. უკანონოა, რადგან არასრულწლოვანი პატიმრის მიმართ დამაწყნარებელი პერანგის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, თუ იგი გაქცევას ცდილობდა.

22. *რით განისაზღვრება სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე საზოგადოებრივი კონტროლის მუდმივმოქმედი კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი და უფლებამოსილება?*

ა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით.
ბ. „პატიმრობის შესახებ" კანონით.
გ. დებულებით, რომელსაც ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადგილის მიხედვით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებით.

23. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებულმა პატიმარმა ქალმა, ვერ გაუძლო რეჟიმის მოთხოვნებს და სცადა გაქცევა. იმის გამო, რომ სხვა საშუალებით შეუძლებელი იყო აღნიშნული მოქმედების აღკვეთა, ამ დაწესებულების მოსამსახურემ, მის მიმართ გამოიყენა ცეცხლსასროლი იარაღი.
*კანონიერია თუ არა დაწესებულების მოსამსახურის მიერ პატიმარი ქალის მიმართ იარაღის გამოყენება?*

ა. კანონიერია, რადგან გაქცევის აღსაკვეთად სხვა საშუალების გამოყენება შეუძლებელი იყო.
ბ. უკანონოა, რადგან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დაწესებულების მოსამსახურეების სიცოცხლეს, პატიმრის მოქმედებით საფრთხე ემუქრება.
გ. უკანონოა, რადგან კანონით დაუშვებელია პატიმარი ქალების მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.
დ. კანონიერია, რადგან გაქცევის ყველა შემთხვევაში, დასაშვებია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება.

24. საპყრობილეში მოთავსებული პატიმრის პაემანს, თვალყურს ადევნებდა საპყრობილის თანამშრომელი, რომელმაც იმ მოტივით, რომ პაემანი ზიანს აყენებდა სისხლის სამართალწარმოებას, შეწყიტა იგი.
*შეაფასეთ ეს შემთხვევა.*

ა. საპყრობილის თანამშრომელს არა აქვს უფლება თვალყური ადევნოს პაემანს.
ბ. საპყრობილის თანამშრომელს უფლება აქვს თვალყური ადევნოს პაემანს, მაგრამ არა აქვს უფლება ჩაერიოს მასში, ან შეწვიტოს იგი.
გ. საპყრობილის თანამშრომელს უფლება აქვს თვალყური ადევნოს პაემანს, იგი უნდა ჩაერიოს პაემანში, ან დაუყოვნებლივ შეწყვიტოს იგი, თუ პაემანი ზიანს აყენებს სისხლის სამართალწარმოებას.
დ. საპყრობილის თანამშრომელი თვალყურს ადევნებს პაემანს და პატიმრის საეჭვო მოქმედებისა და მისი შეწყვეტის აუცილებლობის შესახებ, პატაკით უნდა აცნობოს საპყრობილის დირექტორს, ან მის მოადგილეს.

25. *პატიმარს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, აქვს თუ არა შეხვედრის უფლება თავისი ქვეყნის საკონსულოს ან ამ ქვეყნის უფლებამოსილ დიპლომატიურ წარმომადგენელთან?*

ა. აქვს შეუზღუდავი შეხვედრის უფლება.
ბ. აქვს შეზღუდული შეხვედრის უფლება, მხოლოდ გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის ნებართვით.
გ. აქვს შეზღუდული შეხვედრის უფლება, საპატიმრო ადგილის დაწესებულების დირექტორის ნებართვით.
დ. აქვს შეზღუდული შეხვედრის უფლება, საპატიმრო ადგილის დაწესებულების დირექტორის ნებართვით, ზედამხედველი პროკურორის თანხმობით.

26. *სად ამყოფებენ ბრალდებულს, რომელიც დაპატიმრებულია?*

ა. წინასწარი დაკავების იზოლატორში.
ბ. პოლიციის დაწესებულებაში.
გ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.
დ. საპყრობილეში.

27. *პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლების გამო, ვის უნდა დაეკისროს გათავისუფლებასთან დაკავშირებული ხარჯები?*

ა. ხანმოკლე გათავისუფლებასთან დაკავშირებული ხარჯებს აანაზღაურებს საპატიმრო ადგილის ადმინისტრაცია.
ბ. ხანმოკლე გათავისუფლებასთან დაკავშირებული ხარჯები დაეკისრება პატიმარს.
გ. ასეთი ხარჯების ანაზღაურება ხდება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან.
დ. პატიმრის ხანმოკლე გათავისუფლებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის.

28. *ვინ იძლევა საპყრობილეში მოთავსებულ ბრალდებულთან ხანმოკლე პაემნის უფლებას?*

ა. დაწესებულების ადმინისტრაცია (დირექტორი), მისი მოთავსების ადგილის მიხედვით.
ბ. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე.
გ. პოლიციის უფროსი.
დ. სახალხო დამცველი.

29. *ქვემოთჩამოთვლილი პირებიდან ვინ არ სარგებლობს სპეციალური ნებართვის გარეშე სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლის უფლებით?*

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.
გ. სახალხო დამცველი.
დ. საქართველოს პროკურატურის საამისოდ უფლებამოსილი პირი.

30. *რა წესით ხდება არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში, თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ არასრულწლოვანთა მოთავსება?*

ა. მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებულებს ათავსებენ სხვა მსჯავრდებულთაგან განცალკევებით.
ბ. ყველა არასრულწლოვან მსჯავრდებულს ათავსებენ ერთად.
გ. მსჯავრდებულთა მოთავსების საკითხს წყვეტს ადმინისტრაცია, მათი ქცევის მიხედვით.
დ. მსჯავრდებულთა მოთავსების საკითხს წყვეტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, ადმინისტრაციის წარდგინებით.

31. *ქვემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებიდან, რომელი სახის სასჯელაღსრულების დაწესებულება არ მოქმედებს საქართველოს ტერიტორიაზე?*

ა. საერთო რეჟიმის დაწესებულება.
ბ. გაძლიერებული რეჟიმის დაწესებულება.
გ. მკაცრი რეჟიმის დაწესებულება.
დ. საპყრობილე.

32. ბაქრაძეს, სასამართლოს განაჩენით, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით. განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, ბაქრაძე არ გადაიყვანეს სასამართლოს განაჩენით განსაზღვრული რეჟიმის კოლონიაში და მისი წინააღმდეგობის მიუხედავად, როგორც კარგი დურგალი, დატოვეს საპყრობილეში, სამეურნეო სამუშაოს შესასრულებლად.
*კანონიერია თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის მოქმედება?*

ა. კანონიერია, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს, მსჯავრდებული პატიმარი, თავისი შეხედულებით, გარკვეული ვადით დატოვოს საპყრობილეში სამეურნეო სამუშაოს შესასრულებლად.
ბ. უკანონოა, რადგან სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებული პატიმრის საპყრობილეში დატოვების საკითხს, წყვეტს განაჩენის დადმდგენი სასამართლო.
გ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებული, რომელსაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა საერთო (ან მკაცრი) რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით, შეიძლება დატოვებულ იქნას საპყრობილეში, მხოლოდ მისივე წერილობითი თანხმობით.
დ. კანონიერია, რადგან მსჯავრდებულის დატოვება საპყრობილეში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად, შესაძლებელია სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის განკარგულებით, თუ მსჯავრდებულის პროფესიის გამოყენება აუცილებლობით არის განპირობებული.

33. მსჯავრდებულმა ტეფნაძემ, იურიდიული დახმარებისათვის მიმართა ადვოკატს, რომელსაც საქმის შესწავლის შემდეგ, საჩივრით უნდა მიემართა საქართველოს გენერალური პროკურორისათვის, ახლადაღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების აღძვრის თაობაზე. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციამ, მსჯავრდებულ ტეფნაძეს ნება დართო შეხვედროდა თავის ადვოკატს კვირის განმავლობაში ორჯერ, სამ-სამი საათით.
*კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?*

ა. არ არის კანონიერი, რადგან მსჯავრდებულს უფლება აქვს, თავის დამცველს შეხვდეს ყოველდღე, არა უმეტეს ერთი საათისა.
ბ. კანონიერია, რადგან მსჯავრდებულის თავის დამცველთან შეხვედრის წესს და პირობებს, განსაზღვრავს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია.
გ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულს უფლება აქვს, შეუზღუდავად შეხვდეს თავის დამცველს.
დ. კანონიერია, რადგან მსჯავრდებულს უფლება აქვს, კვირის განმავლობაში ორჯერ შეხვდეს დამცველს, არა უმეტეს სამი საათისა.

34. არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდიდა არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში, თვრამეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, დატოვებულ იქნა ამავე დაწესებულებაში სამი წლით.
*შეაფასეთ დირექტორის მოქმედება.*

ა. უკანონოა, რადგან დაუშვებელია, თვრამეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, მსჯავრდებულის არასწულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში დატოვება.
ბ. უკანონოა, რადგან არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების დირექტორს უფლება აქვს, არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში, თვრამეტი წლის ასაკის მიღწევის შემდეგ, დატოვოს იმავე დაწესებულებაში, მაგრამ არა უმეტეს 20 წლის ასაკისა.
გ. კანონიერია, რადგან დირექტორი უფლებამისილია, არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში დატოვოს მსჯავრდებული, სასჯელის სრულად მოხდამდე.
დ. კანონიერია, რადგან დირექტორმა ზუსტად იმ ვადით დატოვა იმავე დაწესებულებაში მსჯავრდებული, როგორც ეს კანონით არის განსაზღვრული.

35. მსჯავრდებული კიზირია, სასჯელის მოსახდელად, საპყრობილიდან გადაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. იგი, ოთხ სხვა მსჯავრდებულთან ერთად, მოათავსეს დაწესებულების საცხოვრებელი კორპუსის ოთახში, რომლის ფართობი იყო 8კვ.მ.
*კანონიერია თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედება?*

ა. კანონიერია, რადგან საცხოვრებელი კორპუსის სხვა ოთახებში მეტი მსჯავრდებული იყო მოთავსებული.
ბ. უკანონოა, რადგან ადმინისტრაციას არ ჰქონდა უფლება, ახლადმიღებული მსჯავრდებული მოეთავსებინა საცხოვრებელ კორპუსში. თავდაპირველად ის სამი დღით უნდა განეთავსებინა საკნის სადგომში.
გ. დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედება კანონიერია, რადგან იგი ვალდებული იყო, თავიდანვე საცხოვრებელ კორპუსში განეთავსებინა მსჯავრდებული.
დ. დაწესებულების ადმინისტრაციის მოქმედება უკანონოა იმ მხრივ, რომ 5 მსჯავრდებულის განთავსება ერთად, 8 კვ.მ-ის ფართის მქონე დაწესებულების საცხოვრებელ სადგომში, არ შეესაბამება ფართის დაწესებულ ნორმას.

36. *ვინ განსაზღვრავს მსჯავრდებულის პირად საქმეზე დასართავი დოკუმენტების ჩამონათვალს და არქივში მისი შენახვის ვადას?*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
გ. იუსტიციის მინისტრი.
დ. ზედამხედველი პროკურორი.

37. *სასჯელაღსრულების დაწესებულების შენაგანაწესის დარღვევებისათვის, თუ მისი ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მსჯავრდებულის მიმართ რა სახის ზემოქმედების გამოყენება შეიძლება?*

ა. სამოქალაქო სამართლებრივი.
ბ. ადმინისტრაციული.
გ. დისციპლინური.
დ. ეკონომიკური.

38. *ვის აქვს უფლება წაახალისოს ან დასაჯოს, დისციპლინური წესით, მსჯავრდებული?*

ა. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს.
ბ. იუსტიციის მინისტრის იმ მოადგილეს, რომელიც კურირებს სასჯელაღსრულების სფეროს.
გ. დაწესებულების ადმინისტრაციას, სადაც განთავსებულია მსჯავრდებული.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში კანონთა დაცვაზე ზედამხედველობის პროკურორს.

39. *სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულის მიღებისას, რა აუცილებელი წესები უნდა დაიცვას ადმინისტრაციამ?*

ა. ჩამოართვას ხელწერილი, რომ დაემორჩილება შრომაგასწორების დაწესებულების შინაგანაწესს.
ბ. ჩამოერთვას გაფრთხილების ხელწერილი, რომ არ შეეცდება გაქცევას.
გ. მოახდინოს მსჯავრდებულის ფოტოგრაფირება და დაქტილოსკოპირება.
დ. ჩააცვას სპეცტანსაცმელი და გადაპარსოს თავი.

40. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, მსჯავრდებული ონისიმე პაჭკორია, კარგი ყოფაქცევისა და სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის, მკაცრი რეჟიმის საკნის ტიპის სადგომიდან, გადაყვანილი იქნა ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში.
*კანონიერია, თუ არა დაწესებულების დირექტორის მოქმედება?*

ა. უკანონოა, რადგანაც მკაცრი რეჟიმის საკნის ტიპის სადგომიდან, ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა, ხდება მოსამართლის ბრძანებით, დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგინების საფუძველზე.
ბ. უკანონოა, რადგან აუცილებელი იყო ზედამხედველი პროკურორის თანხმობა.
გ. უკანონოა, რადგან ასეთი საკითხის გადაწყვეტა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პრეროგატივაა.
დ. კანონიერია, რადგან სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი უფლებამოსილია, თვითონ გადაწყვიტოს, წახალისების წესით, მსჯავრდებულის მკაცრი რეჟიმის საკნის ტიპის სადგომიდან, ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში გადაყვანა.

41. *რა წესით აღსრულდება სასამართლოს განაჩენი, რომლითაც მსჯავრდებულს მისჯილი აქვს ტუსაღობა?*

ა. ტუსაღობა აღსრულდება სასამართლოს განაჩენით, საპყრობილეში საამისოდ გამოყოფილ განყოფილებაში.
ბ. ტუსაღობა აღსრულდება მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში.
გ. აღსრულდება სპეციალურად ტუსაღებისათვის განკუთვნილ საკანში.
დ. აღსრულდება საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

42. *თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებული, სასჯელის მოსახდელად იგზავნება, კანონიერი ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის ასლის საპყრობილის ადმინისტრაციის მიერ მიღებიდან, არა უგვიანეს:*

ა. 7 დღეში.
ბ. 14 დღეში.
გ. 20 დღეში.
დ. 10 დღეში.

43. *რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება მსჯავრდებულის გადაყვანა იმავე რეჟიმის სხვა დაწესებულებაში, როდესაც მსჯავრდებულის ყოფნა მოცემულ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში, შეუძლებელია განსაკუთრებულ გარემოებათა გამო.*

ა. საქართველოს იუსტიციის მინისტრიეს ბრძანებით.
გ. დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.
დ. პროკურორის ბრძანებით.
დ. სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.

44. 2000 წლის 17 დეკემბერს, თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენით, ვეფხია ლომიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის II ნაწილით და სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით, სასჯელის მკაცრის რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით. სასჯელის შემდგომი მოხდის მიზნით, მსჯავრდებული ვ.ლომიძე, თბილისის №5 საპყრობილიდან გადაყვანილი იქნა ქ.რუსთავის №2 მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.
*ვინ უნდა აცნობოს განაჩენის გამომტან სასამართლოს და მსჯავრდებულის ოჯახს, მსჯავრდებულის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოთავსების შესახებ?*

ა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარემ.
ბ. შ.ს პოლიციის სამმართველოს უფროსმა, საცხოვრებელის ადგილის მიხედვით.
გ. №5 საპყრობილის ადმინისტრაციამ.
დ. რუსთავის №2 დაწესებულების ადმინისტრაციამ.

45. მსჯავრდებული ემზარ გოგოლაძე, სასამართლოს განჩინებით, მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან, გადაყვანილი იქნა საპყრობილის რეჟიმზე, 1 წლის ვადით. საპყრობილეში შესახლებისას, ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ შემოწმებული იქნა ვ.გოგოლაძის ნივთები და თვით მსჯავრდებულს ჩაუტარდა პირადი დათვალიერება. აღნიშნულზე ე.გოგოლაძემ, პროტესტის ნიშნად, შიმშილობა გამოაცხადა.
*კანონიერია თუ არა საპყრობილის ადმინისტრაციის მოქმედება?*

ა. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულ ე.გოგოლაძის ნივთებისა და მისი პირადი დათვალიერება, უნდა მომხდარიყო საპყრობილის დირექტორის ბრძანებით.
ბ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულ ე.გოგოლაძის ნივთებისა და მისი პირადი დათვალიერება, უნდა მომხდარიყო პროკურორის ნებართვით.
გ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულ ე.გოგოლაძის ნივთებისა და მისი პირადი დათვალიერება, უნდა მომხდარიყო მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობით.
დ. კანონიერია, რადგან საპყრობილის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, მოახდინოს იმ პირთა ნივთებისა და ტანსაცმლის გასინჯვა, რომლებიც შედიან საპყრობილეში.

46. *სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, უშიშროების ღონისძიებებისა და შინაგანაწესის დაცვისათვის, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა?*

ა. ამ დაწესებულების დირექტორს.
ბ. ამ დაწესებულების დაცვის სამსახურის უფროსს.
გ. ამ დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის უფროსს.
დ. ამ დაწესებულების სარეჟიმო სამსახურის უფროსს.

47. მსჯავრდებულმა ბორჯაძემ დაარღვია სასჯელაღსრულების შინაგანაწესი. მისი ქმედება არ შეიცავდა დანაშაულის ნიშნებს. ამ დარღვევისათვის, დაწესებულების დირექტორის ბრძანებით, მას მიეცა გაფრთხილება. ორი კვირის შემდეგ დირექტორი დაარწმუნეს, რომ მსჯავრდებული იმსახურებდა უფრო მკაცრ დისციპლინურ სასჯელს. აღნიშნულის საფუძველზე, მან გამოსცა მეორე ბრძანება და ჩადენილი დარღვევისათვის მსჯავრებული მოათავსა კარცერში, 15 დღით.
*კანონიერია თუ არა დაწესებულების დირექტორის ბრძანება მსჯავრდებულის კარცერში მოთავსების შესახებ?*

ა. დაწესებულების დირექტორის ბრძანება უკანონოა, რადგანაც მსჯავრდებულის კარცერში მოთავსებაზე, აუცილებელი იყო ზედამხედველი პროკურორის თანხმობა.
ბ. დაწესებულების დირექტორის ბრძანება კანონიერია, რადგანაც იგი, აღწერილ ვითარებაში, მოქმედებდა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.
გ. დაწესებულების დირექტორის ბრძანება უკანონოა, რადგანაც დაუშვებელია, ერთი და იმავე დისციპლინური გადაცდომისათვის, რამდენიმე დისციპლინური სასჯელის დაკისრება.
დ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულისათვის, ერთი და იმავე დარღვევისათვის, უფრო მკაცრი დისციპლინური სასჯელის დაკისრების უფლება აქვს, მხოლოდ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, დაწესებულების დირექტორის წარდგინების საფუძველზე.

48. *ჩაითვლება თუ არა მსჯავრდებულისათვის დადებული დისციპლინური სასჯელის ვადაზე ადრე მოხსნა წახალისებად?*

იხ. მე-6 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

საქართველოს რესპუბლიკა

№ 237, შაბათი, 28 სექტემბერი, 2002 წელი.

# სასჯელაღსრულებითი სამართალი

(მეხუთე გვერდიდან)

ა. ჩაითვლება.
ბ. წახალისების ასეთ სახეს კანონი არ ითვალისწინებს.
გ. დისციპლინური სასჯელის ვადაზე ადრე მოხსნა კანონით დასაშვებია, მაგრამ ის არ ითვლება წახალისების ღონისძიებად.
დ. კანონით საერთოდ დაუშვებელია მსჯავრდებულის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სასჯელის ვადაზე ადრე მოხსნა.

49. *რომელი ნორმატიული აქტით რეგულირდება მსჯავრდებულის ყოფნა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში?*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.
გ. ზედამხედველი პროკურორის ბრძანებით.
დ. დაწესებულების შინაგანაწესით.

50. *რომელი ნორმატიული აქტით განისაზღვრება, იმ ნივთებისა და საგნების ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება ჰქონდეს მსჯავრდებულს, დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პერიოდში?*

ა. პროკურორის დადგენილებით.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.
გ. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულების დებულებით.

51. *სასჯელაღსრულების დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილი მსჯავრდებულის მოსათავსებლად რა დოკუმენტია საჭირო?*

ა. პროკურორის წარდგინება.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომრის ბრძანება.
გ. სახალხო დამცველის შუამდგომლობა.
დ. სასამართლოს განაჩენი და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

52. *სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს, შეუძლია თუ არა სასამართლოს წარუდგინოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მასალები და რა შემთხვევაში?*

ა. სასჯელაღსრულების საწესებულების დირექტორს აქვს უფლება, სასჯელაღსრულების დაწესებულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს წარუდგინოს, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით გათავისუფლების მასალები, თუ მსჯავრდებულს, სასჯელის მოხდის პერიოდში, დადებული არ ჰქონია დისციპლინური სასჯელი.
ბ. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს, არა აქვს უფლება სასამართლოს წარუდგინოს, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მასალები.
გ. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს აქვს უფლება, იუსტიციის მინისტრს წარუდგინოს, მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მასალები, თუ მსჯავრდებული, სასჯელის მოხდის პერიოდში, კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს შეუძლია, სასამართლოს წარუდგინოს მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების მასალები, თუ მსჯავრდებული, სასჯელის მოხდის პერიოდში, კეთილსინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას.

53. *მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლების მასალების წარდგენისას, რა მიიღება მხედველობაში?*

ა. მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას მასალების წარდგენისას, მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის ასაკი, ოჯახური მდგომარეობა და ჯანმრთელობის მდგომარეობა, სახელმწიფო ჯილდოები.
ბ. მსჯავრდებულის პირობით ვადამდე განთავისუფლებისას მასალების წარდგენისას, მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის პიროვნება, ოჯახური მდგომარეობა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მოხდილი სასჯელი და სხვა გარემოებანი, რომლებიც დადებითად ახასიათებენ მსჯავრდებულს.
გ. მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, მხედველობაში მიიღება დაზარალებულისათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საკითხი.
დ. მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, მხედველობაში მიიღება მსჯავრდებულის წარსული, ადრე ნასამართლეობა და დანაშაულის აღიარების ფაქტი.

54. *სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შეიძლება თუ არა დედისა და მისი სამ წლამდე ასაკის ბავშვის ერთად ცხოვრება?*

ა. დედისა და სამ წლამდე ასაკის ბავშვისათვის ერთად ცხოვრების პირობების შექმნა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დედის შუამდგომლობა, მზრუნველობის ორგანოების ნებართვა და ადმინისტრაციის გადაწყვეტილება.
ბ. არ შეიძლება, რადგანაც ამას კანონი არ ითვალისწინებს.
გ. შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იუსტიციის მინისტრის ნებართვა.
დ. შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ბავშვის მამის თანხმობა.

55. *დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე მსჯავრდებულის წარდგენა, ითვლება თუ არა წახალისების ღონისძიებად?*

ა. ითვლება წახალისების ღონისძიებად.
ბ. არ ითვლება წახალისების ღონისძიებად, რადგანაც სასჯელაღსრულების ადმინისტრაცია ვალდებულია, წარადგინოს მსჯავრდებული დარჩენილი სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლებაზე, სასჯელის გარკვეული ნაწილის მოხდის შემდეგ, თუკი მსჯავრდებულს არ ჰქონია დადებული დისციპლინური სასჯელი.
გ. ასეთი ღონისძიების გამოყენება დასაშვებია სათანადო საფუძვლის არსებობისას, მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ.
დ. საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ღონისძიებას საერთოდ არ ითვალისწინებს.

56. *მსჯავრდებული, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაიგზავნება პატიმრობის შესახებ კანონის შესაბამისად, სად აღირიცხება და ვინ განსაზღვრავს წარმოების წესს?*

ა. მსჯავრდებული აღირიცხება ზონარგაყრილ ჟურნალში, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
ბ. მსჯავრდებული აღირიცხება დაწესებულების ბუღალტერიაში, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი.
გ. მსჯავრდებული აღირიცხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის პირველი მოადგილე.
დ. მსჯავრდებული აღირიცხება დაწესებულების რეესტრში, რომლის წარმოების წესს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

57. *ამნისტიით ან შეწყალებით განთავისუფლებული მსჯავრდებული, როდის თავისუფლდება და რა ბარდება მას?*

ა. ამნისტიით ან შეწყალებით განთავისუფლებულ მსჯავრდებულს, ათავისუფლებენ სასჯელის მოხდის დამთავრების წინა დღის პირველ ნახევარში და აძლევენ ცნობას განთავისუფლების შესახებ.
ბ. ამნისტიით ან შეწყალებით განთავისუფლებულ მსჯავრდებულს, ანთავისუფლებენ სასჯელის მოხდის დამთავრების წინა დღის მეორე ნახევარში და აძლევენ გზის ფულს.
გ. ამნისტიით ან შეწყალებით განთავისუფლებულ მსჯავრდებულს, ანთავისუფლებენ სასჯელის მოხდის დამთავრების მეორე დღეს და აძლევენ ფულად დანაზოგს.
დ. ამნისტიით ან შეწყალებით განთავისუფლებული მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან თავისუფლდება სასჯელის მოხდის წინა 24 საათში და აძლევენ პასპორტს.

58. *გადაეცემა თუ არა მსჯავრდებულს დეპოზიტზე დაგროვილი თანხა?*

ა. მსჯავრდებულს დეპოზიტზე დაგროვილი თანხა ნაწილობრივ გადაეცემა.
ბ. მსჯავრდებულს დეპოზიტზე დაგროვილი თანხა განთავისუფლებისას არ გადაეცემა.
გ. მსჯავრდებულს დეპოზიტზე დაგროვილი თანხა გადაეცემა განთავისუფლებისას, თუ თანხა უმუშევრობისათვის დაწესებულ შემწეობაზე ნაკლებია. განთავიფულებისას მსჯავრდებულს ეძლევა ერთდროული დახმარება, მაგრამ არა უმეტეს ამ შემწეობისა.
დ. მსჯავრდებულს დეპოზიტზე დაგროვილი თანხა გადაეცემა, მხოლოდ მსჯავრდებულის მოთხოვნის შემთხვევაში.

59. *ვის უნდა მიმართოს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა, მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულის გასანთავისუფლებლად?*

ა. მძიმე ან განუკურნებელი სენით დაავადებული მსჯავრდებულის გასანთავისუფლებლად, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი მიმართავს სასამართლოს, საექიმო დასკვნის საფუძველზე.
ბ. დირექტორი მიმართავს საქართველოს უზენაეს სასამართლოს, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე.
გ. დირექტორი მიმართავს საქართველოს იუსტიციის მინისტრს.
დ. დირექტორი, მკურნალი ექიმის ცნობის საფუძველზე, მიმართავს საოლქო სასამართლოს.

60. *რომელი თანამდებობის პირები ახორციელებენ კონტროლსა და ზედამხედველობას მსჯავრდებულის პირადი საქმის შევსებაზე?*

ა. მხოლოდ დაწესებულების დირექტორი.
ბ. მხოლოდ პროკურორი.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
დ. დაწესებულების დირექტორი და პროკურორი.

61. *ქვემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებებიდან, რომელი არ შედის იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში?*

ა. საპყრობილე.
ბ. საერთო რეჟიმის დაწესებულება.
გ. მკაცრი რეჟიმის დაწესებულება.
დ. წინასწარი დაკავების იზოლატორი.

62. *რა შემთხვევაშია სავალდებულო, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოეწყოს სტაციონარული სამკურნალო პუნქტი, სადღეღამისო სამედიცინო დახმარების გასაწევად?*

ა. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში არანაკლებ სამასი მსჯავრდებული იმყოფება.
ბ. ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, მიუხედავად იმისა თუ რამდენი მსჯავრდებული იმყოფება.
გ. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულებაში არანაკლებ ასი მსჯავრდებული იმყოფება.
დ. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება წარმოადგენს მსჯავრდებულთათვის განკუთვნილ სამკურნალო დაწესებულებას.

63. *რა ვადებში მოწმდება მსჯავრდებულის მდგომარეობა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში?*

ა. თვეში ერთხელ, სავალდებულო წესით.
ბ. სამ თვეში ერთხელ, თუ ამას თავად მსჯავრდებული ითხოვს.
გ. 6 თვეში ერთხელ — მსჯავრდებულის მოთხოვნით.
დ. მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა მოწმდება წელიწადში ერთხელ მაინც.

64. *გადის თუ არა მსჯავრდებული სამედიცინო შემოწმებას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მიყვანისთანავე?*

ა. არ გადის, რადგან მსჯავრდებულის სამედიცინო მდგომარეობა მოწმდება, მისი ეჭვმიტანილად და ბრალდებულად ყოფნის სტადიაზე.
ბ. გადის მხოლოდ გადამდებ და ინფექციურ დაავადებებზე.
გ. სასჯელარსრულების დაწესებულებაში მისვლისთანავე, მსჯავრდებული გადის სამედიცინო შემოწმებას.
დ. არ გადის, რადგან მსჯავრდებულის სამედიცინო შემოწმება ტარდება საპყრობილეებში, მისი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადაყვანამდე.

65. საპყრობილის დირექტორის მიერ, 2002 წლის 20 მაისს, გამოცემული იქნა ბრძანება იმის შესახებ, რომ საპყრობილეში მოთავსებული პატიმარი, საპყრობილის რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, გადაყვანილი ყოფილიყო კარცერში, კანონით განსაზღვრულ ვადამდე. პატიმრის გადაყვანა კარცერში დაუყოვნებლივ ვერ მოხერხდა და ის გადაყვანილი იქნა ბრძანების გამოცემიდან 1 თვისა და 5 დღის შემდეგ.
*კანონიერია თუ არა პატიმრის კარცერში გადაყვანა?*

ა. კანონიერია, რადგან ბრძანების აღსრულების ვადა კანონით არ არის განსაზღვრული.
ბ. უკანონოა, რადგან ბრძანების აღსრულება უნდა მომხდარიყო ერთი დღის ვადაში.
გ. უკანონოა, რადგან პატიმრის დისციპლინური სასჯელის აღსრულება დასაშვებია, მხოლოდ მისი დადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში.
დ. უკანონოა, რადგან ბრძანების აღსრულება უნდა მომხდარიყო, სასჯელაღსრულების დეპარტამენტში პატიმრის საჩივრის განხილვის შემდეგ.

66. *საქართველოს ტერიტორიაზე ვინ ქმნის და აუქმებს სასჯელაღსრულების დაწესებულებას?*

ა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
ბ. საქართველოს პრეზიდენტი.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, საქართველოს გენერალური პროკურორის თანხმობით.
დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრი, დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

67. საპყრობილეში მოთავსებული პატიმარი, საპყრობილის რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, საპყრობილის დირექტორის ბრძანებით, დასჯილი იქნა დისციპლინური წესით და იგი 20 დღის ვადით გადაყვანილ იქნა კარცერში.
*კანონიერია თუ არა საპყრობილის დირექტორის მოქმედება?*

ა. კანონიერია, რადგან კანონით, საპყრობილის დირექტორს მინიჭებული აქვს უფლება, საპყრობილის რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, პატიმარი კარცერში მოათავსოს ოც დღემდე.
ბ. უკანონოა, რადგან საპყრობილის დირექტორს, შუამდგომლობით უნდა მიემართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარისათვის, ხოლო ამ უკანასკნელს კი უნდა გამოეცა შესაბამისი განკარგულება.
გ. უკანონოა, რადგან საპყრობილის დირექტორს უფლება აქვს, მხოლოდ 10 დღემდე ვადით გადაიყვანოს პატიმარი კარცერში.
დ. უკანონოა, რადგნაც საპყრობილის დირექტორს, ასეთი სახის პირველადი დარღვევისათვის, პატიმრის მიმართ უნდა გამოეყენებინა უფრო მსუბუქი დისციპლინური სასჯელი.

68. *ვინ ახორციელებს ურთიერთმოქმედებას სხვა უფლებამოსილ ორგანოებთან იმ დანაშაულთა გამოვლენა-გახსნაში, რომლებიც მსჯავრდებულებმა ჩაიდინეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებამდე?*

ა. ასეთ ურთიერთქმებდებას ახორციელებენ შ.ს სამინისტროს ორგანოები.
ბ. სახელმწიფო უშიშროების სამსახური.
გ. ერთობლივად შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოები, იუსტიციის მინისტრის თანხმობით.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულების უსაფრთხოების სამსახური.

69. სასჯელაღსრულების ადმინისტრაციამ, მსჯავრდებულთა ყოფაქცევის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიღების მიზნით, დადგენილი წესით დაწესებულებაში გამოიყენა ტექნიკური კონტროლის საშუალებები. კონტროლის ამ საშუალებების გამოყენების თაობაზე, მსჯავრდებულები, ადმინისტრაციის მიერ წინასწარ არ ყოფილან გაფრთხილებულნი.
*კანონიერია თუ არა ადმინისტრაციის მოქმედება?*

ა. უკანონოა, რადგან ასეთი საშუალებების გამოყენების თაობაზე, ადმინისტრაცია ვალდებულია გააფრთხილოს მსჯავრდებული.
ბ. კანონიერია, რადგან ადმინისტრაცია არ არის ვალდებული გააფრთხილოს მსჯავრდებულები, ამ საშუალების გამოყენების თაობაზე.
გ. უკანონოა, რადგან ასეთი ღონისძიების გატარებაზე, აუცილებელია ზემდგომი ორგანოს — სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანხმობა.
დ. უკანონოა, რადგან ასეთი ღონისძიების გატარების შესახებ, აუცილებელია ზედამხედველი პროკურორის თანხმობა.

70. *ვინ ნიშნავს ან ათავისუფლებს თანამდებობიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს?*

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. სახელმწიფო მინისტრი.
გ. პარლამენტის თავმჯდომარე.
დ. იუსტიციის მინისტრი.

71. *ვინ ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს?*

ა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
ბ. სახელმწიფო მინისტრი.
გ. შინაგან საქმეთა მინისტრი.
დ. იუსტიციის მინისტრი.

72. *ვის შეაქვს წარდგინება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ სასამართლოში და რა უნდა ახლდეს წარდგინებას?*

ა. წარდგინება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, სასამართლოში შეაქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, წარდგინებას უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.
ბ. წარდგინება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისას, სასამართლოში შეაქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, რასაც თან უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.
გ. წარდგინება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, სასამართლოში შეაქვს სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორს. წარდგინებას უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.
დ. წარდგინება მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების შესახებ, სასამართლოში შეაქვს პროკურორს და წარდგინებას უნდა ახლდეს მსჯავრდებულის პირადი საქმე.

73. *ვინ ახორციელებს ზედამხედველობას სასჯელის მოხდაზე?*

ა. იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.
ბ. პროკურატურა.
გ. ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციები.
დ. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო დეპარტამენტი, დაქვემდებარებული ტერიტორიული სააღსრულებო ბიუროების მეშვეობით.

74. *ვინ ხელმძღვანელობს სასჯელაღსრულების დაწესებულებას?*

ა. უფროსი.
ბ. დირექტორი.
გ. გამგე.
დ. თავმჯდომარე.

75. *ვინ ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მოსამსახურეებს?*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით, სახელმწიფო მინისტრი.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
დ. იუსტიციის მინისტრი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

76. *ვინ ამტკიცებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულებას და ხარჯთაღრიცხვას?*

ა. საქართველოს პრეზიდენტი.
ბ. საქართველოს პარლამენტი.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.
დ. იუსტიციის მინისტრი.

77. *ვინ ამტკიცებს სასჯელაღსრულების დაწესებულების დებულებასა და შინაგანაწესს?*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორი.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
გ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით.
დ. იუსტიციის მინისტრი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

78. *ვის წინაშეა ანგარიშვალდებული სასჯელაღსრულების დეპარტამენტი?*

ა. საქართველოს პარლამენტის.
ბ. სახელმწიფო კანცელარიის.
გ. საქართველოს პრეზიდენტის.
დ. საქართველოს იუსტიციის მინისტრის.

79. *ვინ ამტკიცებს სასჯელაღსრულების ორგანოს მოსამსახურეების საშტატო ნუსხას?*

ა. სახელმწიფო მინისტრი.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის წარდგინებით.
გ. სახელმწიფო კანცელარია.
დ. იუსტიციის მინისტრი.

80. *ქვემოთჩამოთვლილი რომელი ორგანოს, კანონით გათვალისწინებული სოციალური დაცვის გარანტიები ვრცელდება, სასჯელაღსრულების ორგანოს მოსამსახურეებზე?*

ა. კანონით „პოლიციის შესახებ".
ბ. კანონით „იუსტიციის სამინისტროს შესახებ".
გ. კანონით „თავდაცვის სამინისტროს შესახებ".
დ. კანონით „უშიშროების სამინისტროს შესახებ.

81. *რამდენი დღით განისაზღვრება სასჯელაღსრულების ორგანოს მოსამსახურის ყოველწლიური ძირითადი შვებულება?*

ა. 25 კალენდარული დღით.
ბ. 35 კალენდარული დღით.
გ. 40 კალენდარული დღით.
დ. 30 კალენდარული დღით.

82. *მსჯავრდებულის ოჯახის წევრებთან და ნათესავებთან შეხვედრის რომელი სახეობა არ არის რეგლამენტირებული (დაშვებული) „პატიმრობის შესახებ" კანონით.*

ა. ხანგრძლივი შეხვედრა დაწესებულების ტერიტორიაზე.
ბ. ხანმოკლე შეხვედრა დაწესებულების ტერიტორიაზე.
გ. ხანმოკლე შვებულება.
დ. დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა.

83. *რა ვადით შეიძლება მსჯავრდებულს მიეცეს ნათესავებთან ან ოჯახის წევრებთან ხანგრძლივი შეხვედრის უფლება?*

ა. სამ დღემდე.
ბ. ხუთ დღემდე.
გ. ექვს დღემდე.
დ. შვიდ დღემდე.

84. *რა შემთხვევაში არ შეიძლება მიეცეს მსჯავრდებულს ხანგრძლივი შეხვედრის უფლება?*

ა. თუ ის სასჯელს იხდის საერთო რეჟიმის დაწესებულებაში.
ბ. თუ ის სასჯელს იხდის საპყრობილეში.
გ. თუ ის იმყოფება საკარანტინო რეჟიმში.
დ. თუ ის სასჯელს იხდის მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში.

85. *ვინ ამტკიცებს იმ მძიმე და განუკურნებელ დაავადებათა ჩამონათვალს, რომელიც წარმოადგენს სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების საფუძველს?*

ა. ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.
ბ. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი.
გ. საქართველოს პრეზიდენტი.
დ. იუსტიციის მინისტრი.

86. *ქვემოთჩამოთვლილი ორგანოებიდან რომელია სასჯელაღსრულების ორგანო?*

ა. შინაგან საქმეთა სამინისტრო.
ბ. უშიშროების სამინისტრო.
გ. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური.
დ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, სასჯელაღსრულების დაწესებულებები.

87. მსჯავრდებულმა როგავამ, რომელიც სასჯელს იხდიდა საერთო რეჟიმის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ლითონის დასამუშავებელ საამქროში მუშაობის დროს მიიღო ტრავმა, რის შედეგადაც იგი გახდა შრომისუუნარო. აღნიშნულის გამო იუსტიციის სამინისტრომ მას დაუნიშნა პენსია და აუნაზღაურა მიღებული ზიანი.
*კანონიერია თუ არა იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილება?*

ა. კანონიერია, ვინაიდან მსჯავრდებულთა შრომითი საქმიანობა ხორციელდება, შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ბ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულს, რომელმაც სასჯელის მოხდის დროს, საწარმო საქმიანობასთან დაკავშირებით, დაკარგა შრომისუნარიანობა, მხოლოდ სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შემდეგ აქვს უფლება, მოითხოვოს პენსია და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
გ. კანონიერია, რადგან დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია, მსჯავრდებულს შეუქმნას სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო შრომის პირობები.
დ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულის მიერ, საწარმო საქმიანობასთან დაკავშირებით, შრომის, უნარიანობის დაკარგვის შემთხვევაში, მისთვის პენსიის დანიშვნის და ზარალის ანაზღაურების საკითხს, წყვეტს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შესაბამისი სამსახური.

88. *რას უნდა შეესაბამებოდეს პატიმრობის შესახებ კანონმდებლობა?*

ა. სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.
ბ. „პროკურატურის შესახებ" ორგანულ კანონს.
გ. საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს და ნორმებს.
დ. ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.

89. *მოვალეა თუ არა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია, მსჯავრდებულებს, რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, შეუქმნას პირობები?*

ა. არ არის მოვალე, რადგან აღნიშნულს კანონი არ ითვალისწინებს.
ბ. მოვალეა, რადგან ადმინისტრაციას ასეთი მოვალეობა კანონმდებლობით აქვს დაკისრებული.
გ. ადმინისტრაციას აქვს მსჯავრდებულის რელიგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილების უფლება და არა მოვალეობა.
დ. მსჯავრდებულებმა, რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი პირობები, თვითონვე უნდა შექმნან საკუთარი სახსრებით.

90. *არასრულწლოვანი მსჯავრდებული, სასჯელის მოსახდელად, მოთავსებს არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში. სასჯელის მოხდის პერიოდში, მას თვეში სამჯერ და ზოგჯერ მეტადაც, შეუზღუდავად ჰქონდა ხანმოკლე პაემანი თავის მშობლებთან.*
*ჰქონდა თუ არა მას კანონით, შეუზღუდავი ხანმოკლე პაემანის უფლება?*

ა. არ ჰქონდა, რადგან კანონით, არასრულწლოვან მსჯავრდებულს მხოლოდ თვეში ერთხელ აქვს ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლება.
ბ. არ ჰქონდა, რადგან არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ხანმოკლე პაემნის რაოდენობა და პერიოდულობა, განისაზღვრება აღმზრდელობითი დაწესებულების შინაგანაწესით, რომელიც არ ითვალისწინებს ხანმოკლე პაემნის შეუზღუდაობას.
გ. ჰქონდა, რადგანაც ხანმოკლე პაემნის შეუზღუდაობა დადგენილია კანონით.
დ. არ ჰქონდა, რადგან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ხანმოკლე პაემნის უფლებას იძლევა დაწესებულების დირექტორი.

91. *ვინ ამტკიცებს ტუსაღობის აღსრულების წესს?*

ა. სასჯელაღსრულების დეპატრამენტის თავმჯდომარე, მოადგილის წარდგინებით.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე.
გ. ტუსაღობის აღსრულების წესს ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი.
დ. კურატორი მოადგილე, დეპარტამენტის თავმჯდომარის წარდგინებით.

92. საპყრობილის დირექტორის ბრძანებით, მსჯავრდებული თოფურია, უსაფრთხოების მიზნით, პროკურორის ნებართვის გარეშე, მოთავსებულ იქნა სამარტოო საკანში.
*კანონიერია თუ არა საპყრობილის დირექტორის ბრძანება თოფურიას სამარტოო საკანში მოთავსების შესახებ?*

ა. კანონიერია, ვიანიდან თოფურია სამარტოო საკანში მოთავსებული იქნა მისივე უსაფრთხოების მიზნით, რა დროსაც პროკურორის თანხმობა საჭირო არ არის.
ბ. საპყრობილის დირექტორის ბრძანება, მსჯავრდებულ თოფურიას, უსაფრთხოების მიზნით, სამარტოო საკანში მოთავსების შესახებ არაკანონიერია, რადგან ასეთი ბრძანების გამოცემის უფლება დირექტორს აქვს, მხოლოდ პროკურორის თანხმობით.
გ. კანონიერია, რადგან მას ჰქონდა უფლება, თოფურიას სამარტოო საკანში მოთავსების საკითხი გადაეწყვიტა ერთპიროვნულად.
დ. უკანონოა, რადგან მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსების უფლება, ბრძანებით მინიჭებული აქვს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ან მის მოადგილეს.

93. უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს, საპყრობილის დირექტორმა, რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, დისციპლინური სასჯელის სახით, განუსაზღვრა 30 დღით კარცერში მოთავსება.
*კანონიერია თუ არა დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება?*

ა. არ არის კანონიერი, ვინაიდან რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, მსჯავრდებულს შეიძლება განესაზღვროს, სამიდან ოც დღემდე კარცერში მოთავსება.
ბ. კანონიერია, ვინაიდან რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, მსჯავრდებულს შეიძლება განესაზღვროს 30 დღით კარცერში მოთავსება.
გ. გადაწყვეტილება არაკანონიერია, ვინაიდან რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, მსჯავრდებულს არ შეიძლება განესაზღვროს კარცერში მოთავსება.
დ. გადაწყვეტილება უკანონოა, ვინაიდან რეჟიმისა და შინაგანაწესის დარღვევისათვის, მსჯავრდებულს შეიძლება შეეფარდოს სამიდან ათ დღემდე კარცერში მოთავსება.

94. მსჯავრდებულ ლომიძეს, განზრახ მკვლელობისათვის, სასამართლოს განაჩენით, მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა, საპყრობილის მკაცრ რეჟიმში მოხდით. საპყრობილის დირექტორმა ხუბაშვილმა, კარგი ყოფაქცევისა და შრომისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებისათვის, თავისი ბრძანებით, მსჯავრდებული ლომიძე გადაიყვანა საპყრობილის საერთო რეჟიმზე. აღნიშნული ბრძანება, როგორც უკანონო გაუქმებულ იქნა პროკურორის მიერ.
*კანონიერია თუ არა პროკურორის მოქმედება?*

ა. ბრძანება უკანონოა, ვინაიდან მკაცრი რეჟიმის შეცვლა საერთო რეჟიმით, უნდა მომხდარიყო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის განკარგულებით, საპყრობილის დირექტორის შუამდგომლობით.
ბ. ბრძანება კანონიერია, ვინაიდან საპყრობილის დირექტორს უფლება აქვს, მსჯავრდებულს მკაცრი რეჟიმი, შეუცვალოს საერთო რეჟიმით.
გ. პროკურორის მოქმედება კანონიერია, რადგან საპყრობილის დირექტორს არ ჰქონდა უფლება, თავისი ბრძანებით შეეცვალა რეჟიმი მსჯავრდებულ ლომიძისათვის. საპყრობილის რეჟიმის სახეობის დანიშვნა ან მისი შეცვლა, ხდება სასამართლოს მიერ, სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობით.
დ. ბრძანება უკანონოა, ვინაიდან მკაცრი რეჟიმის შეცვლა საერთო რეჟიმით, უნდა მომხდარიყო იუსტიციის მინისტრის განკარგულებით, სასჯელაღსრულების დირექტორის შუამდგომლობით.

95. მსჯავრდებული, სასჯელის მოსახდელად, განთავსებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულების საცხოვრებელ სადგომში, რომლის ფართობი აკმაყოფილებდა დაწესებულ ნორმატივს. ამ საცხოვრებელ სადგომს ჰქონდა ხელოვნური განათება, გაყვანილი იყო წყალი და შექმნილი იყო ყველა აუცილებელი პირობა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სადგომს არ ჰქონდა მხოლოდ ფანჯარა.
*კანონით გათვალისწინებული რა აუცილებელი პირობა არა აქვს საცხოვრებელ სადგომს?*

ა. აუცილებელია სადგომში იყოს გაზქურა, საჭმლის მოსამზადებლად.
ბ. აუცილებელია სადგომში იყოს აბანო.
გ. აუცილებელია სადგომს ჰქონდეს ფანჯარა.
დ. აუცილებელია სადგომში იყოს ელექტრო გამაცხელებელი, საჭმლის მოსამზადებლად.

96. *სად ამყოფებენ უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს?*

ა. უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ამყოფებენ სადღეღამისო დაკავების საკანში, სადაც შესაძლებელია მუდმივი ვიზუალური კონტროლი.
ბ. უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ამყოფებენ საერთო საკნებში, სადაც შესაძლებელია ვიზუალური კონტროლი.
გ. უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ამყოფებენ სპეციალურ იზოლირებულ საკნებში, სადაც ხდება ელექტრონული კონტროლი.
დ. უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულს ამყოფებენ საკნებში, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით, ელექტრო და ვიზუალური კონტროლის გარეშე.

97. *რამდენი საათის განმავლობაში შეიძლება გაგრძელდეს მსჯავრდებულის ხანმოკლე შეხვედრა ოჯახის წევრებთან და სხვა პირებთან?*

ა. ხუთი საათის განმავლობაში.
ბ. ორი საათის განმავლობაში.
გ. სამი საათის განმავლობაში.
დ. ათი საათის განმავლობაში.

98. *რომელი სახის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს არა აქვს დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება?*

ა. საპყრობილის.
ბ. საერთო რეჟიმის დაწესებულების.
გ. არასრულწლოვანთა აღმზრდელობითი დაწესებულების.
დ. მკაცრი რეჟიმის დაწესებულების.

99. *ვინ იხდის მსჯავრდებულის სასჯელაღსრულების დაწესებულების გარეთ, მსჯავრდებულის ხანმოკლე გასვლის ხარჯებს?*

ა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.
ბ. იუსტიციის სამინისტრო.
გ. მსჯავრდებული ან მისი ოჯახის წევრები.
დ. სასჯელაღსრულების დაწესებულება.

100. *ვინ ანაზღაურებს მსჯავრდებულის მიმოწერის და სატელეფონო საუბრების ხარჯებს?*

ა. სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაცია.
ბ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი.
გ. მსჯავრდებული.
დ. იუსტიციის სამინისტრო.

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

№ 237, შაბათი, 28 სექტემბერი, 2002 წელი.

## სამართალს ჩვენთან ეძებენ

# როცა გადაწყვეტილება არადამაჯერებელია

„ისარგებლა რა ჩემი სამსახურში არყოფნით, კოოპერატივის თავმჯდომარემ იმ დროს, როცა ბიულეტენზე ვიმყოფებოდი, კანონის უხეში დარღვევით გამათავისუფლა სამსახურიდან"... „ჩემი დათხოვნა მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მომხდარიყო, თუმცა იმ პერიოდში მის წევრებად ჩვენ ორნი — მე და ის (ნათელა მიქელაძე) ვითვლებოდით. აქედან გამომდინარე, მას ამ საკითხის დასმაც კი არ შეეძლო". „უფრო მეტიც, ჩემი თავიდან მოშორების მიზნით ის სიყალბის ჩადენასაც არ მოერიდა და ყალბად შედგენილი ოქმის საფუძველზე მიზანსაც მიაღწია (ოქმზე ხელი მოაწერეს ყოფილმა მთავარმა ბუღალტერმა ვ. ქობულაძემ, რომელსაც იმ დროისათვის კოოპერატივთან არავითარი შეხება არ ჰქონდა, და ორმა მუშამ, რომლებიც იქ შრომითი ხელშეკრულებით მუშაობდნენ)".

ამ ცალკეული ფრაგმენტების ავტორი ქუთაისელი ზურაბ მხეიძე გახლავთ, რომელიც აგერ უკვე 8 წელიწადია უშედეგოდ ცდილობს სასამართლოში თავისი სიმართლის დამტკიცებას, რისთვისაც ამ ხნის მანძილზე, სამწუხაროდ, ვერა და ვერ მიუღწევია.

— რადაც უნდა დამიჯდეს, სიმართლე უნდა დავამტკიცო, რადგან ჩემს წინაშე არა მარტო მოპასუხე მიქელაძე, არამედ მთელი სასამართლოც არაკანონიერად მოიქცა, — ამბობს იგი.

მკითხველის საქმის ვითარებაში უკეთ გარკვევის მიზნით ჯობს მოვლენებს თანამიმდევრულად გავეცნოთ. 1989 წლის აგვისტოში ზ. მხეიძე ქუთაისში დაფუძნებულ სახალხო მოხმარების წარმოებისა და მომსახურების კოოპერატივ „შრომაში" გაწევრიანდა, სადაც მან პაის სახით, თავის წილად, იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდური თანხა — 15 ათასი მანეთი შეიტანა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ოფიციალურად მისი გარკვეული წილის მეპატრონეც გახდა. კოოპერატივის წესდებით კი თავიდანვე გათვალისწინებული იყო როგორც მის წევრთა გათავისუფლების, ისე ასეთ შემთხვევაში მათგან ანგარიშსწორების ვადები, რომელიც, რატომღაც შეგნებულად უხეშად დაირღვა ზურაბ მხეიძის გათავისუფლების დროს.

კოოპერატივი ერთ-ერთ მოწინავედ ითვლებოდა ქალაქში და მის წევრებს შორის რაიმე გაუგებრობაც არ ყოფილა. მაგრამ 1993 წლიდან, როცა ქვეყანაში განუკითხაობამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, მდგომარეობა უფროსსა და ხელქვეითს შორის უკიდურესად დაიძაბა. ამის ძირითადი მიზეზი კი „ხელის ჭუჭყი" გახდა, რომლისადმი დაუოკებელი სიყვარულიც სწორედ იმ პერიოდში გამოამჟღავნა კოოპერატივის თავმჯდომარემ (იმ ხანებში ზ. მხეიძეს, ორგანიზაციის ნედლეულით მომარაგების მიზნით, თვეობით უწევდა ქვეყნის გარეთ ყოფნა და ნ. მიქელაძეც, ეტყობა, შესანიშნავად იყენებდა ამ მომენტს, უხეშად რომ ვთქვათ, აღებული შეკვეთების შეგნებულად შემცირების ხარჯზე ფულს „უტეხავდა" როგორც თავისსავე პარტნიორს, ისე ბიუჯეტსაც).

1994 წელს ზ. მხეიძემ ამ ფაქტის და საშუშაოდან მისი კანონის უხეში დარღვევით განთავისუფლების გამო სასამართლოს მიმართა.

იმ დროიდან მოყოლებული შარმანდლამდე ამ საქმეს სხვადასხვა დროს ქუთაისში 8 მოსამართლე არჩევდა, მათ შორის ვ. შალიკიანი, გ. ფილიპაშვილი, მ. მამალაძე, გ. კილასონია, ი. თოდრია, ზ. ყვავაძე და დ. ქორქოლიანი, ხოლო სააპელაციო სასამართლოდან — მ. ახალაძე, ვ. ბასილაია და მ. მაისურაძე, მაგრამ, როგორც ზ. მხეიძე გვწერს, მათგან მხოლოდ გ. მამალაძე მოქცეულა კაცურად, რომელიც მოპასუხე ნ. მიქელაძის მრავალგზის თხოვნას, დახმარებოდა მას (ალბათ, არა უანგაროდ) არ დათანხმდა და საქმის გარჩევას თვითაცილება არჩია. ყველა დანარჩენი კი (ვფიქრობ გ. ფილიპაშვილის გარდა) მონუსხულებივით ნ. მიქელაძეს უჭერდა მხარს. უზენაესმა სასამართლომ ოთხჯერ იმსჯელა ქუთაისელ მოსამართლეთა მიერ გამოტანილ განჩინებებზე და ოთხივეჯერ გააუქმა გ. კილასონიას, ი. თოდრიას და ზ. ყვავაძის გადაწყვეტილებები.

სააპელაციო სასამართლომ კი მისი სარჩელი დ. ქორქოლიანის გადაწყვეტილების თაობაზე, რატომღაც, ძალაში დატოვა. მოსარჩელე არ ეთანხმება მოსამართლე დ. ქორქოლიანის ამ გადაწყვეტილებას, რომელიც მოსარჩელის მხრივ „უსაფუძვლობისა და მტკიცებულებათა არარსებობის გამო" გამოტანილი და ძალაში შესული. თუმცა, მოსამართლისაგან მოსარჩელემ ვერ მიიღო კანონით გათვალისწინებული დასაბუთებული გადაწყვეტილება, თუ რატომ იყო კოოპერატივში მის მიერ 5 წლის მანძილზე დაგროვილი ქონებიდან წილის გამოტანის მოთხოვნა უსაფუძვლო? ან რის საფუძველზე გაამახვილა მან ყურადღება „მტკიცებულებათა არარსებობაზე", როცა ზ. მხეიძის მიერ წარდგენილი საბუთებით კოოპერატივში მისი წევრობა ეჭვს არ იწვევდა? ან მოსამართლემ რატომ არ მიიღო მხედველობაში მეწარმეთა შესახებ კანონის 62-ე მუხლის მე-7 პუნქტი, რომლის თანახმადაც ზ. მხეიძესთან ანგარიშსწორება კოოპერატივიდან მისი იძულებითი გასვლის მომენტისათვის ბალანსის საფუძველზე უნდა მომხდარიყო? თავისი ამ უნებლიე თუ შეგნებული ქმედებით სასამართლომ უხეშად შელახა მისი მოქალაქეობრივი უფლებები და მას, კოოპერატივიდან მოგების წილის მიღებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თავდაპირველად საკუთარი შენატანი თანხით შეძენილი ნაწილის ამოღების უფლებაც კი „ჩამოართვა" (მოსამართლე დურმიშხან ქორქოლიანმა ასევე მხედველობაში არ მიიღო მის მიერვე დანიშნული ექსპერტის დასკვნა, რომლითაც იმ დროისათვის კოოპერატივის ქონება იყო განსაზღვრული. — თ. კ.).

ასეა თუ ისე, მომჩივანი თავს დაზარალებულად ცნობს და, თავის სიმართლეში ღრმად დარწმუნებული, სასამართლოს დამაჯერებელ და საკმაოდ არგუმენტირებულ პრეტენზიებსაც უყენებს. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ საქმიდან მნიშვნელოვანი დოკუმენტები გაქრა, რაც, თავისთავად, გარკვეული ეჭვის საფუძველს ქმნის — მათ პროცესის მსვლელობის და საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დროს შეიძლება დადებითი როლი შეესრულებინათ, მაგრამ...

გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ უზენაესი სასამართლოს მოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების პალატამ თავის 2001 წლის 30 მაისის განჩინებით სახელმწიფო ბაჟის — 5 ათასი ლარის — გადაუხდელობის გამო საქმე განუხილავი დატოვა (ზ. მხეიძეს, რომელიც ამ საქმის გადამკიდე აგერ უკვე 9 წელიწადია, უმუშევარია და სახლში პენსიონერი მეუღლე და 3 შვილი ჰყავს, ამხელა თანხის წინასწარ გადახდა, რასაკვირველია, არ შეეძლო). ამ ფაქტის გამო კი მას უნებლიედ გაუჩნდა კითხვა — თუ პირველ და მეორე ინსტანციებში საქმე უბაჟოდ განიხილეს და გადაწყვეტილებაც გამოიტანეს, რატომ არ გახდა ეს შესაძლებელი საკასაციო სასამართლოში? ან თუ ზემოთ აღნიშნულმა მოსამართლეებმა კანონიერად ჩათვალეს მისი განხილვა, ხოლო საკასაციო სასამართლო მას, თავის მხრივ, არაკანონიერად მიიჩნევს, მაშინ, მართლაც, საინტერესოა — რომელია მათ შორის მართალი და რომელი მტყუანი?

თავის განცხადებაში ზ. მხეიძე გვწერს მოსამართლეთა მხრიდან დაშვებულ ისეთ სერიოზულ ხარვეზებზე და კანონდარღვევებზე, რომლებმაც გავლენა იქონიეს საბოლოო გადაწყვეტილებაზე. ავტორი ამას არა უნებლიე გადაცდომად, არამედ მოსამართლეების მიერ მოპასუხის სასარგებლოდ შეგნებულად დაშვებულ მიკერძოებად მიიჩნევს და, ამიტომაც, უზენაეს სასამართლოში ქუთაისელ მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი აღძრა.

იმედი უნდა ვიქონიოთ, უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ობიექტურად გამოიკვლევს ზ. მხეიძის ამ, არცთუ ისე უსაფუძვლო, პრეტენზიებს და მის მიერ ამ საკითხის ირგვლივ მიღებულ გადაწყვეტილებასაც დროულად გვამცნობს.

**თეიმურაზ კინწურაშვილი.**

## კალათბურთი

# ვის გაახარებენ ახლები?

**გუშინ დუდუ დადიანის პირველ მემორიალში ქვეყნის ჩემპიონი ბათუმის „ბასკო" და არაერთგზის პრიზიორი — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი ჩაებნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალ სეზონს ორივენი განახლებული შემადგენლობებით შეხვდნენ.** კერძოდ, ზღვისპირელებს პაველ გოოგეს ნაცვლად ამიერიდან ყოფილი მეორე მწვრთნელი ნუგზარ კანდელაკი უთავკაცებთ, ძირითადი ბირთვიდან შემორჩენილ აფრიკელ ლეგიონერს როდუნდას კი დამდეგ ბატალიებში დავით ბერიშვილი, ბაბიაშვილი, შენგელია, შანიძე, კეიდია, სუხიშვილი, მინაშვილი, ნიკოლაძე და კეშელავა შეეშველებიან. შეგახსენებთ, რომ ორი უკანასკნელი ბათუმელთა სპორტულ ღირსებას უწინაც იცავდა. სანახევროდ გადახალისდა სტუდენტური კლუბიც — ნუგზარ ჭეიშვილის განკარგულებაში ძველ პოლიტექნიკოსებთან ერთად ტოუჯანი, მუშკუდიანი, ახალკაცი, ხეცურიანი და სამშობლოში რამდენიმეწლიანი უცხოური ვოიაჟიდან დაბრუნებული ტუღუში არიან. როგორ აისახება ასეთი საკადრო პოლიტიკა ამ ამბიციური გუნდების შედეგებზე, ამას



მომავალი ასპარეზობები გვიჩვენებს, ახლა კი მოკლედ მათი გუშინდელი მონაგრის შესახებ.

**„ა" ჯგუფი. „ბასკო" — „აზოტი" 73:71.**

ბერუაშვილის ძალისხმევით თავიდან რუსთაველები დაწინაურდნენ — 8:4, თუმცა შანიძემ და ბერიშვილმა ზედიზედ ორი სამქულიანი ჩააგდეს და „ბასკოს" საბოლოო წარმატებას დაუდეს სათავე. ერთ ეპიზოდში ბათუმელთა უპირატესობამ 19 ქულას მიაღწია და ძნელი სავარაუდო იყო, რომ მათ გამარჯვებაში რაიმე შეუშლიდათ ხელს, მაგრამ წინა დღეს თსუ-სთან გამართული მატჩის მსგავსად, „აზოტმა" თანდათან გამოასწორა მდგომარეობა და გოგობერიშვილის შემწეობით ძირითადი დროის დასრულებამდე 5 წუთით ადრე დაეწია კიდეც მეტოქეს — 64:64. აქედან მოყოლებული, ორი წუთის განმავლობაში მხარეები ზედიზედ უშვებდნენ უხეშ შეცდომებს და ვერაფრით ახერხებდნენ ანგარიშის შეცვლას. ასეთ კრიტიკულ ვითარებაში რუსთაველთათვის საბედისწერო გამოდგა გაბისონიას მიერ უზუსტოდ ნატყორცნი საჯარიმოები, რამაც მის პარტნიორებს ხსოვნის ტურნირის ფინალური შეხვედრისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა.

**„ბ" ჯგუფი. სტუ — „მაქაბი" 131:79.**

„ცალფარობანა" პირველივე პერიოდიდან დაიწყო, რომელიც სტუმ 44:14 (!) მოიგო. დანარჩენი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმე იყო.

დღეს ვერის ბაღში დუდუ დადიანის მემორიალის პირველი ეტაპი მთავრდება:

**14.00 „ა" ჯგუფი. თსუ — „ბასკო".**
**16.00. „ბ" ჯგუფი. „დინამო" — სტუ.**

**გია პლატონიშვილი.**
**ჯემალ კასრაძის ფოტო.**

## მსოფლიო მოგზაურობა

# ფინიშიც მოახლოვდა

**მსოფლიო მოგზაური ჯუმბერ ლეჟავა უზბეკეთშია და სამშობლოსაკენ მოემართება, აცნობა საქინფორმს მსოფლიო მოგზაურის სააგენტომ. გავლილია 229 ქვეყანა, 261 ათასი კილომეტრი. უზბეკეთში ჩვენი ქვეყნის ელჩის გივი აბდუშელიშვილის და უზბეკეთის სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მეცადინეობით ტაშკენტში დიდი პრესკონფერენცია გაიმართა.** მათივე დახმარებით მსოფლიო მოგზაურმა აფრიკისა და ევროპის ასი ქვეყნის, შემდეგ ყაზახეთ-შუა აზია გამოვლილი ამერიკული სამთო ველოსიპედი შეაკეთა და დუშანბეს გზას დაადგა, მოიარა ტაჯიკეთი და ისევ უზბეკეთს დაუბრუნდა, რომ უძველესი ქალაქები სამარყანდი, ბუხარა და ხივა ეხილა.

უზბეკეთიდან ჯუმბერ ლეჟავა თურქმენეთს ეწვევა, შემდეგ არის კასპიის ზღვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ... საქართველო, რომელიც ოქტომბრის დამლევს ელოდება ცხრა წლის წინათ განშორებულ მამულიშვილს.

და, ბოლოს, ჯუმბერ ლეჟავას ყველა გულშემატკივარს ვაუწყებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილია და მოქმედებს სამთავრობო კომისია (თავმჯდომარე — სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე). მსოფლიო ველომოგზაურობის წარმატებით დამთავრების აღსანიშნავი პროგრამა, კავკასიის სამი ქვეყნის სასაზღვრო წითელი ხიდიდან დაწყებული, საქართველოს კიდით-კიდემდე, მრავალ ღონისძიებას ითვალისწინებს.

**საქინფორმი.**

## კრივი

# საოლიმპიადოდ არბიტრებიც ემზადებიან



**ქართველმა სპორტსმენებმა ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში დამოუკიდებელი გუნდით უკვე ორჯერ იასპარეზეს და, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობიდან გამომდინარე, — სოლიდური შემადგენლობითაც. ოღონდ ამ დიდ სპორტულ ფორუმებზე ჩვენი მსაჯთა კორპუსი იყო წარმომადგენელი ძალიან მეჩხრად. მაგალითად, სიდნეიში მხოლოდ ერთი არბიტრი მონაწილეობდა სპორტულ ტანვარჯიშში. მსაჯთა ამგვარი სიმწირე თავის, როგორც ცნობილია, დაღს ასვამს საქართველოს ათლეტთა შედეგებს ნებისმიერ შეჯიბრებაზე. ასეთი ვითარება ყველა ფედერაციას უბიძგებს, „საკუთარი" არბიტრი იყოლიოს ათენში (და არა მხოლოდ იქ).**

საამისოდ აქტიურად ემზადება საქართველოს კრივის ფედერაცია (პრეზიდენტი გიორგი კანდელაკი). ბოლო დროს ფედერაციისა და მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარის, მსოფლიოს სამოყვარულო კრივის ასოციაციის (AIBA) საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის ზურაბ ტიბუას საქმისადმი პროფესიული დამოკიდებულებით, საქართველოში საკმაოდ ამაღლდა მსაჯთა კვალიფიკაცია. გვყავს AIBA-ს სამი (ზურაბ ტიბუა, დავით ქავთარაძე და ტარიელ გოგოჭური) და ევროპის კრივის ასოციაციის საერთაშორისო კატეგორიის ხუთი არბიტრი (ზაალ ჯავახაძე, კოტე ბერძენიშვილი, დავით შაქარაშვილი, ალბერტ ამისულაშვილი, ედიკ მარდანოვი), რომლებმაც სხვადასხვა დროს წარმატებით ჩააბარეს საკვალიფიკაციო გამოცდები. იზრდებიან პერსპექტიული, ახალგაზრდა მსაჯებიც. ყოველივე ეს ქმნის ჯანსაღ კონკურენციას, რაც დადებითად მოქმედებს მოკრივეთა შედეგებზეც.

ამას წინათ პერმში გამართულ ევროპის ჩემპიონატში 30 არბიტრს შორის ფოთელი ზურაბ ტაბუაც მონაწილეობდა. მან 35 შეხვედრა იმსაჯა, მათ შორის — შვიდ რინგზე და უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, რითაც ჩემპიონატის საუკეთესო არბიტრთა ათეულში მოხვდა.

— გაისად ათენის ოლიმპიადისთვის სარეიტინგო-საკვალიფიკაციო ტურნირები ექნებათ როგორც სპორტსმენებს, ისე მსაჯებს, — მითხრა ზურაბ ტიბუამ. — ყველაზე მნიშვნელოვანი, ცხადია, მსოფლიო ჩემპიონატი იქნება, რომელიც ტაილანდში გაიმართება. არბიტრებიც ვეცდებით სათანადო ქულები მოვაგროვოთ, რათა ათენის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება მივიღოთ.

**იმედია, მარტო კრივის კი არა, სხვა ეროვნული ფედერაციებიც იზრუნებენ თავიანთი არბიტრების კვალიფიკაციის ასამაღლებლად, რათა ჩვენი მსაჯთა კორპუსიც ღირსეულად იქნას წარმოდგენილი ათენში.**

**ვაჟა ნოსირელი.**

## რაგბი

# «ლენსდაუნ როუდი» მასპინძლობს

**ზაისად მორაგბეთა მსოფლიო თასის გათამაშების ფინალური ეტაპი გაიმართება. ამ მნიშვნელოვან სპორტულ ფორუმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ერთი ნაბიჯის გადადგმაღა აკლია. ბოლო ორ წელიწადში მოპოვებული შედეგებით ბორჯღალოსნები სამგუნდიან ჯგუფში მოხვდნენ ირლანდიელებთან და რუსებთან ერთად.** დღეს დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე", ირლანდიის ნაკრები, რომელსაც, ფაქტობრივად, თავი ქუდში აქვს, საქართველოს ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ამ რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა მეტოქეებმა კრასნოიარსკში თითქმის უბრძოლველად სძლიეს რუსებს — 35:3. სპეციალისტების აზრით, ისინი დღეს საკუთარ მოედანზე ქართველებსაც დაამარცხებენ, ისევე, როგორც 1999 წელს მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირში, იმავე „ლენსდაუნ როუდზე". ქართველთა უმთავრესი ამოცანაა, რაც შეიძლება ნაკლები ანგარიშით წააგონ, ყოველ შემთხვევაში, სხვაობა 31 ქულაზე მეტი ნუ იქნება. ეს ერთგვარ უპირატესობას მოგვცემს რუსეთის ნაკრებთან, რომელსაც 13 ოქტომბერს შინ ვუმასპინძლებთ — იმ ორთაბრძოლაში ფრეც საკმარისი იქნება.

ბოლო წლებში ბორჯღალოსნებმა რამდენიმე მატჩი ითამაშეს ჩრდილოელ მეზობლებთან და აშკარად დადებითი ბალანსი აქვთ. წლეულს იყო მხოლოდ, ევროპის ერთა თასზე მატჩში დაზავება რომ აირჩიეს.



საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრანგმა კლოდ სორელმა 25 მორაგბე წაიყვანა დუბლინში. **ძირითადი შემადგენლობა: გოდერძი შველიძე, აქვსენტი გიორგაძე, ლევან ცაბაძე, ვანო ნადირაძე, ვიქტორ დიდებულიძე, დავით ბოლღაშვილი, გიორგი ჩხაიძე, ილია ზედგინიძე, ირაკლი აბუსერიძე, პალიკო ჯიმშელაძე, ბადრი ხეხელაშვილი, კახა ალანია, თედო ზიბზიბაძე, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე. სათადარიგონი: მეველუდ მთიულიშვილი, ტარიელ რატიანიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ირაკლი გუნდიშვილი, ოთარ ბარკალაია, ვასილ კაცაძე, გუჯა იოვაძე. განაცხადში შესაყვანი 22 სპორტსმენის გარდა, კლოდ სორელმა, დაზღვევის მიზნით, დავით აშვეთია, ზვიად მათიაშვილი და გიორგი ელიზბარაშვილიც** იახლა. როგორც ვხედავთ, შემადგენლობაში არ არის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე გია ლაბაძე, რომელსაც ყვრიმალის ძვალი აქვს გატეხილი.

ერთი უსიამოვნო პარალელი: წლეულს, აგვისტოში, სანაკრებო შეკრებაზე არ ჩამოვიდა გუნდის კაპიტანი ლევან ცაბაძე — გამოძახება არ მიმიღიაო. ეტყობა, სორელმა წყენა მაინც ვერ მოინელა და დუბლინში გამგზავრების წინ კაპიტნის სამკლაური ვიქტორ დიდებულიძეს ჩააბარა. ღმერთმა ნუ ქნას, ოთხი წლისწინანდელი ამბავი განმეორდეს: მაშინ, 1999 წელს, კლოდ სორელმა კაპიტნობიდან ჩამოაქვეითა გია რაფავა, რამაც ერთობ ააფორიაქა ქართველი მორაგბე და ზოგიერთი მისი მეგობარიც: შედეგი სავალალო გამოდგა — ბორჯღალოსნებმა არა მარტო ირლანდიელებთან, არამედ რუმინელებთანაც წააგეს (23:27) და მსოფლიო თასის ფინალური ეტაპის მიღმა დარჩნენ.

მწვრთნელებმა თავიანთი საქმე უკეთ იციან. იმედია, ჩვენი პატრიოტი მორაგბეებიც (ისინი ხომ მხოლოდ ენთუზიაზმით აკეთებენ დიდ ქართულ საქმეს) არ აჰყვებიან ემოციებს და მსოფლიო თასის ფინალში გასვლით საგულისხმო წარმატებებსმოწყურებულ გულშემატკივრებს გაახარებენ.

**ვაჟა დანელია.**

## პრესკონფერენცია

# საფონდო ბირჟა პრივატიზების პროცესში ჩაებმება

**პრივატიზების პროცესში საფონდო ბაზრის გამოყენების საკითხს მიეძღვნა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროში 27 სექტემბერს გამართული პრესკონფერენცია.**

— როცა გადაწყდება ამა თუ იმ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სააქციო საზოგადოების წილის რეალიზება, ეს მოხდება არა სახელმწიფო ქონების სამინისტროს, არამედ საფონდო ბირჟის მეშვეობით,— თქვა მინისტრის მთავარმა მრჩეველმა კახა კაპანაძემ.

აღნიშნულ ნაბიჯს ის მნიშვნელობა აქვს, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში პრივატიზების პროცესი მიმდინარეობს საფონდო ბაზრის გამოყენებით, თუ იგი, რა თქმა უნდა, ჩამოყალიბებულია. საქართველოში კი პრივატიზების პროცესი წინ უსწრებდა საფონდო ბაზრის ინსტიტუციონალურ მოწყობას, ამიტომ, პირველ ეტაპზე ამ ეკონომიკური ბერკეტის გამოყენება შეზღუდული იყო. ამდენად, ამჟამად ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანია მისი პრივატიზების პროცესში ჩაბმა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საფონდო ბირჟის აქტიურობის ზრდას, ხოლო საფონდო ბაზარზე აქციების მიწოდება მომავალში დაეხმარება მდგრადი მეორადი ბაზრის ჩამოყალიბებას.

ახლო მომავალში გაფორმდება ხელშეკრულება საფონდო ბირჟასთან და ბროკერთა ასოციაციის მიერ შერჩეულ საბროკერო კომპანიასთან, შემდეგ შედგება იმ საწარმოთა ნუსხა და იმ წილების ცხრილები, რომელთა გაყიდვა საფონდო ბირჟაზე მოხდება.

— დღესდღეობით, მოსაგვარებელი მხოლოდ ტექნიკური მხარე დარჩა და აღნიშნული პროცესის დაწყება დაახლოებით ნოემბრის დამლევსაა ნავარაუდევი,— აღნიშნა სახელმწიფო ქონების განკარგვის სექტორის უფროსმა გიორგი დავითაშვილმა.

**საქინფორმი.**

## ჭადრაკი

# რობერტ ფიშერს არ ივიწყებენ

**ცნობილმა დიდოსტატმა და საჭადრაკო ჟურნალისტმა ჯორჯ კოლტანოვსკიმ რობერტ ფიშერს „ჭადრაკის დიდი ბედნიერებაც" უწოდა და „დიდი უბედურებაც".** ამ სიტყვებს, ვფიქრობთ, განმარტება არ სჭირდება. მარტო ის რად ღირს, რომ მრავალი წლის მანძილზე უძლეველი ფიშერი შემდეგ საჭადრაკო სამყაროს, გაუგებარი მიზეზების გამო, განუდგა და თუმცა, 2003 წლის 9 მარტს „მხოლოდ" 60 წელი უსრულდება, ასპარეზზე დაბრუნებას თითქოს არც ფიქრობს.

თუმცა, მთლად სწორი რომ ვიყოთ, ვიტყვით, რომ ჭადრაკს ფიშერი ისე უიმედოდ არ დაუკარგავს. მან გამოიგონა საკუთარი ჭადრაკი, საკუთარი საჭადრაკო საათი, რომელიც მანამდე არსებულს აშკარად აღემატება. ამბობენ, რომ იგი ხანდახან, მართალია ფსევდონიმით, მაინც თამაშობს ინტერნეტით და მეტოქეებს შავ დღეს აყრის.

ამას წინათ ცნობილ ამერიკელ დიდოსტატ იასურ სეირავანს ჰკითხეს, სად არის და რას აკეთებს ამჟამად ფიშერი. პასუხი ასეთი იყო: ფიშერი იაპონიაში ცხოვრობს (მანამდე იგი რამდენიმე წლის მანძილზე ბუდაპეშტში იმყოფებოდა) და ერთ-ერთ ელექტრონულ კომპანიაში მუშაობს იმავე საჭადრაკო საათის გაუმჯობესების მიზნით.

## ავტოსპორტი

# ძმა — ძმისთვისო...

**ავტომრბოლთა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, რომელმაც სტარტი რიყეზე აიღო, 9 ეკიპაჟი (ყველა — თბილისიდან) გამოვიდა. 150 კმ-იანი დისტანცია 15 ჩქაროსნული მონაკვეთით (50 კმ) მცხეთაში თეატრონთან დამთავრდა.**

აბსოლუტურ ჯგუფში და „ა" კლასში პირველობა არავის დაუთმეს ძმებმა დავით (პილოტი) და ზაზა (შტურმანი) იაშვილებმა. „ა" კლასში მეორე იყო ზაზა ზოზიაშვილისა და დავით ლალაშვილის დუეტი, რომელმაც მესამე შედეგი მოიპოვა აბსოლუტურ ჯგუფშიც. აქ ვერცხლის პრიზიორები გახდნენ მამუკა მელაძე და ნოდარ ფაღავა. „ა" კლასში მესამე ადგილზე გავიდნენ დავით წულაური და მერაბ ქობულია.

აღსანიშნავია, რომ 9 ეკიპაჟიდან რბოლა მხოლოდ ხუთმა რალისტმა დაამთავრა.

**ამირან გაგნიძე.**


# გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში

## აცხადებს კონკურსს საუკეთესო ნაშრომის გამოსავლენად შემდეგ თემებზე:

1. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები განვითარების სამსახურში.
2. საქართველოში სოციალური უზრუნველყოფის მდგომარეობის მიმოხილვა: დასახული კურსი გამიზნულია საჭიროებებზე?
3. სამოქალაქო საზოგადოება: ახალი მიმართულებები, სირთულეები და შესაძლებლობები.
4. საქართველოში თავისუფალი პრესის განვითარების ზოგიერთი ასპექტი.

დაინტერესებულმა პირებმა მომავალი ნაშრომის ხუთგვერდიანი მონახაზი (ინგლისურ ან ქართულ ენებზე) უნდა წარმოადგინონ გაეროს სახლში (ერისთავის ქ. 9, თბილისი) 2002 წლის 7 ოქტომბრამდე. გამარჯვებულები გამოვლინდება ოქტომბრის ბოლოს და შემდგომ მათ მიეცემათ ორი თვე თავიანთი გამოკვლევის დასამთავრებლად (დაახლოებით 30 გვერდამდე, ინგლისურად ან ქართულად).

ნაშრომთა შერჩევა მოხდება შემდეგი კრიტერიუმებით: საკითხის აქტუალურობა, შესაბამისობა საქართველოში არსებულ რეალობასთან; ანალიზისა და კვლევის ორიგინალურობა; ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს ანალიზსა და სამოქმედო კურსის რეკომენდაციებზე (და არა მოვლენათა აღწერით გადმოცემაზე).

ნაშრომი გამოქვეყნდება გაეროს განვითარების პროგრამის სადისკუსიო წერილების სერიაში. გამარჯვებულ ავტორს გამოეყოფა 3500 აშშ დოლარის გრანტი კვლევის დასამთავრებლად.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მიმართოთ ქ-ნ ქეთი გიოშვილს Keti ghioshwili @ undp org. ან ტელ: 25-11-26/28/29/31.


## ცინცხალი ამბები



**კოპენჰაგენის ველოტრეკზე მიმდინარე მსოფლიოს პირველობაზე ერთ კილომეტრიან გიტში გაიმარჯვა მოტლანდიელმა კრის ჰოიმ, მეორე-მესამე ადგილებზე შესაბამისად გავიდნენ ფრანგი არნო ტურნანი და ავსტრალიელი შეინ კელი.**

**ქალთა შორის ამავე სახეობაში 500-მეტრიან დისტანციაზე პირველი სამეული ასე გამოიყურება: ნატალია ცილინსკაია (ბელორუსია), ნენსი კონტრერას რეიესი (მექსიკა) და კერი მირესი (ავსტრალია).**

* * *



**ხვალ პარიზის სპორტის სასახლე „ბარსიმი" სტარტს აიღებს დევისის თასის გათამაშების ფინალური მატჩი, რომელშიც ერთმანეთს დაუპირისპირდებიან მასპინძლები და რუსი ჩოგბურთელები.**

## ყოველი მხრიდან

### ჩალაძე და მისი გუნდი ლიდერობენ

მართალია, რუსეთის საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი დივიზიონის მორიგ, 28-ე ტურში ყაზანის „რუბინმა" სტუმრად ვერ შეძლო „გაზოვიკ-გაზპრომის" დამარცხება და მატჩი ფრედ — 0:0 დაამთავრა, მაგრამ კვლავ ლიდერობს ის, 61 ქულით უახლოეს მდევარს — „ჩერნომორეცს" 5 ქულით უსწრებს.

დივიზიონის ბომბარდირთა შორის კვლავაც წინაა „რუბინის" ქართველი ლეგიონერი დავით ჩალაძე, რომელსაც 23 მატჩში 16 ბურთი აქვს გატანილი. მეორე ადგილზეა „ჩერნომორეცის" მოთამაშე ვიაჩესლავ კამოლცევი, რომელმაც 24 შეხვედრაში 12 გოლი გაიტანა, აქედან 1 პენალტით, იმდენივე ბურთი მოათავსა მეტოქეთა კარებში სტანისლავ ლებედინცევმა (სკა), მაგრამ მას 3 გოლი პენალტით აქვს გატანილი.

### იტალიელები არ ცხრებიან

მილანელ გულშემატკივრებს ვერ მოუნელებიათ „ინტერიდან" ბრაზილიელი რონალდოს გადასვლა



ესპანეთის სამეფო კლუბში.

რონალდოს, აი, ასეთი ფიტულია ჩამოკიდებული მილანის ერთ-ერთ ქუჩაზე, — წარწერაღა აკლია — „სიკვდილი მოღალატეებს".

### ცისფერი მარათონი გრძელდება

ეგვიპტის ქალაქ შარმ-ალ-შეიხში გრძელდება მეორე მსოფლიო ჩემპიონატი ღია წყალზე მარათონულ ცურვაში.

უკვე გაცნობეთ, რომ ვაჟთა შორის 10-კილომეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა რუსეთელმა კოშკაროვმა.

იმავე დისტანციაზე ქალთა შორის პირველობა არავის დაუთმო გერმანელმა კამრაუმ. ფინიშთან მეორე მოვიდა იტალიელი ვალი, რომელმაც ადრე 5 კილომეტრზე ცურვაში გაიმარჯვა.

ახლა ქალთა შორის გერმანელები ლიდერობენ — 32 ქულა. შემდეგ ადგილებზე არიან ჰოლანდია (22), იტალია (20) და ა. შ.

ვაჟთა შორის პირველ სამეულში არიან რუსეთი (32), იტალია (21), გერმანია (12).

### რეკორდი ოკეანეში

როგორც პარიზიდან იტყობინებიან, შვეიცარიელმა ბერნარდ შტამმა მონოხომალდით Boost Group Armor Lux ჩრდილო ატლანტიკის ტრავერსი დაამყარა რეკორდი. მან ერთადგილიანი ნავით 10 დღეში 11 საათსა, 55 წუთსა და 19 წამში გადალახა მარშრუტი ნიუ-იორკის პორტის შუქურა ამბროზიიდან სამხრეთ-დასავლეთ ინგლისის ლიზარდის კონცხამდე.

შტამმა რეკორდი დაამყარა ტრადიციული დედამიწის გარშემო რბოლის Around Alone პირველ ეტაპზე.



**სპორტის რედაქცია**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## ალბომი

# ყველას რამე აქვს სახსოვარი



აჭარის სახელმწიფო მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზი. მარცხნიდან: ნიკოლოზ (ლაშა) ჯანაშია (აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე), ალიოსმან ქათამაძე (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი), ხარიტონ ახვლედიანი (მუზეუმის დირექტორი), იური სიხარულიძე (აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელი, პროფესორი). 1975 წელი.

**მოგვაწოდა ლაშა ბიორბაძემ.**

შეგახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა



— როგორ გაიცანი შენი ცოლი?

— შემთხვევით. ვერავის დავაბრალებ.

***

— ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ერთი კოცნით 5 მილიონი მიკრობი გადაიცემა.

— მაგრამ, მეორე მხრივ, ხომ ამდენივეს ვკარგავთ?

***

რა გამოვა, თუ შევაჯვარებთ ციმბირული ჯიშის ლაიკას და ქერათმიან ქალს? ორიდან ერთს: ან ძალიან სულელ ძაღლს ან ყინვაგამძლე მეძავს.

***

რესტორანში ლომი და ხარი სხედან. უცებ ლომს ცოლმა მობილური ტელეფონით დაურეკა და სასწრაფოდ შინ დაბრუნება სთხოვა. ლომი ადგა წასასვლელად. ხარმა მასხრად აიგდო:

— შენ რა ცოლის მონა ყოფილხარ, ლომო. აი, მე ასეთ რამეს ჩემი ცოლი ვერ გამიბედავს.

— იცი, რას გეტყვი? — უპასუხა ლომმა, — შენი ცოლი ძროხაა, ჩემი ლომია.

***

თბილისის მესამე საცხოვრებელ მასივში მასპინძელი აცილებს შეგვიანებულ სტუმარს, რომელიც კიბეებზე ჩადის:

— თუ გინდა, ფანრით გაგინათებ, ქვემოთ ძალიან ბნელა.

— მე უკვე ქვემოთ ვაგდივარ.

## თაობა

# კესანე „დიდი“ გოგოა



ეს მართლაც ყვავილივით მშვენიერი გოგონა, — კესანე გვეტაძე ოთხი წლის წინათ გავიცანი, ჯერ რვისაც არ იყო. ახლა იგი უკვე დიდია, — 11 წლისაა.

ამ პატარა ქალმა მომხიბლა თავის წრფელი ნახატებით და ზღაპრებით, ჩანახატებით, რომლებსაც იქამდე თხზავდა, სანამ წერა-კითხვას ისწავლიდა! მერე კი წიგნიც გამოსცა თავისივე გაფორმებით.

კესანე მრავალმხრივი ნიჭის პატრონია, სიმღერაც ეხერხება — სულ ახალი გატაცება კი ბალეტია, — მეორე წელია, რაც იგი ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ეუფლება საბალეტო ხელოვნებას, — ვნახოთ, საბოლოოდ ხელოვნების რომელ დარგს მიანიჭებს უპირატესობას კესანე, ჯერჯერობით კი მხატვრობას არ ღალატობს — ახლახან საქართველოს მხატვართა კავშირის დარბაზში გაიხსნა მისი ასი ნამუშევრის გამოფენა (ორგანიზატორი თამარ კუპრაშვილი). გამოფენის გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ ქალბატონები ნინო ზაალიშვილი, ნაზი ელიაშვილი, ბატონები გურამ დოჩანაშვილი და გურამ ბედოშვილი.



**ნანა ლვინიეფაძე.**

**სურათზე: კესანე გვეტაძე და მისი ერთ-ერთი ნახატი „გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი“.**

## დედაქალაქი

# ნეტავ, ყველას ასე შესტკიოდეს ჩვენზე გული!

ნათქვამია, გამწევ ხარს მეტი ხვდებაო... გვაპატიოს ქალაქის მერმა ამ შედარებისთვის, მაგრამ, ბოლო დროს, პრესითა და ტელევიზიით, ზოდელავას მისამართით გამოთქმული საყვედურები, სწორედ ამ ანდაზას გვაგონებს. ჩვენ, უსინათლოები, ვერა და ვერ დავეთანხმებით ლეიბორისტთა ლიდერს შალვა ნათელაშვილს, თითქოსდა, შეუძლებელი იყოს ქალაქის მერთან მიღებაზე შესვლა. პირიქით, ჩვენი კავშირის წევრებს ხშირად მიუმართავთ ქალაქის თავკაცისთვის და ქმედითი დახმარებაც მიუღიათ მისგან. ვანო ზოდელავა არაერთხელ ყოფილა ჩვენთან შეხვედრაზე და ადგილზე განუხილავს ინვალიდთათვის საჭირბოროტო საკითხები. სწორედ ამ შეხვედრებზე გადაწყდა ფონიჭალაში ჩვენი კულტურის სახლის ავარიული სახურავის შეკეთება. რომ არა 25 აპრილის მიწისძვრა, ბატონ ვანოს დანაპირები უკვე შესრულებული იქნებოდა. თუმცა, დავძენთ, რომ მიუხედავად ქალაქში არსებული მძიმე მდგომარეობისა, ბატონმა ვანო ზოდელავამ ბოლო შეხვედრაზე აღგვითქვა, რომ კულტურის სახლის სახურავი ოქტომბერში აუცილებლად შეკეთდებაო.

ასევე, მადლიერება უნდა გამოვხატოთ იმ 42 უსინათლო ოჯახის სახელით, რომლებსაც 1988-1992 წლებში აუშენებელი ბინების ორდერები გადაეცათ, ხოლო დღეისთვის, თბილისის საკრებულოსა და უშუალოდ მერის თანადგომით, დაიწყო ბინების სანაცვლოდ მათთვის ფულადი კომპენსაციების გაცემა. ღრმად გვწამს, რომ ბატონი ვანოს სიტყვა და საქმე ერთია, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ დაწყებული პროცესი შეუფერხებლად გაგრძელდება. რვა ოჯახი უკვე დაკმაყოფილდა თანხით.

უსინათლოებს გვჯერა, რომ სანთელ საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს და სხვაც ჩვენსავით დააფასებს ქალაქის მერის ღვაწლსა და ამაგს.

**რევაზ მაისურაძე,**
**საქართველოს უსინათლოთა კავშირის თავმჯდომარე.**

**ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.**

## ღლავები დიდ კორუფციაში

**(პირველი გვერდიდან)**

# ყველაზე ახლოს საკუთარი ჯიბეა

„მადნეულ-ინვესტში“ თავს იყრიდა „მადნეულის“ სასარგებლოდ საინვესტიციო და „მადნეულის“ მიერ რეალიზებული პროდუქციიდან მიღებული თანხები, რომლებიც შემდგომ განიკარგებოდა „მადნეულის“ ხელმძღვანელობის მითითებით.

1997 წლის 15 მაისის ხელშეკრულების საფუძველზე, ინგლისური საშუამავლო კომპანია „კენტბრიჯს“ მადნეულისა“ ემართა — 23.480 ლარი. მიუხედავად ამისა, ელდარ ბოჭორიშვილმა, რომელიც იმავდროულად იყო „მადნეული-ინვესტის“ დირექტორიც, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, ყოვლად უსაფუძვლოდ, თითქოსდა შეძენილი სათადარიგო ნაწილების ღირებულების დასაფარავად, 1998 წლის 5 ივნისს გააშანშალა წერილი, რომლის მეოხებითაც „მადნეულ-ინვესტიდან“ „კენტბრიჯის“ წარმომადგენელ სერგო ხომერიკზე გაიცა 39.100 ლარი (29.250 დოლარი).

სერგო ხომერიკმა ეს თანხა იმავე დღეს თბილისში, თავის საცხოვრებელ ბინაში, თითქოსდა მოსკოვში კომპანია „კენტბრიჯის“ ოფისში ჩასატანად გადასცა ელდარ ბოჭორიშვილს, რომელმაც ფული მთლიანად მიითვისა.

ამ „ოპერაციის“ დასაფარად, ბოჭორიშვილმა, „მადნეულ-ინვესტის“ ბუღალტერიაში წარადგინა მოსკოვში რეგისტრირებულად ნაჩვენები კომპანია „კენტბრიჯის“ გენერალური დირექტორის დ. მაშკინის სახელით გაცემული ყალბი დოკუმენტი, რომლის თანახმად 1998 წლის 3 აგვისტოს ხომერიკმა ის თანხა კომპანია „კენტბრიჯის“ ოფისში შეიტანა.

ამ დანაშაულის ჩადენის შემდეგ ელდარ ბოჭორიშვილმა, როცა უკვე გათავისუფლებული იყო „მადნეულის“ გენერალური დირექტორის თანამდებობიდან, შვეიცარიულ კომპანია „ტრაფიგურა ბეხეერ ბვ“-ზე არსებული დავალიანებიდან (80.773 დოლარიდან) მოსკოვში ხელზე მიიღო 10.000 დოლარი, რომელიც „მადნეულის“ ანგარიშზე არ შეიტანა და საკუთარი ინტერესებისთვის გამოიყენა.

**ცხადია, ელდარ ბოჭორიშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მას მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლით — ოღონდაც პირობით, რადგან ბოჭორიშვილმა მითვისებული თანხა მთლიანად დაფარა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება სასამართლოს ლოიალური გადაწყვეტილება კიდეც გავამართლოთ, მაგრამ რა ვუყოთ იმ არა ათასებს, არამედ მილიონებს, რაც „მადნეულიდან“ და „კვარციდან“ გავიდა და სახელმწიფო ხაზინაში აღარ დაბრუნდა?**

**ბონდო გულიაშვილი.**

## გვეხმაურებიან

# რაღას ელოდებით?

ამა წლის 22 აგვისტოს ნომერში გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ იუწყებოდა ოზურგეთელი ამბაკო სალუქვაძის საუკუნის წინანდელ სანიმუშო საქველმოქმედო ნაბიჯზე, საკუთარი ხარჯით ქალაქ ოზურგეთში ჭა რომ გააკეთა და პოეტ გრიგოლ ცეცხლაძის ლექს-შექება დაიმსახურა (საგულისხმოა, რომ ამ დღეებში ოზურგეთში აღმოჩნდა იმ ჭის თავსახურავი გუმბათი წარწერით. იგი ჯართში ჩამბარებლისთვის ხელდახელ გამოუტაცნია ერთ კეთილ ადამიანს და ოჯახში საგულდაგულოდ შეუნახავს). ეს ფაქტი (ჭის უანგაროდ გაკეთება) იძლევა ქველმოქმედებით მაგალითს, სტიმულს, რომ ოზურგეთელებმა, რომელთაც ამის შესაძლებლობა აქვთ, მიბაძონ ამბაკო სალუქვაძის მაგალითს და იზრუნონ ქალაქის წყლით მომარაგებაზე.

დასახელებული წერილის ქვესათაური ასეთია: „მშობლიურ ქალაქს მიხედეთ, ოზურგეთელო ბიზნესმენებო“!

წერილის გამოქვეყნებიდან საკმაო დრო გავიდა, მაგრამ, ჯერჯერობით, ჩამიჩუმიც არ ისმის. არადა, ჩვენ ბევრ ოზურგეთელ ბიზნესმენს ვიცნობთ, რომელთაც ნამდვილად შესწევთ უნარი, ძალა და სახსარიც, რათა გამოიჩინონ შესაბამისი ენთუზიაზმი. ამ საქმეში ყველაზე დიდ იმედს ვამყარებთ საზოგადოება „ოზურგეთელზე“ (პრეზიდენტი თამაზ შილაკაძე). მისი პროგრამაც ხომ სწორედ ასეთი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას ითვალისწინებს!

მართლაც, ძალიან უჭირს უწყლოობით ოზურგეთს. ძვირფასო ბიზნესმენებო, როგორც წერილის ავტორი ბატონი რეზო კეჭაღმაძე წერს: „სწყურიათ ოზურგეთელებს წყალი და არა მარტო წყალი... თქვენგან მზრუნველობის გამოჩენაც სწყურიათ“.

ჰოდა, რაღას ელოდებით? ასეთი თხოვნა კარნახში არ ჩაგვითვალოთ, დიდი მადლია მწყურვალისათვის წყლის მიწოდება.

**გიზო ჭელიძე,**
**სოკრატ სალუქვაძე.**

## მააშ!

# ვინ მოგიწონებს, რომელი?

**ყოველდღე ტელეეკრანებიდან რეკლამირდება საუკეთესო ქართული ღვინო, სავაჭრო ნიშნით „კინტო“**

„ვაზო, შვილივით ნაზარდო“
ამასა მღერის მშრომელი
ვაზის შვილს „კინტო“ დაარქვი,
ვინ მოგიწონებს, რომელი?

როცა არ იცი, იკითხე,
რაა სახელის ტარება?
ღვინის სახელის შელახვით,
იწყება გადაგვარება.

რით გაუტეხონ სახელი,
ათასწლობით რომ ანთია,
შეურაცხყოფა ღვინისა,
გგონიათ დემოკრატია?!

ღვინო ხომ კაცივით არი,
კარგი სახელის ღირსია,
რამე ქართული დაარქვი,
„კინტო“ რა
საკადრისია?!

ეგ სულერთია, ვინ არი,
ამბროსია თუ მიტოა!
ღვინოს ვინც „კინტო“
დაარქვა,
ის კაცი მართლა კინტოა.

**შოთა ხოდაშნელი.**

## გამოფენა

# ილუსტრაციები ჟურნალ „ომეგასათვის“

ჟურნალ „ომეგას“ გალერეაში გაიხსნა მეტად საინტერესო და არაორდინალური გამოფენა ციკლიდან — თანამედროვე ქართული გრაფიკა, ილუსტრაციები ჟურნალ „ომეგასათვის“.

ჟურნალ „ომეგას“ და გაზეთ „ჩვენი მწერლობის“ რედაქცია დაარსებიდანვე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სხვადასხვა გამოცემათა მხატვრულ გაფორმებას. ამჯერად, ამ ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 1999-2002 წლებში სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის მწერალთა ნაწარმოებებისათვის შექმნილი ნახატები ჟურნალ „ომეგასათვის“ (სულ 25 მხატვრის ილუსტრაცია).

ექსპოზიციიდან ნათლად ჩანს, რომ ჟურნალი თანამშრომლობს გამოჩენილ ქართველ ოსტატებთან და, ამასთანავე, იწვევს ნიჭიერ დებიუტანტებსაც. მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია ისიც, რომ „ომეგას“ მაღალი პოლიგრაფიული დონე იძლევა მხატვართა ჩანაფიქრის ზუსტი გამოთქმის საშუალებას.

ვანო აბულაძე, ბადრი გაგნიძე, მზია დედანაშვილი, დიმიტრი ერისთავი, ზურაბ ნიჟარაძე, ალექსანდრე სლოვინსკი, ნინო ზაალიშვილი, თამარ მინაშვილი, კარლო ფაჩულია — აი, იმ ავტორთა არასრული სია, რომელთა ნამუშევრები, დღეისათვის, „ომეგას“ გალერეას ამშვენებენ.

აქ ექსპონირებული თანამედროვე ქართული ილუსტრაციის მრავალფეროვანი მცირე კოლექცია მოწოდებულია საზოგადოებას გააცნოს დღევანდელი გრაფიკის ერთ-ერთი საინტერესო სფერო და ხელი შეუწყოს მის შემდგომ განვითარებას, რაც თანამედროვე ქართული ხელოვნების მხარდაჭერის პერსპექტიული გეგმის შემადგენელი ნაწილია.

ახლო მომავალში გაზეთ „ჩვენი მწერლობისათვის“ შექმნილი ილუსტრაციების გამოფენაც გაიხსნება.

**ლელა დონაძე.**

**სურათზე: მწერალი როსტომ ჩხეიძე და მხატვარი დიმიტრი ერისთავი გამოფენის გახსნისას.**





## ცოდნის სკივრი

შვედმა ქიმიკოსმა და მინერალოგმა, სტოკჰოლმის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა იაკობ ბერცელიუსმა (1779-1848) გამოაქვეყნა 41 ელემენტის ატომური მასის ცხრილი, შეისწავლა ორი ათასამდე ნაერთის პროცენტული შედგენილობა და შემოიღო ელემენტების ატომების აღნიშვნა მათი ბერძნული და ლათინური სახელწოდების საწყისი ასოებით. ვ. გიზინგერთან ერთად აღმოაჩინა ცერიუმი, სელენი, თორიუმი. პირველმა მიიღო თავისუფალი სახით სილიციუმი, ტიტანი, ტანტალი და ცირკონიუმი. შექმნა ელექტროქიმიური თეორია (1812-19).

***

ცნობილი ქართველი თეოლოგი, ისტორიკოსი, არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე 1927 წლიდან მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, პოლონეთსა და სხვა ქვეყნებში. ბონის უნივერსიტეტში კითხულობდა ძველქართულ და ძველსომხურ ლიტერატურათა კურსებს. 1932 წლიდან ოქსფორდში კითხულობდა ქართული ეკლესიის ისტორიას. დაიღუპა 1945 წელს ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკის გაზის კამერაში. იგი იქ თავისი სურვილით შევიდა მრავალშვილიანი მამის ნაცვლად.

**საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს WEB-მასტერის თანამდებობაზე. კანდიდატი შეიძლება იყოს სტუდენტიც. საწყისი ხელფასი 150 ლარი.**

**მოკლე ბიოგრაფიული ცნობები მოგვაწოდეთ 4 ოქტომბრამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, შესასვლელი არსენას ქუჩიდან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტი. ტელ: 92 09 37, 92 09 34. საკონტაქტო პირი — გიგა შუბითიძე.**



მეუღლე ელეონორა გუგულდი, შვილი ბესიკი, რძალი ანა, შვილიშვილი რებეკა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ედუარდ გუგულდი

დაკრძალვა 30 IX, ლოს-ანჯელესში.

სახელმწიფო სტომატოლოგიური ინსტიტუტი (სპასი) იუწყება, რომ გარდაიცვალა თამაზ მესხი და სამძიმარს უცხადებს ამავე ინსტიტუტის პრორექტორს მანანა მესხს

მამის

გარდაცვალების გამო.

## ხსოვნა

# ირაკლი ჭუმბურიძე

გარდაიცვალა ქართული თერაპიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, აღიარებული კლინიცისტი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, საქართველოს სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი ირაკლი ჭუმბურიძე.

ბატონმა ირაკლიმ საექიმო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლო.

დაიბადა 1918 წელს ქუთაისში. 1940 წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ საქმიანობა დაიწყო მშობლიურ ქალაქში.

1941 წლიდან, საომარი მოქმედების წინა ხაზზეა, როგორც სამხედრო ექიმი, აქტიურად მონაწილეობს დაჭრილ და დაავადებულ მებრძოლთა დროულად განკურნების საქმეში. მისი პროფესიული თავდადება საველე პირობებში, მრავალგზის აღინიშნა ჯილდოებით.

ომის დამთავრების შემდეგ, ბატონი ირაკლი შეუდგა საექიმო-კვლევით საქმიანობას, საქართველოში კარდიოლოგიური სკოლის ფუძემდებლის აკადემიკოს მიხეილ წინამძღვრიშვილის ხელმძღვანელობით. 1952-1954 წლებში მივლინებულ იქნა ლენინგრადში ი. პავლოვის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობის გაფართოებისა და თანამედროვე კვლევითი მეთოდების ათვისების მიზნით.

1961 წელს, თბილისში, ექსპერიმენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე ბატონი ირაკლი ინიშნება ამ ინსტიტუტის ჯერ კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელად, ხოლო ერთი წლის შემდეგ, ცხოვრების ბოლომდე, ორმოცი წლის განმავლობაში, სათავეში ედგა სამეცნიერო მუშაობას ამ დარგში როგორც ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე. მისი აქტიური თანადგომით ათვისებულ იქნა ავადმყოფთა კვლევის, დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის მრავალი თანამედროვე მეთოდი. გამოიცა სამეცნიერო-კვლევითი მონოგრაფია, სახელმძღვანელო, პროფესიულად დაოსტატდა ექიმთა მრავალი თაობა, მეთოდური დახმარება გაეწია საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მომუშავე პრაქტიკოს ექიმებსა და სხვა მრავალი.

1964 წელს ირაკლი ჭუმბურიძე წარმატებით იცავს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს, ხოლო 1968 წელს ენიჭება პროფესორის წოდება.

1970 წელს, ბატონ ირაკლის, როგორც აღიარებულ და სახელგანთქმულ კლინიცისტს იწვევენ ჟენევაში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტად, ხოლო 1971 წელს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში კარდიოლოგიური ცენტრის ჩამოყალიბების საქმეში დახმარებისათვის.

ბატონი ირაკლი ავტორია 10 მონოგრაფიისა და 250-მდე სამეცნიერო-პრაქტიკული პუბლიკაციის, მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

1972 წელს არჩეულ იქნა თბილისის კარდიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარედ, 1995 წელს — თერაპევტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრად, 1996 წელს — ათეროსკლეროზის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო ასოციაციის წევრად.

ბატონი ირაკლის კალამს ეკუთვნის მრავალი პუბლიცისტურ-პოპულარული მონოგრაფია, ნარკვევი, სტატია, მედიცინის, ყოფით და სხვა აქტუალურ თემაზე, რომლებიც მკითხველთა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

1997 წელს, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, ეროვნული მედიცინის განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის, პროფესორი ირაკლი ჭუმბურიძე დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“, ხოლო 2000 წლის მარტში, როგორც ძირძველ ქუთაისელს, მშობლიური ქალაქის მოსახლეობის სამსახურში გაწეული თვალსაჩინო წვლილისათვის მიენიჭა ქალაქის საპატიო მოქალაქის წოდება.

ყველას, ვინც კი იცნობდა ან თანამშრომლობდა ბატონ ირაკლისთან, აღვსილი იყო მისი პიროვნებისადმი ღრმა პატივისცემით, მოკრძალებით. ის უყვარდა პაციენტს, კოლეგას, თანამოაზრეს, მეგობარს, ახლობელს, რადგან, ყოველთვის მზად იყო მათდამი თანადგომისა და დახმარებისათვის, მუდამჟამ გულწრფელად იზიარებდა მათ სიხარულსა თუ გულისტკივილს. თავადაც თავისი ცხოვრების მანძილზე და განსაკუთრებით კი მძიმე დღეებში გარემოცული იყო საყოველთაო თანადგომითა და ერთგულებით.

წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტად ვალმოხდილი მამულიშვილი, რომელმაც დაგვიტოვა მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვრო და იღვაწო ქვეყნის, ხალხის, პროფესიის სასიკეთოდ.

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო,**
**თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი,**
**თერაპევტთა და კარდიოლოგთა საზოგადოებები,**
**გაზეთ „მედიცინისა“ და ჟურნალ „საქართველოს სამედიცინო მოამბის“ სარედაქციო კოლეგიები.**

# ია გოგუაძე



68 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის დარგის დამსახურებული ინჟინერი ია ამბროსის ასული გოგუაძე.

ია გოგუაძემ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1956 წლიდან შრომითი საქმიანობა დაიწყო მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს წინდების ფაბრიკა „კრწანისში“, სადაც ჩამოყალიბდა როგორც ტრიკოტაჟის დარგის მაღალკვალიფიციური ინჟინერ-ტექნოლოგი. შემდეგ გადაიყვანეს მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აპარატში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე, მათგან ოთხი წელი იყო ტრიკოტაჟის და საფეიქრო-საგალანტერეო მრეწველობის სამმართველოს უფროსი.

1982 წლიდან ია გოგუაძე მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრის ჯერ მთავარი ინჟინერი, ხოლო 1987 წლიდან დირექტორია. უდიდესია მისი წვლილი ამ ორგანიზაციის სტრუქტურის დახვეწის, პროფილის განსაზღვრისა და მართვის ორგანიზების საქმეში.

ია გოგუაძე არის 150-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის ავტორი და თანაავტორი.

წავიდა ჩვენგან მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, გონიერი, უმწიკვლო და ღირსეული ადამიანი და ხელმძღვანელი.

მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება კოლეგებსა და თანამშრომლებს შორის.

**საქართველოს მრეწველობის, ეკონომიკისა და ვაჭრობის სამინისტრო;**
**შრომის ორგანიზაციისა და წარმოების მართვის ცენტრი;**
**სააქციო საზოგადოება „ბახტრიონი“.**

საგვარელო საზოგადოება „ჭუმბურიძენის“ გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მამულიშვილის, აკადემიკოს

ირაკლი ჭუმბურიძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს მის ძვირფას ოჯახს.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ი. ფაღავას სახელობის პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, საქართველოს და ქ. თბილისის პედიატრიის ასოციაცია, საქართველოს ბავშვთა ალერგოლოგთა და კლინიკურ იმუნოლოგთა ასოციაცია, პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ლალი ბრეგვაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.**

**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-2002“

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.
სარედაქციო კოლეგია: ალეკო ასლანიშვილი, როლანდ ბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ჭედია, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი ბექა ჭედია.

ინდექსი 66434

მისამართი: 380008, თბილისი, გ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა — PRESS—98@CAUCASUS.NET
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი 20.